საკმო ბაჯები

№1 (734)
ოთხშაბათი
17 იანვარი,
2024 წ.
ფასი 1.50 ლ.

დათმობით, დათმენით, სიბრძნითა და სიყვარულით!

დასავლური რეალობა ვირტუალური დემოკრატია



„ოდეს ქვეყანას გაუჭირდეს, ხვამლის მთამ გადაარჩინოს“...

კაცი, რომელიც უპატრონოდ დარჩენილ ქვეყანას პატრონობს

ის არასოდეს გამოჩენილა ტრიბუნაზე, არასოდეს გამოსულა ტელევიზიით, არასოდეს ულაპარაკია თავის თავზე, არასოდეს მოუწონებია თავი მის მიერ გაკეთებული უამრავი კეთილი საქმით...

მას ხალხი შემთხვევით გადაღებული რამდენიმე ფოტოთი იცნობს, რომლებიც ათასში ერთხელ თუ იბეჭდება ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე.

ის არ არის ე. წ. ცნობადი სახე, რომელსაც დიდიან-პატარიანად ყველა ცნობს.

ის არ არის ცნობადი სახე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არ არსებობს ეროვნული მნიშვნელობის საქმე, რომლისთვისაც ამ კაცს ხელი არ შეეშველებინოს.

სამაგიეროდ, ცნობადი სახეები არიან ადამიანები, რომლებსაც ორი საბანი და ერთი ყუთი კოკა-კოლა მიაქვთ გაჭირვებული ოჯახისთვის, უკან კი ორი ვიდეოკამერა მისდევთ, რომ ამ ქველმოქმედების ფაქტი დაფიქსირდეს და ისტორიას სამუდამოდ შემორჩეს.

ორ საბანს კიდევ არა უშავს, მაგრამ საქართველოში ცნობადი სახეები ხდებიან ცარიელი დაპირებებითაც, რომლებსაც აღსრულება არასოდეს უწერიათ.

მათი ხელობა ადამიანების ფუჭი იმედითა და ფუჭი სიტყვებით ცდუნებაა.

— გვიშველე, გვიხსენი! შენ ხარ გმირი! გაგვიძეხი წინ, საქართველოს შენი იმედი აქვს! — შეჰღაღადებენ ადამიანები სიტყვით მაცდუნებელ ფარისევლებს და ისინიც ჰპირდებიან... პირდებიან...

ისინი ჰპირდებიან, ეს კი ფარისევლების იმედად დარჩენილი ქვეყნისათვის ჩუმად, უხმაუროდ აკეთებს კონკრეტულ საქმეებს.

სხვები ხმაურობენ, სხვები დაფნის გვირგვინებს ითხოვენ, ეს კი სულ იმას ცდილობს, ჩრდილში იდგეს, უხილავი და უჩინარი იყოს...

ამპარტავანთათვის და სახელის მაძიებელთათვის გაუგებარი ფილოსოფიით ცხოვრობს იგი, რაც ბევრს აღიზიანებს კიდეც, რადგან ამ ანგარიშიან დროში, სადაც სიკეთე და ქველმოქმედება პიარის საგნად ქცეულა, ამ ფილოსოფიის არსი უცხოა და უჩვეულო.

ანგარებიანი ქველმოქმედება, ქრთამად გაცემული სიკეთე, ბოროტებაზე უარესი ბოროტებაა, რომელიც ადამიანებს რყვნის.

ერთ კაცს ვიცნობდი — ყოველ გაზაფხულზე და შემოდგომაზე ტყეში მიდიოდა და სხვადასხვა ჯიშის ხეხილს ამყნობდა — წლების შემდეგ აქ მგზავრი რომ გამოივლის და ამ ატმითა და ვაშლით პირს რომ გაისველებს, ამას რა სჯობიაო, — ეუბნებოდა იგი თავის მეზობლებს, რომლებიც ამ საქციელს ახირებად უთვლიდნენ.

სიკეთე ის არის, რაც იმ მგზავრისთვის კეთდება, რომელმაც საუკუნეების შემდეგ უნდა გამოიაროს იქ, სადაც ოდესღაც შენ იდექი.

ვალმოხდილი და ბედნიერია ის, ვის სახელზეც ელვარე ბროწეული დარჩა, დარჩა წყარო, დარჩა გზა, დარჩა ეკლესია, დარჩა სამყარო მომავლიდან მომავალი მგზავრებისთვის.

ქიშპით, ანგარებით, მტრობითა და სიძულვილით გაჟღენთილ ამ დროში ეს ადამიანი არა მარტო თავისი გულუხვი ქველმოქმედებით მაოცებს, არამედ მაოცებს თავისი თავმდაბლობით, თავისი ცხოვრების წესით, სამშობლოსადმი ისეთი უსიტყვო სიყვარულით, უსიტყვო ლოცვას რომ ჰგავს...

ვამთავრებ ამ წერილს და ამ კაცის სახელი და გვარი არ მითქვამს და ეს არც არის საჭირო — დავარქვათ მას, უბრალოდ, კაცი, რომელიც უპატრონოდ დარჩენილ ქვეყანას პატრონობს...

ვახტანგ ხარჩილავა, 2011 წ.

ბიძინა ივანიშვილი ქართულ სინამდვილეს განსაზღვრავს

„საერთო გაზეთის“ სტუმარია ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი:

— ზაზა, „ქართულმა ოცნებამ“ პოლიტიკური კამპანია დაიწყო. ამ პროცესის გახსნას ხელი ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლამ შეუწყო. როგორ ფიქრობთ, რას შეცვლის ქართულ პოლიტიკაში მისი დაბრუნება?

— ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებით ქართული პოლიტიკა ბევრად სტაბილური, გარე რყევებისგან დაცული იქნება. ასევე, საგარეო ურთიერთობები და ის საფრთხეები, რაც დღეს მსოფლიოში არსებობს, უფრო მდგრადი გახდება. მთლიანობაში ბატონი ბიძინას დაბრუნება, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე გარეთ, სტაბილურობის შენარჩუნებას ემსახურება. მით უფრო, რომ ჩვენი ქვეყანა ბევრად არის დამოკიდებული გარე ფაქტორებზე. რიგი ქვეყნები, მაგალითად, აშშ, ჩინეთი საკუთარ დღის წესრიგს თავად ქმნიან. მათი შიდა პოლიტიკა გარესამყაროზე აისახება. ჩვენთან ყველაფერი, პირიქითაა.

— ჩვენი პირველი ინტერვიუ სწორედ პოლიტიკაში ივანიშვილის შემოსვლისას ჩაიწერა. მახსოვს, მითხარით: ღვთის ნებაა ის, რასაც ადამიანი როგორც შემთხვევითობას ისე აღიქვამს, რისი ახსნაც ადამიანს არ შეუძლია. სწორედ ასეთი „შემთხვევითობაა“ ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლაო. ამჯერად ეს „შემთხვევითობაა“, თუ...

— გვინდა თუ არა, მოგვწონს თუ არა, ფაქტია, ბიძინა ივანიშვილი ქართულ სინამდვილეში არის ფაქტორი. როცა იგი პოლიტიკაში მეორედ დაბრუნდა, ეს გარკვეული ტიპის კრიზისს უკავშირდებოდა. ახლა არავითარი კრიზისი არ არსებობს. პირიქით, ოპოზიცია, როგორც თავად აღნიშნა, აბსოლუტურად დეგრადირებულია. აქედან გამომდინარე, ესეც ერთგვარი გამოწვევაა, რომ არჩევნებში დიდი უპირატესობით კვლავ „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვოს, რასაც, შესაძლოა, ჩვენი ე. წ. პარტნიორების, დამკვირვებლების მხრიდან გარკვეული რეაქცია მოჰყვეს. მსგავსი რისკების მინიმუმამდე დაყვანა — ესეც ივანიშვილის დაბრუნების ერთ-ერთი მიზეზია. 2024 — არჩევნების წელია აშშ-შიც, სადაც ყველაფერი გაურკვეველია. თან, პარალელურად, ორი ომი მიმდინარეობს და, შესაძლოა, ტაივანთან დაკავშირებით, მესამეც დაიწყოს. ივანიშვილის გამოჩენა, გარკვეულწილად, ამ გამოწვევებზე პასუხია. ბატონი ბიძინას პოლიტიკაში დაბრუნება გარანტიაა, რათა საქართველოში არ მოხდეს ახალი ფერადი რევოლუცია, რომლის შანსი ძალიან დაბალია, თუმცა რისკები მაინც არსებობს. ამის მაგალითად წმინდა მატრონას ხატთან დაკავშირებული ისტორიაც კმარა. მსგავსი მცდელობები კიდევ იქნება. ამ თემის შემოგდებით დაიტესტა, თუ რამდენად შესაძლებელია საზოგადოებაში მღელვარების გამოწვევა.

ბუნებრივია, ეს დიდი ხნის მოფიქრებულია. ჯერ „აღმოაჩინეს“ ხატი, რომელზეც სტალინია გამოსახული. ვიღაცამ ხომ მოძებნა ეს ხატი, მერე ამის შესახებ გააჟღერა. ეს დღეს არ დაწყებულა, ხატი თვეებია, რაც ჩამოტანილია. ახლა ერთმანეთს ეკითხებიან: მატრონა ვინ იყოო. ლადარიამ თქვა, ვიღაც, რუსი გიჟი იყოო. ვიღაცამ ბერ გაბრიელს შეადარა.

— თქვენ აღნიშნეთ: მეორედ ივანიშვილის მობრუნება გარკვეულ კრიზისს უკავშირდებოდაო. ამჯერად, პოლიტიკაში დაბრუნება ნიშნავს თუ არა, რომ მმართველ პარტიას გაუჭირდა?

— არ მგონია. მსგავსი ტიპის პრობლემები ყველგანაა. გარე ძალების მთავარი პრობლემა ის არის, რომ „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში კონკურენტი არ ჰყავს და უპირობოდ იმარჯვებს. დასავლეთი კოალიციური მთავრობის შექმნას ითხოვს, რათა პროცესები მარტივად მართოს. ბუნებრივია, ცეკა-ს მდივანს ვერ დაგვინიშნავენ, ამიტომ სჭირდებათ კოალიცია, რათა რიგი პრობლემები, შესაბამისად, აშშ-ის, ბრიტანეთის, ან საფრანგეთის ელჩთან გადაწყდეს. გააჩნია, ვის დაეკისრება ეს მისია. აშშ-ს ახლა ამისთვის არ სცხელა. ამიტომ, რომელი ქვეყნის ელჩიც იაქტიურებს, მას გადაგვაბარებენ, ოღონდ არ მგონია, ეს დანია იყოს. თუმცა, ამ ქვეყანას სერიოზული კულტურა აქვს. მაგალითად, მე უდიდეს პატივს ვცემ დანიელ ფილოსოფოსს ზერენუს კირკეგორს.

ბიძინა ივანიშვილმა „ქართული ოცნების“ მეშვიდე ყრილობაზე ყურადღება ოპოზიციის სისუსტეზეც გაამახვილა. ზოგადად, ოპოზიციას ლეგიტიმურობა გააჩნია. თუმცა, ჩვენი ეგრეთ წოდებული ოპოზიცია პირდაპირ მეხუთე კოლონაა.

ნაცებს ძალიან საინტერესო ელექტორატი ჰყავთ, რომელიც მათ არჩევნებზე ხმას აძლევს, მაგრამ აქციებზე არ გამოდის. ანუ, „ნაცმოძრაობის“ ამომრჩეველს, შინაგანად, დესტაბილიზაცია არ სურს.

1988 წლიდან 2008 წლამდე მოყოლებული, ომების ოცწლიანი ციკლი გამოვიარეთ — სად, ვის არ ვეომეთ, თავს რა აღარ დავიტეხეთ, შესაბამისად, იმუნიტეტიც გამოგვიმუშავდა. „ქართული ოცნების“ მმართველობის პერიოდში, ღვთის ნებით, საქართველო მშვიდობას ინარჩუნებს. ჩვენ მშვიდობისთვის ვიბრძვით.

დავუბრუნდეთ არჩევნებს, რაც აშშ-ისთვის პრობლემატურია, რადგან იქ შიდა წინააღმდეგობებია. საქართველოსთვის კი არჩევნები პრობლემატურია, რამდენადაც ის გარედან მართულია. არჩევნები მთავარი ხიფათია. ჩვენი ტიპის ქვეყნები, არჩევნების შემდეგ, განსაკუთრებით, მეორე, მესამე დღეს, მოწყვლადია — მთლიანად საერთაშორისო აღიარებაზე ვართ დამოკიდებულნი. ჩვენ ხომ რუსეთი არ ვართ. პუტინს სულ ფეხებზე ჰკიდია, აღიარებენ თუ არა მის მიერ ჩატარებულ არჩევნებს. ისეთი ტიპის ქვეყნები, რომელთაც სუვერენიტეტი აქვთ, საერთაშორისო აღიარებაზე დამოკიდებულნი არ არიან. საქართველოში კი არჩევნების არაღიარება შიდა ძალებისთვის — მეხუთე კოლონისთვის პირდაპირ გააქტიურებისკენ მოწოდებას ნიშნავს. ოპოზიციას გამარჯვების შანსი არ აქვს, მაგრამ ქაოსში ქვეყნის ჩათრევა ნამდვილად შეუძლია, რისი შესაძლებლობაც სწორედ არჩევნების მეორე დღეს ეძლევა.

მთავარი რა არის — თუ ვის აქვს საქართველოში ყველაზე დიდი ლეგიტიმაცია? — რა თქმა უნდა, ივანიშვილს. სწორედ ამ ლეგიტიმურობის საფუძველზე ხდება საზოგადოების კონსოლიდაცია. ივანიშვილს საზოგადოების მხრიდან უდიდესი ნდობა და მხარდაჭერა აქვს. იგი სტაბილურობის წყაროა. საქმე ისაა, რომ საქართველოს მოსახლეობას სურს მშვიდობა და არა დესტაბილიზაცია, რისი გარანტიც ბიძინა ივანიშვილია.

— ოპოზიცია, წლებია, არჩევნებს გაყალბებულად წინასწარ აცხადებს. უკვე საუბრობენ, რომ ელექტრონული არჩევნები გაყალბების ტოლფასია. ასევე, გვიმტკიცებენ: თუ სააკაშვილს ციხიდან არ გამოუშვებთ, არჩევნები ლეგიტიმურად არ ჩაითვლებაო.

— ოპოზიცია თვითგანადგურების რეჟიმშია. ბუნებრივია, რაც უფრო მაღალ პროცენტს მიიღებს „ქართული ოცნება“, მით უფრო ხმამაღლა დაიყვირებენ, არჩევნები გაყალბდაო. მათი ბელადი სააკაშვილი, როგორც ფიგურა, განულებულია, მხოლოდ გარკვეული ტიპის სექტანტები უჭერენ მხარს. მას ყველა იყენებს. სააკაშვილი მეფე მიდასივითაა, რომელიც, რასაც შეეხებოდა, ყველაფერს ოქროდ აქცევდა. მიშას შემთხვევაში პირიქითაა — ვინც მას ეხება, ისიც ნულდება. ვინც სააკაშვილს ხელში აიღებს, სააკაშვილითვე დაეცემა. გახარიასაც იგივე დაემართა — როგორც კი ერთი წლის მანძილზე შენარჩუნებული სახე დაკარგა, რეიტინგიც ზედ მიჰყვა. ასე რომ, მოსახლეობა, მათ შორის ნაცების ელექტორატიც, აღარ ტყუვდება. მარტის აქციები გაკვეთილი აღმოჩნდა — ახალგაზრდობა გარეთ გამოვიდა, მაგრამ მალევე მიხვდა, თუ რაში მიიღო მონაწილეობა. ერთადერთი წარმატებული, პრეზენტაციული აქცია „შინ ევროპაში“ იყო, სადაც ოპოზიცია არ ჩანდა. მაგრამ როგორც კი „ნაცმოძრაობა“ წინა პლანზე გამოვიდა, ხალხიც გაქრა. არსებობს გარკვეული პროევროპული ელექტორატი, მაგრამ აქაც პარადოქსს ვაწყდებით — ჩვენ ევროპა სტაბილურობისთვის გვჭირდება, ამ დროს ევროპულ ოჯახში გაწევრიანების მომხრეები დესტაბილიზაციის წყარონი არიან. მათი ელექტორატი ამ ყველაფერს ხედავს. ამიტომ „შინ ევროპის“ აქციებზე გამოდის, მაგრამ, როცა დესტაბილიზაციის რისკი ჩნდება, ელექტორატი საერთოდ ქრება. ბიძინა ივანიშვილი დაბრუნდა, რათა არჩევნების შემდგომ მსგავსი რისკები შემცირდეს და მომდევნო ციკლში დანაკარგების გარეშე გადავიდეთ.

საქმე ის არის, რომ დღეს თავად დასავლეთი შევიდა კრიზისში. აშშ-ში რეალურად სამოქალაქო ომის ვითარებაა — არჩევნებში გამარჯვებული მხარე დამარცხებულს აუცილებლად დაიჭერს. არადა, აშშ-ის შიდა პოლიტიკა რაზე იდგა? — ოპოზიციის ლიდერის დაჭერა არ შეიძლებოდა! ჩვენ რას გვიკიჟინებდნენ? — რადგან მელია ოპოზიციის ლიდერი გახდა, მისი დაჭერა არ შეიძლებოდა. ობიექტურობისთვის უნდა ითქვას, რომ ამერიკა არც მიშას აძლევდა საშუალებას, ოპოზიციონერი ლიდერები დაეჭირა. ახლა, აშშ-მ ეს წესი თავად დაარღვია. ბაიდენი და ტრამპი ერთმანეთს სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძვი-

ან. პოლიტიკოსები, ალბათ, ვერ იტყვიან, მაგრამ მე პირდაპირ შემიძლია ვთქვა: ჩვენ ევროპა იმდენად არ გვინდოდა, რამდენადაც ამერიკა. მაგრამ ამერიკაში პირდაპირ ხომ ვერ შევიდოდით, როგორც შტატი. ევროკავშირი ამერიკასთან დაახლოების გარკვეული საშუალებაა. ახლა კი, ჩვენი იდეალი ვინც იყო, ვისაც 60-იანი წლებიდან მოყოლებული, შევსციცინებდით, იქ გაუგონარი რაღაცები ხდება. ასეთ ვითარებაში ჩვენ თვითგადარჩენის პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ. ლომჯარია რომ გამოდის და ცოტნე დადიანის დისკურსით საუბრობს, გასაგები ხდება, რასაც ნიშნავს გამოთქმა — პატრიოტიზმი ნაძირლების უკანასკნელი თავშესაფარია. ანუ, ქალი, რომელიც არაფერს წარმოადგენს, ნულია, ცოტნე დადიანის ენით ლაპარაკობს. საქმე ისაა, რომ უმძიმეს ოცწელგამოვლილ (1988-2008 წლები) საზოგადოებას — ამ ორგანიზმს არ უნდა, რომ დაიღუპოს. ბიძინა ივანიშვილი სწორედ ქართველი ხალხის თვითგადარჩენის ინსტინქტს გამოხატავს, რის რეპრეზენტირებასაც საუკეთესოდ ახდენს. ეს კონსოლიდირებული საზოგადოება სწორედ მას ენდობა და არა ვინმე სხვას.

ანუ, პირობითად, რეზიუმეს სახით ასე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ: გვყავს ორი ძალა. ერთი გახლავთ კონსოლიდირებული ხალხი, როგორც ცოცხალი ორგანიზმი, რომელსაც არ უნდა სიკვდილი. მას თვითგადარჩენის ინსტინქტი აქვს. მეორე მხარეს დგას ის, ვინც თვითგანადგურებით არის შეპყრობილი. ყველა ორგანიზმში არის ბაქტერიები, რაღაც დონეზე ეს საჭიროც კი არის იმუნიტეტის გაძლიერებისთვის. თვითგამნადგურებლების შემხედვარე, იმუნიტეტს ვიცავთ. თუ ბაქტერიების დონე ორგანიზმში კრიტიკულად მოიმატებს, შეიძლება ორგანიზმი დაიღუპოს, რაც უკრაინას დაემართა. ამ თვითგამნადგურებლებსაც აქვთ გარკვეული საჭიროება — მათი არსებობა, რაც უფალმა დაუშვა, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რათა ვიცოდეთ, როგორ არ უნდა მოვიქცეთ.

— **წელან გახარია ახსენეთ. იგი ივანიშვილს დებატებში იწვევს...**

— მეც ავდგები და დებატებში ტრამპს გამოვიწვევ. დაჯდება ტრამპი ჩემთან სადებატოდ? — არა, ხომ. რაც მე ვარ ტრამპთან, იგივეა გახარია ივანიშვილთან.

— **ივანიშვილი „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს. რამდენად მოსალოდნელია საკადრო ცვლილებები?**

— ივანიშვილი საჯარო სივრცეში დაბრუნდა. ეს ნიშნავს, რომ ის ძალები, რომლებიც პოლიტიკიდან მის წასვლას მოითხოვდნენ, შესუსტდნენ და ამ თემით იმდენად დაინტერესებულნი აღარ არიან. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ „ზონას“ მეთვალყურე აღარ ჰყავს. უბრალოდ, „დიდმა ბიჭმა“ (ამერიკა) „ზონის“ მეთვალყურეობა სხვას დაავალა. ახლა საქართველოს ვიღაც „უყურებს“. მე არ ვიცი, ეს ვინ არის. ვახსენე, რომ „დიდ ბიჭს“ დრო არ აქვს, სამ ფრონტზე იბრძვის. ამიტომ ეს საქმე ქვემდგომს დაავალა. ამას თავის რისკები აქვს. ერთი მხრივ, კარგია, რომ რაღაც ეტაპზე გავიმარჯვეთ და ჩვენი ძალა ვაჩვენეთ, რის გამოც კანდიდატის სტატუსი მოგვცეს.

კანდიდატის სტატუსის მონიჭება რას ნიშნავს? — ჩვენს საქმეებში პირდაპირ ვეღარ ჩაერევიან, მაიდანს ვეღარ მოგვიწყობენ. მაგრამ ვიმეორებ, ყველაზე დიდი რისკი ისევ და ისევ არის არჩევნების მეორე დღე, როცა შეიძლება შედეგები არ აღიარონ. ასეთ შემთხვევაში ყველა დესტრუქციულ ძალას ხელ-ფეხი გაეხსნება.

ზემოთ, წმინდა მატრონასთან დაკავშირებული ისტორია ვახსენე. მატრონა კი არა, ნაცებმა წესიერად თავიანთი ლიბერალიზმიც არ იციან, რაც ბედნიერებაა, რადგან სწორედ ამ არცოდნამ გადაგვარჩინა. ეს ვითომ ლიბერალები რელიგიურებიც არიან, ოღონდ მათი თაყვანისცემის ობიექტი მიწაზეა და არა ზეცაში. თაყვანს სცემენ აშშ-ის დეკლარაციას, რომელიც მათთვის არის ყურანი. ევროკავშირის დროშა თუ დაწვი, დასაჭერი ხარ და ხატს თუ საღებავს შეასხამ, ეს თურმე არაფერია. რატომ? — იმიტომ, რომ მათთვის ის დროშაა საკრალური. სინამდვილეში ხომ ყველაფერი საკრალურია. ვიღაცისთვის საკრალური არის ტაძარი, ვიღაცისთვის — ლგბტქ+. ვიღაცისთვის ყურანი არის დეკლარაცია და ა. შ. ერთი საკრალური ებრძვის მეორეს, მესამე მეოთხეს და ა. შ. სახარებაში ნათქვამია: სადაც არის საუნჯე შენი, იქ არის გული შენი. აქედან გამომდინარე, ადამიანისთვის მნიშვნელოვანია საკუთარი დრო, რომელიც რაღაცის სიყვარულში ჩადო. წარმოიდგინე, რომ მისი თაყვანისცემის ობიექტი ინგრევა ან კვდება, მაგრამ მას ეს არ სჯერა. ამით იმის თქმა მინდა, რომ ყველა ადამიანი არის რელიგიური, მაგრამ ამის არტიკულირება ნებისმიერს არ შეუძლია. დეკლარაცია ან დროშა ცუდი კი არ არის. მთავარი დამოკიდებულებაა, როცა ამას როგორც საკრალურ ობიექტს, ისე აღიქვამ. მაგრამ პარადოქსი იცით, რა არის? — ნატა ფერაძე, რომელიც ხატს საღებავს ასხამს, ამით მის საკრალურობას ამტკიცებს. აი, ამაშია საქმე. თუ ამის სეკულარიზაცია გინდა, ეს ასე არ ხდება. მთელი ამბავი ის არის, რომ სეკულარიზაცია არ არსებობს. ისინი, უბრალოდ, ცდილობენ, ქრისტიანობა გარეთ გაიტანონ და მის მაგივრად სხვა ხატი შემოიტანონ.

გაიძახიან, სამების ტაძარი უნდა დაინგრესო. რატომ? — იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილმა ააშენა. ამიტომ კართაგენი უნდა დაინგრეს.

შეიძლება საკრალური იყოს სხეულის ის ნაწილი, რომელიც აბანოში გამოჩნდება, თეთრია თუ შავი. ანუ, საკრალური მათთვისაც არსებობს. რადგან არსებობს ეს დაპირისპირება, ამიტომ შებილწვაც არსებობს. როცა ხატს საღებავს შეასხამ, ამით ამ ხატს და საკრალურის მნიშვნელობას ამტკიცებ. ეს ძალიან საინტერესო მომენტია.

თამარ შველიძე

კაცი, რომელიც უპატრონოდ დარჩენილ ქვეყანას პატრონობს

ის არასოდეს გამოჩენილა ტრიბუნაზე, არასოდეს გამოსულა ტელევიზიით, არასოდეს ულაპარაკია თავის თავზე, არასოდეს მოუწონებია თავი მის მიერ გაკეთებული უამრავი კეთილი საქმით...

მას ხალხი შემთხვევით გადაღებული რამდენიმე ფოტოთი იცნობს, რომლებიც ათასში ერთხელ თუ იბეჭდება ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე.

ის არ არის ე. წ. ცნობადი სახე, რომელსაც დიდიან-პატარიანად ყველა ცნობს.

ის არ არის ცნობადი სახე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არ არსებობს ეროვნული მნიშვნელობის საქმე, რომლისთვისაც ამ კაცს ხელი არ შეეშველებინოს.

სამაგიეროდ, ცნობადი სახეები არიან ადამიანები, რომლებსაც ორი საბანი და ერთი ყუთი კოკა-კოლა მიაქვთ გაჭირვებული ოჯახისთვის, უკან კი ორი ვიდეოკამერა მისდევთ, რომ ამ ქველმოქმედების ფაქტი დაფიქსირდეს და ისტორიას სამუდამოდ შემორჩეს.

ორ საბანს კიდევ არა უშავს, მაგრამ საქართველოში ცნობადი სახეები ხდებიან ცარიელი დაპირებებითაც, რომლებსაც აღსრულება არასოდეს უწერიათ.

მათი ხელობა ადამიანების ფუჭი იმედითა და ფუჭი სიტყვებით ცდუნებაა.

— გვიშველე, გვიხსენი! შენ ხარ გმირი! გაგვიძეხი წინ, საქართველოს შენი იმედი აქვს! — შეჰღაღადებენ ადამიანები სიტყვით მაცდუნებელ ფარისევლებს და ისინიც ჰპირდებიან... პირდებიან...

ისინი ჰპირდებიან, ეს კი ფარისევლების იმედად დარჩენილი ქვეყნისათვის ჩუმად, უხმაუროდ აკეთებს კონკრეტულ საქმეებს.

სხვები ხმაურობენ, სხვები დაფნის გვირგვინებს ითხოვენ, ეს კი სულ იმას ცდილობს, ჩრდილში იდგეს, უხილავი და უჩინარი იყოს...

ამპარტავანთათვის და სახელის მაძიებელთათვის გაუგებარი ფილოსოფიით ცხოვრობს იგი, რაც ბევრს აღიზიანებს კიდეც, რადგან ამ ანგარიშიან დროში, სადაც სიკეთე და ქველმოქმედება პიარის საგნად ქცეულა, ამ ფილოსოფიის არსი უცხოა და უჩვეულო.

ანგარებიანი ქველმოქმედება, ქრთამად გაცემული სიკეთე, ბოროტებაზე უარესი ბოროტებაა, რომელიც ადამიანებს რყვნის.

ერთ კაცს ვიცნობდი — ყოველ გაზაფხულზე და შემოდგომაზე ტყეში მიდიოდა და სხვადასხვა ჯიშის ხეხილს ამყნობდა — წლების შემდეგ აქ მგზავრი რომ გამოიივლის და ამ ატმითა და ვაშლით პირს რომ გაისვენებს, ამას რა სჯობიაო, — ეუბნებოდა იგი თავის მეზობლებს, რომლებიც ამ საქციელს ახირებად უთვლიდნენ.

სიკეთე ის არის, რაც იმ მგზავრისთვის კეთდება, რომელმაც საუკუნეების შემდეგ უნდა გამოიაროს იქ, სადაც ოდესღაც შენ იდექი.

ვალმოხდილი და ბედნიერია ის, ვის სახელზეც ელვარე ბროწეული დარჩა, დარჩა წყარო, დარჩა გზა, დარჩა ეკლესია, დარჩა სამყარო მომავლიდან მომავალი მგზავრებისთვის.

ქიშპით, ანგარებით, მტრობითა და სიძულვილით გაჟღენთილ ამ დროში ეს ადამიანი არა მარტო თავისი გულუხვი ქველმოქმედებით მაოცებს, არამედ მაოცებს თავისი თავმდაბლობით, თავისი ცხოვრების წესით, სამშობლოსადმი ისეთი უსიტყვო სიყვარულით, უსიტყვო ლოცვას რომ ჰგავს...

ვამთავრებ ამ წერილს და ამ კაცის სახელი და გვარი არ მითქვამს და ეს არც არის საჭირო — დავარქვათ მას, უბრალოდ, კაცი, რომელიც უპატრონოდ დარჩენილ ქვეყანას პატრონობს...

ვახტანგ ხარჩილავა, 2011 წელი

2023 წლის მოკლე პოლიტმაჯიანე დიდი ფინალით

დადგა 2024 წელი, ახალი 365-დღიანი კალენდარული ციკლი ახალი გამოწვევებითა და ახალი იმედებით. აწმყო წარსულის გარეშე ვერ დადგებოდა, ამდენად, გადავხედოთ გასულ წელს, რაც მოგვეწონა, კიდევ უფრო დავხვეწოთ და გავიმეოროთ; რაც არ მოგვეწონა, გამოვასწოროთ და აღარ გავიმეოროთ...

ყველა ადამიანი ინდივიდუალურია, ამდენად, შესაძლოა, ის, რაც მე გულსა და გონებაში ჩამრჩა 2023 წელს, სრულებით არ იყოს აღსანიშნი სხვისთვის, ან — პირიქით.

შარშანდელი წლის თბილისის საახალწლო სლოგანი იყო „თბილისი — მშვიდობის ქალაქი“. ძალიან ბრაზობდნენ შარშან ამ დროს ქუჩის პოლიტმღილები, ჩვენს სამეზობლოში არ არის შუქი, არ არის სინათლე, იხოცება ხალხი და ლაპარაკი იმაზე, რომ აქ მშვიდობაა, ძალიან უხერხულიაო.

„სამეზობლოში“ სიტუაცია წელსაც არ შეცვლილა, თბილისი კი ახალი სლოგანით შეხვდა ახალ წელს „თბილისი — ევროპული ქალაქი“.

მადლობა ყველას, ვინც სამართებლის პირზე ისე გაგვატარა, რომ მშვიდობის ქალაქიდან ევროპულ ქალაქში უღრუბლო ცის ქვეშ მივულოცეთ ერთმანეთს ახალი წელი. მართებული იქნებოდა, რომ საქართველოს ჰქონოდა სლოგანი „საქართველო — მშვიდობის ქვეყანა“.

მოკლედ და მსუბუქად მიმოვიხილოთ, რა ხდებოდა 2023 წლის იანვრიდან ამავე წლის დეკემბრის ჩათვლით საქართველოსთვის მნიშვნელოვანი, საინტერესო, აღსანიშნი, ზოგჯერ სასაცილოც კი.

გვერდს ვერ ავუვლით ექსპრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც გასული წლის იანვრიდან წლის ბოლომდე ისეთი სასწაულებრივი ცვლილება განიცადა ჯანმრთელობის გაუმჯობესების მხრივ, რომ „ვივამედის“ კლინიკა გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრის კანდიდატი უნდა იყოს წესით — გადადებულ სნეულს უთვალავი დაავადება გადაატანინეს, დემენციისგან კი სასწაულებრივად განკურნეს.

●

ვერც მეგი გოცირიძის გოდებას ავუვლი გვერდს: „თუ გადაშენების პირას მყოფ საქართველოს და ყოფილი ერების მომლოდინეთა რიგში ჩაწერილ ქართველ ერს ოდესმე ეღირსება ეროვნული ხელისუფლება და კაცთმოყვარე, ჭეშმარიტად მორწმუნე, კაცთმოყვარე ქრისტიანი სინოდი საჭეთმპყრობელითურთ, სამშობლოსთვის წამებულ და გოლგოთაგამოვლილ მიხეილ სააკაშვილს წმინდანად შერაცხავსო“. უკრაინელებისგან მოიპარა ქ-ნმა მეგიმ მიშას გაწმინდანების იდეა თუ უკრაინელებმა მოჰპარეს ქართველ მიშამადიდებლებს „წმინდა მიხეილის“ უკრაინის მფარველ წმინდანად გამოცხადება — ორივე შემთხვევაში კლინიკური სურათი სახეზეა, მაგრამ მაინც...

●

ექსპრეზიდენტს მოქმედი პრეზიდენტი უნდა მივადევნო, რომელმაც გასული წლის დასაწყისშივე თავად მოჰფინა ნათელი იმას, რასაც ხალხი ამბობდა — საქართველოს პრეზიდენტის ნაცვლად ხელში შეგვრჩა აშშ-ის ელჩის, კელი დეგნანის თანაშემწე, უცხო ქვეყნების ინტერესების მსახური ბიუროკრატი, რომელიც ანტისახელმწიფოებრივი ქმედებებისთვის.

●

ბატონმა პრემიერმა შუა დერეფნის ბილიკიდან გზატკეცილამდე გაგვიყვანა და ისეთი ფინალური სიტყვა თქვა ეკონომიკურ ფორუმზე დავოსში, რომ დამსწრე საზოგადოება მოხიბლული დარჩა. ირაკლი ღარიბაშვილი: „ცივი ომისა და საბჭოთა კავშირის პერიოდში არსებობდა გამონათქვამი „ენდე, მაგრამ გადაამოწმე“. დავოსში მოვისმინე საინტერესო ფორმულა „არ ენდო, მაგრამ ითანამშრომლე“. — ასე რომ, მე მჯერა თანამშრომლობის!“ ეს ისეთი გზავნილი იყო პრემიერისგან, ადრესატამდე შხუილით მივიდა!

●

იმ დროს, როდესაც შვეიცარიის ალპებში საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანი აზრთა გაცვლა-გამოცვლა მიმდინარეობდა, ისეთი ამბავი ედგა მავანთ, რაღა თორიას კასრი და რაღა „ენმ“.

●

ასეთ რია-რიაში, მათი ბელადი „შპიგელს“ რომ გაენდო, თუ ცოცხალი დავრჩი, ჩემს მომავალს უკრაინაში ვხედავ ზელენსკისთან ერთად და მისი ხელმძღვანელობითო, იწვა ჩუმად და ფიქრობდა, რა ეთქვა, ვინ ჩამომიტყუა საქართველოშიო? მისი ნათქვამი ასე იკითხებოდა: ჩემი საქართველოში ჩამოსვლა დაგეგმილი იყო და ვინც დაგეგმა, რუსები არ იყვნენ, დამგეგმავები იყვნენ რუსეთის აგენტებიო. იმ კონდიციამდე იყო მისული, ან მართლა უნდა გაიტაცებინათ, ან ალაპარაკდებოდა, რასაც მთლად კარგი ამბავი არ მოჰყვებოდა, მაგრამ რაღაცნაირად ჩააჩუმეს და ამ თემაზე ჯერჯერობით დღემდე დუმს.

●

გასული წლის 18 იანვარს, რუსეთის საგარეო საქმერთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა სიტყვა დაასველა, რომ საქართველოს ხელისუფლების გაწონასწორებული პოზიცია ყურადსაღები იყო, რაც შესაძლებლობას იძლეოდა, რომ რუსეთსა და საქართველოს შორის 2019 წლიდან ცალმხრივად შეწყვეტილი პირდაპირი ავიამიმოსვლის საკითხი გადახედულიყო.

ამის თქმაზე ისეთი ამბავი ატყდა, საქართველოს პრეზიდენტი და აშშ-ის მაშინდელი ელჩი ერთმანეთს ეხეთქებოდნენ, ფრენების აღდგენას არ მივესალმებითო; სჯობს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაბრუნებაზე იფიქროთო, თითქოს წარმოდგენა არ ჰქონდათ, რომ რუსეთის ფედერაციამ საკუთარ ქვეყანაში ცალმხრივად თვითონ აკრძალა ფრენები საქართველოს მიმართულებით და თუ აკრძალვას მოხსნიდა თავისივე ქვეყანაში, საქართველო არაფერ შუაში იყო... და კიდევ, კავკასიაში სამი ქვეყანა ვართ დღემდე და რატომღაც სომხეთს და აზერბაიჯანს არ ეტევებოდნენ, ნუ გაქვთ რუსეთთან საჰაერო მიმოსვლაო...

●

ამ ადომხალებულ სიტუაციას თან დაერთო ე. წ. ოპოზიციის მხრიდან უკულმა წაკითხული ევროკომისიის ანგარიში. პაველ ჰერჩინსკი ამბობდა: „მინდა მივულოცო საქართველოს მთავრობასა და საქართველოს სახელმწიფო სამსახურს ევროკომისიის ძალზე დადებითი ანგარიშის გამოქვეყნება“, ოპოზიცია კი წიოდა: წარმოუდგენლად მაგარი შანსი გაგვიჩნდა ევროკავშირის წევრობის კანდიდატობის სტატუსისა უკრაინის წყალობით — ეს ერთი და პირველი; ხოლო მეორე, — ივანიშვილმა ყველაფერი გააკეთა, რომ აღნიშნული სტატუსი არ მიგვეღო, ბოლომდე გადააზღვია და კანდიდატობის სტატუსის მიღების განხილვამდე ცოტახნით ადრე დაიჭირა გვარამია, რითიც ბეჭედი დაუსვა სტატუსის თემასო. ეს როგორ დამავიწყდებოდა, რომ საქართველოს ევროპული მომავალი თურმე ნიკა გვარამიაზე გადის?

●

უარი კი გვტკიცეს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსზე, მაგრამ რაღაცაში იყო საქმე, საკმაოდ დადებითი ანგარიში გამოაქვეყნეს. ჩვენ მხოლოდ ის ვიცოდით, რომ ირაკლი კობახიძე სტრასბურგში იმყოფებოდა 22-24 იანვარს, შეხვდა მარია ბურიჩსა და ტინი კოგს (მას დაუჭირა მხარი საქართველომ), ხოლო 31 იანვარს ევროპის საბჭომ შეგვაქო და უპირობოდ აღიარა საქართველოს ევროპული მომავალი.

●

ამასობაში თებერვალი დადგა, ხეში წყალი ჩადგა და სუპერაფერისტებმა ორი კურდღლის დაჭერაზე ოცნება სახელმწიფო გადატრიალების ეგიდით დაიწყეს — ძველმა აფერისტები კიდევ ერთხელ ჩაიფიქრეს სახელმწიფო გადატრიალების მოწყობა და. ა.შ.

„უცხოური გავლენის აგენტის“ შესახებ კანონპროექტის ჯერ მხოლოდ ხსენებამ ისეთი ამბავი გამოიწვია ცალკეულ პირებში, რომ ფართო საზოგადოებისთვის არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, როდის მიიღებდნენ ამ კანონს, ან მიიღებდნენ თუ არ მიიღებენ საერთოდ — ინიციატივამ უკვე გააკეთა თავისი საქმე, აყვირდნენ ისინი, ვინც საკუთარ თავზე მიიღო იმ სახელის დარქმევის რეალური განაჩენი, რანიც არიან სინამდვილეში. ლუსტრაცია მოხდა!

აღნიშნულ ინიციატივას ისეთი მწვავედ კრიტიკული საერთაშორისო გამოხმაურებები მოჰყვა, მრავლისმომსწრე ადამიანიც კი გაოცდებოდი — იმ გაერომაც კი ამოიგდო ბეჭი, რომელიც მსგავსი განცხადებებით არ გამოირჩევა. ევროკავშირი რას ჩააკვნესებდა, აშშ-ის ელჩის პირით აშშ („ვფიქრობ, საქართველოსთვის ეს კანონი არ არის საჭირო“), ან მის კალთას გამობმული საქართველოს მადამ-

პრეზიდენტი („ვეტოს დავადებო“), დიდი გამოსაცნობი არ იყო, მაგრამ გაკაპასებული ქართველი ქალების ისეთი ხავილი და ძალაზე მოსვლა მოჰყვა, ყველა „მსოფლიო დონე“ გადაფარა. მადამ პრეზიდენტიც გამოენთო „პირდაპირ ვაცხადებ, რომ კანონს „უცხოური გავლენების გამჭვირვალობის შესახებ“ ვეტოს დავადებო და აშშ-ში უკვე დაბარებული, შემდგომ იქიდან ამხნევებდა და მხარს უჭერდა პოლიციელებზე თავდამსხმელ გზააბნეულ ახალგაზრდებს... კვლავ არ გამოუვიდათ სახელმწიფო გადატრიალება...

●

ამასობაში ხეებიც გაიკვირტა და სასწაული გადაძახილი ატყდა შინ თუ გარეთ, რას ჰქვია, საქართველოს პრემიერი, ირაკლი ღარიბაშვილი 4-5 მაისს, უნგრეთში შეკრებილ პოლიტიკოსებთან და ლიდერებთან ერთად, მონაწილეობას მიიღებს და მომხსენებლადაც კი წარსდგება საერთაშორისო (CPAC) კონფერენციაშიო?!

კონფერენცია, რომელზეც ამხელა აჟიოტაჟი ატყდა, 1974 წელს დააფუძნეს ამერიკელმა კონსერვატორებმა და ყოველწლიურად სხვადასხვა ქვეყანაში იმართება, ევროპაში კი მეორედ ტარდებოდა უნგრეთში, რა იყო საწიოკო, სიტყვა „კონსერვატორი“? ყველა შემთხვევაში, ჩვენ ის გავიგეთ, რომ მავანთათვის ღმერთი, სამშობლო, ოჯახი — ეს ცნებები პუტინისტური ყოფილა...

●

მცირე ხანში ტელევიზიით გავრცელდა დოკუმენტური მასალა, სადაც „ჩვენებიც“ და „სხვებიც“ ახალგაზრდებთან ე. წ. ტრენინგებს ატარებდნენ სახელმწიფო გადატრიალების მოშზადების საფუძვლებში — ესეც ჩაუვარდათ...

●

რაღაც მავნებლური ხომ უნდა ექნათ და იდგა შეშინებული რეზიდენტი პრეზიდენტი სათაგურში გამომწყვდეული თაგვივით და სწორედ რომ შეშინებული თაგვივით ჰქონდა გუგები გაფართოებული. საბრალო, სიტყვების გარეშე ამბობდა, რომ დავალება არნახული ზეწოლის გამო შეასრულა, შეიწყალა მისი მაგინებელი ნიკა გვარამია. მე არ ვაპირებ განვმარტო, რატომ ვიქცევი ასეო, — ესღა ამოღერღა, იმ მცირეოდენად შერჩენილ, მაგრამ დაღვენთილ ღირსებას ასეღა მოებღაუჭა...

●

იმას რა დამავიწყებს, რაც პოლონელმა ექიმმა ჩაიდინა — მიშას ბიოლოგიური ნიმუში ქაღალდში რომ გადაახვია, წინდა-

ში ჩაიდო და მის მალულად გატანას ცდილობდა. ხმად არის გავარდნილი, რომ ქართველები ევროპაში იპარავენ ყველაფერს, რაც ხელთ მოხვდებათ. ჩამონათვალში რას არ გადააწყდები კაცი, მაგრამ ქართველს ევროპელის ბიოლოგიური მასალა მოეპაროს, არ გამიგია. უცნაურები არიან ევროპელები, რა მოიპარონ, აზრზე ვერ მოდიან.

●

ამასობაში, ცოტა უცნაურად გამოეწყო საქმე, ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მოლოდინში საქართველო ჩინეთის სტრატეგიულ პარტნიორად იქცა. ვისაც ესმის თანამედროვე მსოფლიოში ჩინეთის როლი და ელემენტარული წარმოდგენა აქვს ჩინეთის ეკონომიკაზე, ის კი მიხვდება ამ მართლაც ისტორიული ვიზიტების არსსა და ფასს. უბრალოდ, უხერხულია მავანთა მხრიდან ბატონი პრემიერის წარმატებების იგნორირება. მაგრამ ფაქტი ერთია, გონივრული საგარეო პოლიტიკური მიდგომებით კეთდება სახელმწიფოებრივი საქმეები. ვისაც ამის დანახვა და აღიარება არ უნდა, სხვა თემაა, სახელად

მათ „ქვეყნის მავნებლები“ ჰქვიათ. თანამედროვე გეოპოლიტიკურ საჭადრაკო დაფაზე, სადაც, თითქოსდა უკვე ყველა ფიგურა გადანაწილებულია, საიდანღაც ჩნდება რაღაც პატარა საქართველო და ისტორიულ ფუნქციას იძენს.

●

ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში, ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტი ჯოზეფ ბორელი საქართველოში ჩამოვიდა და როგორ გაბედა პრემიერმა ბორელთან შეპასუხებაო, აჟივჟივდა ე. წ. ოპოზიცია და სასწრაფოდ პრემიერის იმპიჩმენტის საკითხიც დააყენა.

რა დააშავა ბატონმა პრემიერმა? — მაქსიმალურად კორექტულად გააგებინა ევროკავშირის გაქსუებულ უმაღლეს წარმომადგენელს, რომ სამართლიან მოპყრობას მოვითხოვთ. უთავმოყვარეო ე. წ. ოპოზიციიდან ის არავის უკითხავს, რისთვის ჩამოვიდა ბორელი საქართველოში. არაფერი შეშლია ბატონ პრემიერს, პირიქით, შენიშვნის მიცემა ძალზე წაადგათ მიკერძოებულ ევროპელებს!.. საქვეყნო საქმე ჰქონდა გასაკეთებელი ბატონ პრემიერს, ნიუ-იორკში სიტყვა ჰქონდა სათქმელი გაეროს გენერალური ასამბლეის 78-ე სესიაზე და დაგეგმილი მაღალი დონის შეხვედრები კიდევ ცალკე.

●

იმდენი იცეტა საქართველოს ე. წ. პრეზიდენტმა, რომ „ქართული ოცნების“ პოლიტსაბჭოს სხდომაზე სალომე ზურაბიშვილის წინააღმდეგ იმპიჩმენტის დაწყების პროცედურის გადაწყვეტილება მიიღეს.

●

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა დაასახელა კონკრეტული პირები და ორგანიზაციები, რომლებიც მიმდინარე წლის ოქტომბერ-დეკემბერში სამოქალაქო არეულობის მოწყობას გეგმავენ ხელისუფლების პრორუსულობის ეგიდით, რაც, საბოლოოდ, ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლას ითვალისწინებდა და, ცხადია, უცხო ქვეყნების კოორდინაციითა და ფინანსური მხარდაჭერით იგეგმებოდა. დაასახელა სუს-მა ახალგაზრდული ორგანიზაცია „კანვასიც“, რომლის ბირთვსაც წარმოადგენს ორგანიზაცია „ოტპორი“. გავიხედეთ, სერბები იყვნენ დაკითხვაზე და გაუთქმელობის გამო ვერც მათ თქვეს რამე და ვერც ადვოკატმა, ერთი ის ამოღერღეს, აბსურდული ბრალდებააო. რევოლუციური სცენარებისთვის რომ ახალგაზრდული ჯგუფები მზადდებოდა ყველგან, ცნობილი ამბავი იყო...

●

ამასობაში, ქალბატონი ე. წ. პრეზიდენტი „კოჭლ იხვად“ იქცა, მაგრამ არ ეტყობოდა, რომ წუხდა, პირიქით, ერთგვარად კმაყოფილი იერიც კი ედო სახეზე, აი დარდი, თუ „კოჭლი იხვი“ დამერქმევა, ჯონსონი, კარტერი და ნიქსონი თუ იყვნენ „კოჭლი იხვები“, რა დააკლდათო?

●

უახლოესი წარსულიდან კარგად მახსოვდა ქალბატონ ურსულა ფონ დერ ლაიენის მწარ-მწარე ფრაზები, ოპოზიციის გარდა, ყველას ყველაფერს რომ გვიწუნებდა. შემდეგ, უეცრად რაღაც დაემართა და „გლობალური კარიბჭის“ ფორუმზე ჩვენი პრემიერი, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი მიიწვია. რომ არ მიეწვია — გამიკვირდებოდა, მაგრამ რომ მიიწვია, უფრო გამიკვირდა!..

როდესაც ბატონმა პრემიერმა ბრიუსელის ტრიბუნიდან მსოფლიოს უთხრა, რომ საქართველო რეგიონალურ სატრანსპორტო, ლოგისტიკურ და ციფრულ ცენტრად გადაიქცევა, კმაყოფილს ჩამეღიმა.

„შუა დერეფანი“ ვართ, ამაზე საკვირველი ადგილი დედამიწაზე არ არის, ჩვენ გარდა ყველა ხედავს და აქ თვალზე ხელს ვინც იფარებს და ყურებს იხშობს, რა მტრობა სჭირთ ასეთი საკუთარი სამშობლოსი?

„აბრეშუმის გზა“ ოდითგანვე საქართველოზე გადიოდა და ისევ გაივლის. სხვა უმოკლესი გზა რომ არსებობდეს, აქამდე გაივლიდა!..

●

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი საფრანგეთის პრეზიდენტის, ემანუელ მაკრონის მიწვევით სამუშაო ვიზიტით საფრანგეთში იმყოფებოდა. საქართველოს მთავრობის მეთაურმა მსოფლიო ლიდერებთან ერთად მონაწილეობა მიიღო „პარიზის მშვიდობის ფორუმში“.

ბატონი ღარიბაშვილი, იმყოფებოდა ემანუელ მაკრონისა და ბრიჯიტ მაკრონის სახელით გამართულ ვახშამზე, რომელიც „პარიზის მშვიდობის ფორუმის“ მონაწილე სახელმწიფოებისა და მთავრობის მეთაურების პატივსაცემად ელისეს სასახლეში გამართა.

საფრანგეთის პრეზიდენტმა სოციალურ ქსელში საქართველოს პრემიერ-მინისტრთან გადაღებული ფოტო გამოაქვეყნა რომელსაც ქართულ ენაზე დაწერილი სტატუსი ერთვოდა: „ბრავო ქართველ ხალხს, რომლის ერთგულება დემოკრატიისა და ევროპის მიმართ აღარ საჭიროებს დამტკიცებას. გააერთიანეთ ძალისხმევა წინსვლისთვის. საფრანგეთი დგას თქვენს გვერდით“.

მნიშვნელოვანი იყო ბატონი პრემიერის გამოსვლა პანელურ დისკუსიაზე „თანამშრომლობის ასპექტები დაპირისპირებულ სამყაროში — მშვიდობის უზრუნველყოფა და უსაფრთხო სამყაროს შენება კავკასიის მაგალითზე“.

პრემიერმა ხაზი გაუსვა იმას, რომ გაურკვევლობებისა და არაპროგნოზირებადობის პერიოდში ვცხოვრობთ, რის მაგალითადაც უკრაინაში მიმდინარე ომი დაასახელა, რომლის არც დასასრული ჩანს და არც ამ ომიდან გამოსავალი. დაასახელა კონფლიქტები აფრიკასა და ნებისმიერ სხვა წერტილებში და აღნიშნა, რომ ყველა კრიზისა თუ კონფლიქტში გამოსავალი უნდა იყოს მშვიდობისკენ სწრაფვა; რომ მთავრობებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ მშვიდობის მისაღწევად.

●

ამასობაში, „ნაცსექტა“ ისე დაშალა უხილავმა ხელმა, ურობოროსივით საკუთარი თავის ჭამა დაიწყეს. სანაპიროზე, „ვეფხისა მოყმის“ ძეგლთან რომ საბჭოეთის დროინდელი „აღსანიშნავი“ შენობაა, სწორედ ისეა მათი საქმე, ვისი ვიოლინო ვის როიალშია, ვერაფრით აწმინდავებენ.

●

რაღაც უცნაური სიჩუმეა დასადგურებული აშშ-იდან საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიცემასთან და უკრაინასთან დაკავშირებითაც, რომელსაც ზედ გვაკრავდნენ. თითქოს აღარც ახსოვს უკრაინა — ასეთი მნიშვნელოვანი ყოფილა ისრაელი ამერიკისთვის, მაგრამ ჩვენ? რას უნდა მოასწავებდეს ეს დუმილი, ქარიშხლის წინ გარინდებას თუ ხანგრძლივ შტილს? არ ვენდობი იანკებს!

●

2023 წლის 30 დეკემბერი. დიდი ფინალი! ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდა!

დღევანდელი საქართველო ის საქართველოა, რომელზეც ვერავინ წარმოიდგენდა თუნდაც ხუთი წლის წინათ, რომ ევროპის ნაწილი გახდებოდა რამენაირად... ეს ჩემი საქართველოა, რომელიც აუცილებლად იტყვის თავის კუთვნილ სიტყვას მსოფლიო ასპარეზზე. ალური კუდიანებს! გავაქართველეთ ევროპა!

თვალს მიეფარა საკმაოდ მძიმე და დაძაბული 2023 წელი, რომელიც, ამასთანავე, ტრაგიკული იყო, გაგვიწყრა ბუნება... იმედი ვიქონიოთ, რომ 2024 წელი მხოლოდ წარმატებული და მშვიდი იქნება...

ნინო დაუშვილი

დასავლური რეალობა - ვირტუალური დემოკრატია

გლობალურ პოლიტიკაში მიმდინარე მოვლენებს „საერთო გაზეთთან“ აფასებს ჟურნალისტი ნუკა არველაძე

„ვირუსი“ ლიბერალიზმის სახელით

წარმოუდგენელია შობის ისეთი სახით გაქილიკება, რაც წელს უკვე გაბედეს!

რუსული შობა? - შობას ეროვნება მიანიჭეს ამ მართლა უჯიშოებმა! სურათი, რომელიც 30 წელია, ჩვენს თვალწინ ვითარდება, ხოლო ბოლო ორი წელია, განსაკუთრებით ხილული და აქცენტირებული გახდა, თუ სამშობლო არ გძულს, შეუძლებელია, რომ გაიზიარო!

ის მარაზმი, რასაც ჩვენი ადგილობრივი პროვინციული „ლიბერალები“ ებოლას ვირუსივით ავრცელებენ და რამაც უკვე ღრმად დაასნებოვნა „დასავლური ღირებულებების“ მქონე ბევრი ქვეყანა, - ლიბერალიზმის სახელით, ნეოფაშიზმის გამავრცელებელი ვირუსია! დემოკრატიის და თავისუფლების სახელით არაერთი განადგურებული, ცეცხლის ალში და უბედურებაში გახვეული ქვეყანა ვიხილეთ!

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, უკვე „ლიბერალებად“ წოდებული ნეოფაშისტური ძალები ისეთი შენიღბული იყვნენ, რომ არა მსოფლიო გლობალიზაციის და გლობალური ომების არქიტექტორების რუსეთთან დაპირისპირება და, ფაქტობრივად, ცივ ომში შესვლა, ვინ იცის, რა მოხდებოდა და ეს ვერაგი ძალა რამდენად დააზარალებდა ჩვენს სამშობლოს!

უკრაინა-რუსეთის ომად შერაცხული მსოფლიო დაპირისპირება, ფაქტობრივად, მესამე მსოფლიო ომია, საკმაოდ კარგად მომზადებული ავანტიურაა, ათწლეულების განმავლობაში დამუშავებული და დახვეწილი პიარტექნოლოგიებით!

დასავლეთის ვირტუალური დემოკრატია

მთავარია, „დემოკრატების“ კადრი იყოს, არ აქვს მნიშვნელობა, ამერიკის პრეზიდენტის სახელს, გვარს, ფსიქიკურ მდგომარეობას, გემი მაინც მიდის და მას უხილავი „სხვა“ მართავს, „სხვა“, რომელიც ამერიკელ ხალხს არ აურჩევია! ესაა დასავლური ვირტუალური დემოკრატია !

ვის გჯერათ, რომ მძინარა ბაიდენი ქვეყანას თვითონ მართავს? ვის გჯერათ, რომ „ჰამასის“ თავდასხმა ისრაელის ლეგენდარულ „მოსადს“ აშშ-ის „ცერეუს“ და ბრიტანულ „მი-6“-ს“გამოეპარა? ვის გჯერათ, რომ 22 000 პალესტინელის, მათ შორის 14 000 ბავშვის და ქალის ამოწყვეტა „ჰამასს“ გაანადგურებს? გაანადგურებს იმ ბოროტებას, რომელმაც 7 ოქტომბერს 1200 ადამიანი დახოცა და მძევლად აიყვანა? ვინ ცრუობს და ვინ ტყუვდება?! ვის სჯერა, რომ ფსიქიკურად გაუწონასწორებელი ნარკისი სააკაშვილი მართავდა საქართველოს?!

გული გაგვიგლიჯეს, როცა ბუჩა აჩვენეს - ნერვიულობისგან არ მეძინა!

რა დაემართა გამოძიებას? როგორც ვიცი, ვერაფერი მოიმოქმედეს და რუსეთის მოთხოვნასაც, რომ ბრიტანელებმა მტკიცებულებები და მოკლულთა გვარები გაასაჯაროვონ, დუმილით უპასუხეს. საერთაშორისო გამოძიებით კი გაირკვა, რომ უკრაინა არც ჰააგის და არც სხვა საერთაშორისო სასამართლოებს არ სცნობს და არც მათი წევრია, ისევე, როგორც რუსეთი. დღესაც ბევრი რამ არის გაურკვეველი და ბურუსით მოცული. თუმცა, ვფიქრობ, შორსა არ არის ის დღე, როცა ყველა სიცრუეს და ავანტურას ნათელი მოეფინება!

მოდი, ასე დავარქვათ, ნეოფაშიზმის იდეოლოგიის გამტარებელი დასავლური ძალები, თავისუფლების და დემოკრატიის სახელით, მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ცდილობენ მსოფლიოში ჰეგემონის როლის შენარჩუნებას და ამით საკუთარი უსაფრთხოების და სიძლიერის გამყარებას.

ბინძური თამაშები საქართველოში ჯერ დამოუკიდებლობის მოპოვებით და მერე დემოკრატიისა და თავისუფლების შენების დაპირებით დაიწყო;

კარგად შეისწავლეს და გამოიყენეს დისიდენტები და საბჭოეთის სიმახინჯესთან მებრძოლი ადამიანები, ზოგი გაცნობიერებულად აქციეს აგენტებად, ზოგიც - საკუთარი პატრიოტიზმის წყალობით - ბრმა იარაღად. დაამუშავეს ეს ადამიანები და აგენტების ნაწილს დროდადრო აღვიძებენ, როცა სჭირდებათ. ნაწილმა თავისი საქმე აქტიურად აკეთა და ჯერ-ჯერობით არხეინაადაა...

მსოფლიო ჰეგემონიის განმტკიცების გეგმა

თავიდან იყო მოლაპარაკება, რომ მშვიდობიანი მსოფლიოს სახელით, ამერიკა და რუსეთი ერთად დააბალანსებდნენ მსოფლიოს დიდ მოვლენებს, მათი ინტერესები არ გადაიკვეთებოდა და იქნებოდნენ არხეინად. რუსეთის მხრიდან იყო მხოლოდ ერთი მოთხოვნა: რუსეთის სუვერენიტეტისთვის საფრთხე არ შეექმნა აშშ-ს და ნატო-ს წევრ ქვეყნებს. მათ შორის, მთავარი იყო რუსეთის სიახლოვეს ნაკლები ნატო-ს ჯარები და ნაკლები ჩარევა შიდა პოლიტიკურ საქმეებში.

იმდროინდელი საბჭოთა ელიტა დაჭაობეული რომ იყო, ამაზე ვთანხმდებით.

ვთანხმდებით იმაზეც, რომ კომუნისტური პარტიის და საბჭოთა **КГБ**-ს მაშინდელმა მესვეურებმა დასავლეთში დიდი ფული და „პარტიის ოქრო“ „გადაქაჩეს“ და ბევრი მათგანი დღეს მშვიდ სიბერეს ევროპასა და აშშ-ში ატარებს თვით გორბაჩოვი, თვით საგარეო საქმეთა მინისტრი კოზირევი და ბევრი „გალიბერალებული“ კომუნისტი!

აქვე, ლამის სამაგიდო წიგნად იქცა ზბიგნევ ბჟეზინსკის „დიდი საჭადრაკო დაფა“ - ვითომ გათვლა და ანალიტიკა რუსეთის სამ ნაწილად დაშლის თაობაზე და მის ადგილას უამრავი პატარ-პატარა სახელწიფოსმაგვარი ქვეყნის აღმოცენებაზე!

ახლა ვხვდები, ეს იყო მსოფლიო გლობალიზაციის და ჰეგემონიის განმტკიცების გეგმა და არა ანალიტიკა ან სტრატეგია. ეს იყო პოსტსაბჭოთა სივრცის რესურსების დაპატრონების გეგმა, რასაც ახლა დაემატა ლოჯისტიკური დერეფნების კონტროლის სურვილიც რესურსების გატარებისთვის.

დღეს უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ნეოფაშისტი გლობალისტები ომებს იწვევენ ყველა ქვეყანაში, სადაც მთავრობებს ვერ იმორჩილებენ!

ამის პირველი მსხვერპლი გახლდით ჩვენ და ჩვენს მიერ არჩეული პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია!

ახლა უკვე ეჭვი არ მეპარება, რომ მაშინ დასავლეთი ელცინის რუსეთის მთავრობასთან და **КГБ**-დან გადაბირებული და სხვადასხვა ინტერესებით „დავერბოვკებულ“ მაღალჩინოსნებთან ერთად მოქმედებდა!

თუნდაც უფროსი ბუშის სიტყვები გავიხსენოთ, როცა მან დამოუკიდებელი საქართველოს მხარში დგომის ნაცვლად თქვა, რომ გამსახურდია მდინარის დინების საპირისპიროდ მიდის!

გავიხსენოთ თუნდაც შემდეგ განვითარებული მოვლენები: შეკვეთილი მკვლელობები, მოწყობილი ავარიები, გათამაშებული ტერაქტები... და სასწრაფოდ ქვეყნიდან გაქცეული იგორ გიორგაძეც, რომლის ცხოვრების აზრი მხოლოდ გალიბერალებული პატრონის მსახურებაა და არა საკუთარი სამშობლოს სიყვარული!

გიორგაძე და ალასანია ლიბერალური რუსეთის და საბჭოთა კავშირის **КГБ**-ს გადაბირებული, გალიბერალებული ნარჩენები არიან. ნარჩენები, რომლებმაც წლების განმავლობაში აფათურეს თავიანთი ბინძური ხელები საქართველოში!

ახლა ვხვდები, რომ მიზანმიმართულად იყო პროვოცირებული და გამოწვეული ძმათა მკვლელი ორი ომი, სამოქალაქო ომი და საშინელი დაპირისპირება დედაქალაქში უბნებს შორის - მივიღეთ მიწაში ჩაწვენილი საჯიშე თაობა!

აი ეს იყო შედეგი!

ამაზე ლაპარაკი ადვილია დღეს, როცა ირკვევა, რომ, რაც აქ დატრიალდა, იგივე სისხლიანი „სცენარები“ დატრიალდა ყველა პოსტსაბჭოთა ქვეყანაში, რიგრიგობით და ბევრგან ახლაც გრძელდება და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ეს ხდება რუსეთშიც!

რუსი ნეოლიბერალები და ქართული პოლიტიკა

მსოფლიო პრესის ყოველდღიური გაცნობის და დაკვირვების შედეგად, ერთ მშვენიერ დღეს მივხვდი, რომ პაზლი არ ივსებოდა. რუსეთის მიმართ, აი, იმ რუსეთის მიმართ, რასაც ელცინის რუსეთი ჰქვია, ჩემი დამოკიდებულება ცალსახად ნეგატიური იყო, არის და რჩება!

რუსული შიდა ლიბერეალური პოლიტიკა ერთი-ერთში ჯდებოდა საკაშვილის პოლიტიკასთან, ვინაიდან სცენარისტი ერთი იყო და ამ სცენარის ნაწილი იყო 2008 წლის ომიც!

მივხვდი, რომ მთელი ერი ბოლო დონემდე „დაგვაბოლეს“. დიახ, „დაგვაბოლეს“ და დღემდე მცდელობა აქვთ, შთაგვაგონონ, რომ მტერი მხოლოდ რუსეთია და არიქა, დაგვიპყრობს თურმე!

მაქვს ლოგიკური კითხვა:

თუ რუსეთს უნდა ჩვენი დაპყრობა, ანექსია ან მიერთება - რამ, ან ვინ შეუშალა ხელი? მე შენ გეტყვი, მოღალატეები და უკანალმიშვერილები არა გვყავს?!

თუ რუსეთს ჩვენი სუვერენიტეტის წაშლა უნდა, რა უშლის ხელს?

ეჭვი მეპარება, რომ ევროპა, ამერიკა ან თუნდაც ნატო მას აშინებდეს - ამის ფაქტი გვაქვს უკრაინის სახით. არც ანალენას, ვიოლას, მარკეტას და მალგოჟეტას შეშფოთებები უნდა აშინებდეს რუსეთს, მაინცდამაინც, ასე მგონია.

რუსეთში მიმდინარეობს ძირეული ცვლილებები და ბრძოლა ნეოფაშიზმის წინააღმდეგ, რომელიც ლიბელიზმის სახელით კარგად იყო გამჯდარი რუსეთის პოლიტიკურ, კულტურულ და იდეოლოგიურ ელიტაში. მხოლოდ უკრაინაში კონფლიქტის დაწყების შემდეგ გაიაზრა რუსმა მმართველმა ელიტამ, თუ რამდენი მტერი ჰყოლიათ ქვეყანაში ნეოლიბერალების სახით და მათ „ინოაგენტები“ დაარქვა უკვე!

ჩვენც გვინდოდა სხვა ქვეყნის აგენტების მონიშვნა ისე, როგორც ამერიკელებს, მაგრამ არ დაგვაცადა ჩვენმა ნეოლიბერალურმა აგენტურამ!

ვამბობდი, რომ ეს კონფლიქტი რუსეთს გააძლიერებდა, მაგრამ რას წარმოვიდგენდი, თუ ამდენად - გინდა ეკონომიკურად, გინდა პოლიტიკურად და გინდა გარეთ გამოსული სიმართლით!

ორ თვეზე მეტია, რაც მედიით ძალიან აქტიურად ვაკვირდები რუსეთის შიდა პოლიტიკურ მოვლენებს, შიდა პოლიტიკურ ცვლილებებს და ვრწმუნდები, რომ ეს არ არის საბჭოთა გადმონაშთი - ეს არის იმპერიული რუსეთი. დაწყებულია სრულიად ახალი კონსერვატიული აზროვნება. ფაქტობრივად, ამ კონფლიქტით რუსეთმა საკუთარ თავზე აიღო გლობალისტების ჰეგემონიის ნგრევის დასაწყისი და მინდა გითხრათ, კარგად გამოუვიდა!

ბრიქსი (BRICS) - მხოლოდ დასაწყისია. დღეს თითქმის ყველა ქვეყანა, ვინც ვითომ ღიად დაუპირისპირდა რუსეთს, აშშ-ის კარნახით თუ ზეგავლენით ცდილობს, რუსეთთან კულისებში აწარმოოს მოლაპარაკება. მათ შორის არის ამერიკის კონსერვატიული ფრთაც,

არც ერთ ქვეყანას არ შეუწყვეტია რუსეთთან ვაჭრობა, ყველა შესყიდვა ხდება რუსული რუბლით. SWIFT-დან რუსეთის გარიცხვის შემდეგ თავად შეექმნათ გარკვეული პრობლემები გადარიცხვებთან დაკავშირებით და არაბული ქვეყნებიც, აღარაფერს ვამბობ ჩინეთზე, ინდოეთზე და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებზე, რუსეთთან ალიანსში არიან ღიად, გაცხადებულად!

12 გვ.

უკრაინა ორ დიდ ნაწილად გაიყოფა

გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი, ყოფილი პარლამენტარი
დიმიტრი ლორთქიფანიძე:

— ექსპერტები რთულ 2024 წელს პროგნოზირებენ. აშშ-ში არჩევნებია, რამაც, შესაძლოა, მოვლენები ცუდი მიმართულებით შეცვალოს — უკრაინის ომი დასასრულისკენ წავიდეს და მიუხედავად შედეგისა, რეგიონში სერიოზული რყევები გამოიწვიოს.

— დიახ, მართალს ბრძანებთ, 2024 საარჩევნო წელია უკრაინის, რუსეთის, ევროკავშირის, აშშ-ისა და საქართველოსთვის. თითოეული ქვეყნის არჩევნები, უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე, ძალიან მნიშვნელოვანია. მოგეხსენებათ, დონბასის მიმართულებით უკრაინის კონტრშეტევა სრულად ჩავარდა, რაც რუსეთის მიერ განხორციელებულმა შეტევამ შეცვალა. ვგულისხმობ ავდეევკის, მარინკის, ბახმუტის, კუპიანსკის პუნქტების აღებას, რუსულმა შეიარაღებულმა ძალებმა გარდამტეხი უპირატესობა მოიპოვეს, რასაც 1100კმ-იანი ფრონტის ხაზზე სერიოზული ცვლილებები მოჰყვება. დასავლელი ექსპერტების ვარაუდით: თუ ასეთი ტემპი შენარჩუნდა, რუსეთი ძალიან მალე აიღებს ხარკოვს, ხერსონს და შეტევას განახორციელებს ოდესა-ნიკოლაევის მიმართულებით, რითაც უზარმაზარი რკალი იკვრება. შედეგად, დნეპრის მარჯვენა სანაპირო მთლიანად რუსეთის გავლენის ქვეშ მოექცევა. არადა, მავანს ეგონა, რუსეთის ფედერაცია დაიჩოქებდა — მისი ეკონომიკა ომით გამოწვეულ ხარჯებს ვერ გაუმკლავდებოდა, ეს მოსახლეობას დააზარალებდა, უკმაყოფილებაც გაიზრდებოდა და სახელისუფლებო ვერტიკალი ჩამოიშლებოდა, რაც არ გამართლდა. რეალურად, რუსეთის ეკონომიკა მსოფლიოში მეხუთე და ევროპაში პირველი გახდა, გააძლიერა საწარმო სიმძლავრეები, რამაც ეკონომიკის მზარდი, აღმავალი ტემპი გამოიწვია. გარდა ამისა, რუსეთის, ჩინეთის, ინდოეთის, ბრაზილიისა და სამხრეთ აფრიკის თაოსნობით შექმნილი ბრიქსი დანარჩენი მსოფლიოსთვის რეალური საპირწონე გახდა. ბრიქსმა მთელ რიგ მნიშვნელოვან სახელმწიფო არტერიებზე აიღო კონტროლი.

გარდა ამისა, რუსეთის პრეზიდენტმა ტრიუმფალური საგარეო ვიზიტები განახორციელა როგორც საუდის არაბეთში, ისე ირანში, გაერთიანებულ არაბთა საემიროებში. ახლო აღმოსავლეთში მშვიდობისა და სტაბილურობისთვის ბრძოლა გრძელდება. ღაზას სექტორში დატრიალებული ტრაგედია, რასაც უკვე 33 ათასი მშვიდობიანი მოქალაქე შეეწირა, ჯერჯერობით თავის ლოკაციას ინარჩუნებს. ამ ფარგლებიდან გასვლას, შესაძლოა არაბეთის რამდენიმე ათეული სახელმწიფოს ერთდროული ჩართვა მოჰყვეს. იემენის ჰუსიტები წითელ ზღვაში დივერსიულ აქტებს აწყობენ ყველა იმ გემის მიმართ, რომელიც ისრაელში მიემართება. არაბეთის დანარჩენ ქვეყნებში ჯერჯერობით სტაბილურობა, მშვიდობა ნარჩუნდება, რაც რუსეთის და მისი მოკავშირე ბრიქსის სახელმწიფოების ერთობლივი ძალისხმევით წარმოებული პროცესის შედეგია.

რაც შეეხება უკრაინის კრიზისის მალე გადაწყვეტას, ამას სასიკეთო პირი არ უჩანს. როგორც ჩანს, რუსეთმა გრძელვადიანი სტრატეგია აირჩია, რაც აშშ-ში 7 ნოემბრის არჩევნებს უკავშირდება. რუსეთი არ იჩქარებს ომის დასრულებას, სანამ საომარი მოქმედებების პროცესში „დემოკრატებს“ და ბაიდენის ადმინისტრაციას პრობლემა არ შეექმნებათ. ომის გაჭიანურებით ბევრი ამერიკელის თვალში ბაიდენი ლეგიტიმაციას კარგავს, რადგან ბიუჯეტიდან გამოყოფილი მრავალი ათეული მილიარდი დოლარი უკრაინის სასარგებლოდ არ მუშაობს, პირიქით, იქ სერიოზული ელიტური ხასიათის კორუფცია შეინიშნება. როცა უკრაინის კორუფციაზე ვსაუბრობთ, ამის უკან ის „ატკატებია“, რითაც იმპერიალისტები სარგებლობენ.

ასე რომ, რუსეთთან ჭიდილმა მისი გაძლიერება გამოიწვია, ხოლო დასავლეთისთვის რუსეთ-უკრაინის ომი სერიოზულ პრობლემად იქცა. ეს ასევე, არჩევნების წინ პრობლემად ექცევათ დომინანტ სახელისუფლებო ძალებს აშშ-შიც, ბრიტანეთშიც და ევროკავშირშიც. ეს რუსეთისთვის ერთ-ერთი მთავარი ბერკეტი იქნება, რათა პროცესები სასურველი მიმართულებით მართოს და მაქსიმალური გამოივაჭროს საზავო პირობებზე შეთანხმებით, რისი აუცილებლობაც ადრე თუ გვიან დადგება.

— ფრონტის ხაზზე რუსეთის წარმატებები როგორ აისახება საქართველოზე? „დეილი ტელეგრაფში“ დაიწერა, რომ დასავლეთი პუტინს ევროპის გასაღებს მალე ჩააბარებს. იქვე აღნიშნულია, რომ დაღლილი ზელენსკი ძალიან სუსტად გამოიყურება იმისთვის, რომ გამარჯვებას მიაღწიოს.

— ზელენსკი მართლაც ძალიან სასოწარკვეთილია, მაგრამ ცდილობს, ეს არ გამოამჟღავნოს. ამიტომ უკრაინაში დაგეგმილი არჩევნები განუსაზღვრელი ვადით გადაიდო. გლობალური დასავლეთი ცდილობს, ისე წარმოაჩინოს, თითქოს ყველაფერი რიგზეა. თუმცა საბოლოო მარცხი გარდაუვალია. ზელენსკი მორალურად გატყდა. მას უკან დასახევი გზა არ აქვს. დასავლეთმა ფსონი ზელენსკიზე დადო და თუ საზავო პირობების შეთანხმება მის სასარგებლოდ არ მოხდება, დასავლეთი ამაზე პასუხისმგებლობას სწორედ ზელენსკის აჰკიდებს. რუსეთს მკაფიო მონახაზი გააჩნია — უკრაინას შავ ზღვაზე გასასვლელი საერთოდ ჩაუკეტოს და მიიღოს უკრაინის არა 20%, არამედ ის რუსულენოვანი არეალები, რაც ისტორიას ნოვოროსიისა და ნოვოსერბიის სახელით შემორჩა.

ეს ის შემთხვევა გახლავთ, როცა უკრაინა ორ კონკრეტულ დიდ ნაწილად იყოფა, რომლის ერთ მხარეს შეგვიძლია, პირობითად, ტარას ბულბას უკრაინა ვუწოდოთ, ხოლო მეორეს — სტეპან ბანდერას გალიცია. თუ რუსეთმა სამხედრო წარმატების ეს ტემპი შეინარჩუნა, დიდი ალბათობით, ლვოვსაც მიითვლის. ექსპერტების თქმით, რუსეთმა შეიძლება ფრონტის მეორე ხაზიც გამოიყენოს, რათა თავისი გავლენის სფეროების გეოგრაფიული არეალი მკვეთრად მოხაზოს. იგულისხმება, ბალტიის ქვეყნები. სწორედ ყველაზე დიდი შიში, საფრთხე, რაზეც დასავლელი ექსპერტები საუბრობენ, ბალტიის ქვეყნების წინააღმდეგ შესაძლო მოსალოდნელი სამხედრო ექსპანსიაა. ამ შემთხვევაში ნიშანდობლივია, რას მოიმოქმედებს ნატო — გაანხორციელდება თუ არა მისი მხრიდან შეკავების სამხედრო პოლიტიკური აქტი და ბალტიის ქვეყნების მხარდაჭერა.

რაც შეეხება საქართველოს, თუ ის კოლექტიური ნატა ფერაძეების ქვეყანა გახდება, რა თქმა უნდა, საფრთხეები ჩრდილოეთიდან რეალური გახდება. მაგრამ თუ შევინარჩუნებთ საქართველოს იმ განვითარების გზაზე, რაც მას იგივე შუა დერეფნის კუთხით ერთ-ერთ ყველაზე მიმზიდველ პარტნიორად წარმოაჩენს როგორც დასავლეთისთვის, ისე აღმოსავლეთისთვის; თუ შევინარჩუნებთ მრავალვექტორულობას; თუ მოვახერხებთ რუსეთთან სამეზობლო პოლიტიკის, რეგიონული თანამშრომლობის ფარგლებში საერთო ენის გამონახვას, მოვახდენთ ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და სუვერენიტეტის კუთხით პოზიციონირებას, მაშინ რუსეთის საქართველოზე თავდასხმის ვერსია უტოპია, სპეკულაცია იქნება. რუსეთის შემოჭრა ისევ და ისევ ნატა ფერაძეების საქართველოზე დაასხამს წყალს. ვგულისხმობ, „ნაცმოძრაობას“, მასთან დაკავშირებულ თხუთმეტ გეოპოლიტიკურ პარტიას და იმ პოლიტიკურ სისტემას, რომელიც ცდილობს, დაკარგული ძალაუფლება დაიბრუნოს.

აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში განხორციელებული უთავხედესი, განსაკუთრებული ცინიზმითა და უტიფრობით ჩადენილი დანაშაული, რაც დღემდე დაუსჯელია. ნატა ფერაძე სისხლის სამართლის წესით უნდა დაისაჯოს, რასაც ჩვენ ვითხოვთ და ვასაბუთებთ. ამ დროს, მისი საქმე სასამართლოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევაზეც კი არ გადაცემულა. ნატა ფერაძე გადიდგულებულია იმ მხარდაჭერით, რაც ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ლიდერებისგან აქვს და იმ იმედით, რომ ხელისუფლება მას ხელს ვერ ახლებს, რადგან ქვეყანამ კანდიდატის სტატუსი მიიღო და საქართველო ვერ გაბედავს, ევროკავშირის ადეპტი დაიჭიროს. ამით დაიმედებული უარეს და უარესს აკეთებს, ყოველდღე საპატრულო პოლიციას იძახებს და დაცვას ითხოვს მაშინ, როცა სასტიკი დანაშაულისთვის სასჯელს უნდა იხდიდეს. ეს ქართულ საზოგადოებაში განრისხებას იწვევს, რაც ქვეყანას შეიძლება ძვირი დაუჯდეს, თუ ხალხის მოთმინება კონტროლს აღარ დაექვემდებარება. როგორც ჩანს, ნატა ფერაძის მიერ ჩადენილი დანაშაული კარგად ინსპირირებული, ორგანიზებული იყო. მას ჰყავს როგორც დამხმარეები, ისე გულშემატკივრები. არ გამოვრიცხავ, რომ ისინი სახელისუფლებო სტრუქტურებშიც არიან და ფერაძის არანაკლები გულშემატკივრები არიან, ვიდრე მთელი ენერგეო სექტორი, რომელიც მას ჰპირდება დაფინანსებას, მხარდაჭერას. აი, უკვე „თბილისი პრაიდმაც“ გააკეთა მხარდამჭერი განცხადება. პრაიდის უკან მონსტრი — მსოფლიო ლიბერალური ინტერნაციონალი დგას, რომლის ტოტალური ჯამური ბიუჯეტი ოთხი ტრილიონი დოლარია. როგორ წარმოგიდგენიათ, ასეთი მნიშვნელოვანი დაფინანსების პირობებში, კოლექტიური ნატა ფერაძეების მიმართ მხარდაჭერა რა ტემპით შეიძლება გაიზარდოს?! მით უმეტეს, რომ ვერ შევძელით, მიგვეღო კანონი, რომელიც გარედან დაფინანსების საკითხს აწესრიგებდა. აქაც უკან დავიხიეთ იმის შიშით: არიქა, რევოლუცია არ მოგვიწყონო. ეს ყველაფერი სერიოზულად გასაანალიზებელია.

— რას ფიქრობთ, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების თაობაზე. რა ცვლილებებია მოსალოდნელი?

— ბიძინა ივანიშვილი „ქართულ ოცნებაში“ წესრიგის აღსადგენად დაბრუნდა. იგი გარკვეული ინფორმაციების საფუძველზე, ელიტური კორუფციის საკითხებთან დაკავშირებით აპირებს, გარკვეული პოლიტიკური რევიზია და მკაცრი ზედამხედველობა განახორციელოს. ეს ძალიან ბუნებრივად მეჩვენება, რადგან ბოლო დროს ამის ბევრი საფუძველი შეიქმნა, რამაც თავი არ დამალა. ივანიშვილი აცნობიერებს, რომ მზარდი ელიტური კორუფციის შედეგად დალექილი ფინანსები, შეიძლება მისი ძალაუფლების განმტკიცებისთვის ძალიან სახიფათო ფაქტორი აღმოჩნდეს. პოლიტიკაში დაბრუნების მეორე მიზეზი დეგრადირებული ოპოზიციის პირობებში (იგულისხმება, „ნაცმოძრაობა“ და მისი გამონადენები), „ქართულ ოცნებაში“ ცდუნების პრევენციაა, რათა არ მოხდეს უმართავი პროცესები და კლანებს შორის დაპირისპირების გაღვივებისა და განვითარების შეუქცევადი პროცესები დროულად აღკვეთოს. მაგრამ ბუნებრივია, ისმის კითხვა: ოპოზიციის დეგრადირების ფონზე, როცა ის „ქართული ოცნების“ პირველი პირია, აქვს თუ არა ივანიშვილს გადაწყვეტილი, „ქართული ოცნება“ ისევ ერთ მონოლითურ პოლიტიკურ პარტიად წარმოგვიდგინოს, თუ მას გარკვეულ პლასტებად შემოუერთებს ახალ პოლიტიკურ ძალთა ერთობას ისე, როგორც ეს 2012 წელს მოხდა, როცა კოალიცია „ქართული ოცნების“ სახით ეკლექტური პოლიტიკური გაერთიანება მივიღეთ. ეს მნიშვნელოვანია, რადგან მაშინ ივანიშვილმა გარისკა, როცა „რესპუბლიკელებთან“ ერთად კოალიცია შექმნა. „რესპუბლიკელები“, კონსერვატიული იდეები და ქვეყნის მშენებლობაზე, განვითარებაზე აქცენტების გაკეთება ერთმანეთში არ ჯდებოდა. ეს მალევე დამტკიცდა, როცა კოალიციიდან პირველები სწორედ „რესპუბლიკელები“ გავიდნენ. კოალიციაში იყვნენ ძალები, რომლებიც მსოფლიო ლიბერალური ინტერნაციონალის წარმომადგენლები არიან, იგივე, „თავისუფალი დემოკრატები“. ანუ, ივანიშვილის მიერ გადადგმული ერთი-ერთი ნაბიჯი, ქართული საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით, შეიძლება სწორედ „ქართულ ოცნებაზე“ ახალი პოლიტიკური ძალების, ერთიანი ახალი პოლიტიკური სისტემის დაშენება იყოს, რომელსაც ლეგიტიმაციის ძალიან მაღალი ხარისხი ექნება. მოგეხსენებათ, ელექტორატის 52% არჩევნებში მონაწილეობას არ იღებს და ღრმა პროსტრაციაში, იმედგაცრუებაში იმყოფება. არჩევნები ოქტომბერშია. საბოლოო სურათს, თუ რა სურს ივანიშვილს აპრილი-მაისის თვეებში დავინახავთ. იმედია, ნაცებთან გარიგება არ მოხდება. ეს ათწლიანი კოაბიტაციის მერე იმ პოლიტიკის სამარცხვინო გაგრძელება იქნება, რასაც ქართული საზოგადოების მხრიდან შემწყნარებლობა აღარ ექნება.

თამარ შველიძე

დათმობით, დათმენით, სიბრძნითა და სიყვარულით!

მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე „საერთო გაზეთთან“ საუბრობს პოლიტიკოსი ხათუნა ხოფერია.

- ქალბატონო ხათუნა, გასული წლის მიწურულს შევიტყვეთ, რომ „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდა. როგორ შეაფასებდით ამ ფაქტს?

- ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი საქართველოში და განსაკუთრებით, ქართულ პოლიტიკაში, ბოლო 20 წელია, ძალიან მნიშვნელოვანია. რაც უნდა თქვან, თუნდაც თვითონაც არ უწოდებდეს თავს პოლიტიკოსს, ფაქტია, რომ ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილებებმა, მისმა ქმედებებმა, მისმა გონივრულმა და დაბალასებულმა პოლიტიკამ აჩვენა, რომ ამ ადამიანს აქვს სერიოზული ანალიტიკური გამჭრიახობა და მისი პროგნოზები საკმაოდ დამაჯერებელია.

დავიწყოთ იმით, რომ მან ჯერ კიდევ 2011 წელს, როდესაც ორგანიზაცია შექმნა, ორიენტირად 2030 წელი აიღო და საზოგადოება „2030“ დააფუძნა. ეს პერიოდი მიიჩნია საჭიროდ იმისათვის, რომ საქართველოს ეკონომიკა საბოლოოდ წელში გამართულიყო და ევროპული ქვეყნების ეკონომიკას დასწეოდა.

მაშინ გვეჩვენებოდა, თითქოს ეს დრო ძალიან შორს იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ მისი გათვლები ყოფილა ძალიან რეალისტური.

დღეს ჩვენ ვუყურებთ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და მსოფლიო გეოპოლიტიკის ცვლილებას, ახალი მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბებას, ომებს... ყოველ წელს ერთი ახალი ცხელი წერტილი ჩნდება მსოფლიო რუკაზე... და ვრწმუნდებით, რომ 2030 წელი არის თარიღი, როდესაც ჩვენ შევძლებთ ვისაუბროთ იმ რეალურ შედეგებზე, რაც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლამ მოიტანა.

მე მაქვს შენახული მისი პირვანდელი პროგნოზები, ეკონომიკური მაჩვენებლები და აღმოჩნდა, რომ ეკონომიკური ზრდის ფაქტორები ძალიან ახლოსაა იმ შედეგებთან, რაც წლების წინ დაიდო. მე ვფიქრობ, ბიძინა ივანიშვილმა თავისი დაბრუნებით საკუთარ თავზე აიღო პოლიტიკურ პროცესებზე პასუხისმგებლობა. მან ასევე, პირდაპირ განაცხადა, რომ აქამდეც უწევდა კონსულტაციას მმართველ გუნდს, მაგრამ ახლა ბრუნდება, როგორც პოლიტიკოსი.

- ყოველთვის იწონებდით „ქართული ოცნების“ ლიდერის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, მაშინაც კი, როცა მის გადაწყვეტილებას გუნდის წევრებიც აპროტესტებდნენ...

- მე ამ ადამიანს ვენდობი და დიახ, მაშინაც კი, როდესაც მას ძალიან აკრიტიკებდნენ, ზუსტად ვიცოდი, რატომ იღებდა კონკრეტულ გადაწყვეტილებებს. პრაქტიკულად, ბიძინა ივანიშვილმა შეძლო, დანის პირზე გაეტარებინა ქართული სახელმწიფო. შეენარჩუნებინა მისთვის სახელმწიფოებრიობა, მშვიდობა, ეკონომიკური ზრდის ტემპი და შეენარჩუნებინა, უბრალოდ, ადგილი მსოფლიო რუკაზე, მაშინ როდესაც, რეალურად, გაქრობით გვემუქრებოდნენ.

სულ ვფიქრობ, რა არის ის მთავარი, ყველაზე მნიშვნელოვანი, კაცთაგან შეუფასებელი, რაც ჩვენი ქვეყნისთვის, ჩვენი შვილებისთვის, უბრალოდ, სამშობლოსთვის გააკეთა ბიძინა ივანიშვილმა?!

რა იყო ის რეალობა, რომელშიც ვცხოვრობდით?.. მე არ ვაპირებ დაჭერებზე, გაუპატიურებებზე, დაკვეთილ მკვლელობებზე, ფარულ ჩანაწერებზე, სახელისუფლებო რეკეტზე და სხვა უამრავ შიდა ტერორზე საუბარს. მე სხვა რაკურსიდან მინდა შევხედო 2011 წლის რეალობას! საერთაშორისო, მსოფლიო პოლიტიკური ინტერესების რაკურსიდან:

1. ხელისუფლება, რომელიც "დემოკრატიის შუქურამ" ჩამოაყალიბა, იმ დროისთვის სრულიად გაწმენდილი იყო "არასანდო ელემენტებისგან!".

2. სხვადასხვა ენჯეოს მეშვეობით ქვეყანაში შემოსული ათობით მილიარდი დოლარი, ყველა კორუფციული მექანიზმის გათვალისწინებით, მხოლოდ ერთი ჯგუფის ნეოლიბერალური იდეოლოგიის გამყარებას ხმარდებოდა.

3. დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო პარტნიორების, ლობისტური ჯგუფების მთავარი მისია-მონაპოვარი მხოლოდ დაქირავებულ-დაფინანსებული ქართული ხელისუფლების "გაპრავება" იყო.

4. ყველა პროექტი, რომელსაც სააკაშვილის, როგორც მარიონეტის, ხელით ახორციელებდნენ, იყო ანტიქართული და იმთავითვე განწირული ომისთვის, დამარცხებისთვის, სახელმწიფოს შესუსტებისთვის.

დღეს, როდესაც ამერიკას ვუყურებ და ვიხსენებ, თუ რა ხდებოდა ამ ცხრა წლის განმავლობაში მსოფლიოში - უკრაინის ნგრევა, ბელორუსიის მოვლენები, პარიზის ყვითელჟილეტიანების დაუსრულებელი აქციები, ბრიტანეთის ბრექსითი, აზერბაიჯან-სომხეთის კრიზისი, საბერძნეთის ეკონომიკურ-პოლიტიკური ჩამოშლა და უამრავი სხვა - მხოლოდ ერთი კითხვა მიჩნდება, როგორ შეძლო, რა ძალისხმევად დაუჯდა ბიძინა ივანიშვილს მსგავსი მასშტაბური, პოლიტიკური კატაკლიზმებისგან გადაერჩინა საქართველო?!

მახსენდება, როგორ ვლანძღავდით, შეურაცხყოფდით, ვეკამათებოდით მას.... პარალელურად კი, თავიდან ვიცილებდით "ქართულ მაიდანს", რუსულ ექსპანსიას, მსოფლიო ტერორიზმის ბუდედ ქცევის საშიშროებას. ბოკერიას და მის ზურგს უკან მდგარ "პარტნიორებს".

ავიცილეთ მსოფლიო პოლიტიკური ექსპერიმენტების ცენტრად ქცევის გარდაუვალი, მიშას დროს დაწყებული საფრთხე! დიახ, ჩვენთან არ ჩატარებულა არც ერთი ექსპერიმენტი! ჩვენთან არ გაუტესტავთ არც ერთი მაშტაბური პოლიტიკური პროექტი!

დიახ, ბოლო წლების განმავლობაში ჩვენ გადავურჩით იმას, რაც დღეს ხდება „დემოკრატიის აკვანში“! სწორედ ეს არის ის მთავარი, რასაც **ბიძინა ივანიშვილმა გადაგვარჩინა - დათმობით, დათმენით, სიბრძნით და სიყვარულით!**

- ამ ყველაფერზე ჯერ კიდევ სამი წლის წინ საუბრობდით, როცა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკიდან წავიდა. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა, ბოლოს და ბოლოს, ქვეყანამ ნანატრი კანდიდატის სტატუსიც მიიღო...

- სამი წლის წინ დავწერე ის, რასაც ვფიქრობდი და რაც ისტორიული ფაქტებით არის დადასტურებული. ამ სამი წლის განმავლობაში, ამ სამი უმძიმესი, ერის სიკვდილ-სიცოცხლისათვის წარმოებული ბრძოლებით დატვირთული 2021-2023 წლების შემდეგ, მაშინ, როდესაც ყველა რუბიკონი თითქოს გადალახულია, მთელი ერი შევცქერით "სატანის მეჯლისზე" აცეკვებულ ვოლანდის სტუმრებს.

არც წმინდა მატრონას ხატის შეურაცხყოფა ყოფილა შემთხვევითი, არც ის, რომ ივანიშვილს უტევენ და ცოდვა-მადლს უტიფრად ურევენ საკუთარი პოლიტიკური ამბიციებისა და დასაკმაყოფილებლად. ცოდვის კალოს ანთებენ საქართველოს მტრები და, თქვენ წარმოიდგინეთ, საქართველოს " მოყვარეებიც"!

ეს ადამიანები რეალურად ყველაფერს ხედავენ, ყველაფერი იციან. იციან წარსულის შედეგები, ხედებიან, სამომავლოდ რა წინსვლა შეიძლება ჰქონდეს ჩვენს ქვეყანას და რა ნაბიჯები შეიძლება გადადგას ბიძინა ივანიშვილმა და სწორედ ამის გამო არიან „შოკირებულნი“. გულდასაწყვეტია, რომ ეს არ არის მხოლოდ უკვე დაშლილი, სამარცხვინო, ერთმანეთს დარეული და გაპარტახებული ქართული ოპოზიცია. არამედ, ესენი არიან ადამიანები, რომლებიც იმავე პლატფორმაზე მოძრაობენ, რომელზეც მე ვარ და ბევრი ჩემი მეგობარია, ესენი არიან, თითქოსდა, ჩვენი ტრადიციების, რელიგიური შეხედულებების დამცველი ადამიანები, მაგრამ მათი მხრიდანაც მოხდა სრულიად გაუგებარი თავდასხმა ბიძინა ივანიშვილზე.

ვიღაც არაადეკვატური ქალი ეკლესიაში შედის და შეურაცხყოფს რელიგიურ სიწმინდეებს, - ეს იყო ჩემი რელიგიური შეხედულებების, ჩემი მწრამსის შეურაცხყოფა. ამ კონტექსტში თავდასხმა ბიძინა ივანიშვილზე და მისი მოხსენიება, რომ თითქოს არაფერი გაუკეთებია, - გასაკვირია. თუმცა, ამავდროულად, გამიჩნდა განცდა, რომ ეს ადამიანები ან გონებრივად ჩამორჩენილები, ან, უბრალოდ, დაუნახავები და უმადურები არიან.

- ლაშა ბუღაძემ „აღმოაჩინა“, რომ მართლმადიდებლური სამყარო ქრისტესშობას 25 ნოემბერს უნდა აღნიშნავდეს და მას სხვა ცნობილი სახეებიც აყვნენ... ყველაფერი კი სამების ტაძარში ნატა ფერაძის შევარდნით დაგვირგვინდა, სადაც მან წმინდა მატრონას ხატი დააზიანა...

- ეს არ არის სიახლე. ყოველ წელიწადს იყო ამაზე საუბარი კათოლიკე ქართველების მხრდან. ოღონდ, წელს ოდნავ უფრო აქტიურები იყვნენ, რადგან ისეთმა ადამიანებმა ილაპარაკეს ამის შესახებ, რომლებიც ადრე მსგავს საკითხში არ ერეოდნენ. ჩვენ ვიცით, რომ სხვადასხვა რელიგიურ კონფესიას მიეკუთვნებიან პოლიტიკურ სპექტრში მყოფი ადამიანები. ძალიან კარგად მახსოვს ბატონ სონღულაშვილთან გიგა ბოკერია რომ იჯდა კათოლიკურ ტაძარში... აგერ, ჯაფარიძეს, საერთოდ თავისი ტენტგადაფარებული ეკლესიები აქვს... ასე რომ, ეს ჩემთვის ყურადსაღები არ არის. დიდად არ ჩავრეულვარ, უბრალოდ, ძალიან შეურაცხყოფილი ვიყავი. სწორედ ასე ანადგურებდნენ ხატებს, ჯვრებს, სიწმინდეებს ლიბერალ-ტროცკისტ-კომუნისტები.

ძალიან მიყვარს წმინდა მატრონა. ცხოვრებაში ბევრი განსაცდელი მქონია და როგორც ღვთისმშობელს ვედექი მუხლებზე და ვევედრებოდი, როგორც ვევედრებოდი მაცხოვარს, ვევედრებოდი ჩვენს ქართველ წმინდანებს, ანალოგიურად ვევედრებოდი წმინდა სერაფიმეს, წმინდა მატრონას... პეტერბურგშიც კი ჩავედი, ჩემი შვილიშვილის საკითხთან დაკავშირებით, რომ ქსენია პეტერბურგელის საფლავზე გავსულიყავი და მელოცა. ჩვენ ქრისტიანულ სამყაროში ვცხოვრობთ და ჩემთვის ძალიან ძვირფასია როგორც კვირიკეს და ივლიტას, ამ უწმინდესი დედა-შვილის, ასევე, ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს მკვიდრი წმინდანების ხატები. იმდენი სიკეთე აქვთ ჩემთვის მოტანილი და ისე მიყვარს თითოეული მათგანი...

მე ვფიქრობ, პოლიტიკოსებმა გადაწყვიტეს, რომ ამ ყველაფრისთვის პოლიტიკური სარჩული მიეცათ, რაც არის ცოდვა-მადლის საკითხი. ადამიანთა კატეგორია განწირულია იმისთვის, რომ ასეთი ცოდვა ჩაიდინონ და ღმერთმა უშველოს მათ. ყოველთვის ვცდილობ, რომ სინოდის გადაწყვეტულებები მივიღო ისე, როგორც არის, რადგან ეს ჩემთვის წმინდა სინოდია და მე არ მინდა პოლიტიკა იქ, სადაც არის უწმიდესი და უნეტარესი, ჩვენი პატრიარქი. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე არ ვიცი, როგორ ხდება თემის დამუშავება, აგორება და შემდეგ ამის საპატრიარქოს წინააღმდეგ გამოყენება. ამიტომაც, როგორც საქართველოს ერთი რიგითი მოქალაქე, ვეცდები, ვიყო ჩასაფრებული, ვიყო ყურადღებით, რათა არ მოხდეს მსგავსი დაპირისპირება და ვიღაც-ვიღაცების „წამოკიდება“.

მე ვიცი, რომ 2024 წელი იქნება დაძაბული, რადგან არჩევნების წელია, არჩევნებია აშშ-ში, ევროკავშირში, რუსეთში და სხვა ბევრ ქვეყანაში... წელს, უნდათ თუ არა, უკრაინის ომი უნდა დაამთავრონ, თუ არადა, უკრაინა, პრაქტიკულად, აღარ იარსებებს.

ამ ფონზე მე ვფიქრობ, რომ საქართველო შეძლებს მშვიდად და წყნარად მისვლას არჩევნებამდე. უბრალოდ, მინდა ვუსურვო ბატონ ბიძინას, რომ ამ არჩევნებისთვის მაინც შეძლოს თავისი გულით და პრაგმატული გონებით ისეთი ადამიანების შერჩევა, რომლებიც შემდგომ უკან არ მოუბრუნდებიან ბოროტებით და არც მას მოუშლიან ნერვებს და არც ჩვენ!

დაბოლოს, ბედნიერ წელს გისურვებთ, მადლის ცოდვისგან განმასხვავებლებო! იხარეთ და იბედნიერეთ მშვიდობიან საქართველოში, სადაც ქრისტიანობის, წმინდანთა ხატების და წმინდა ნაწილების მსუბუქი დასასვენებელი იქნება ღვთისმშობლის კალთის ქვეშ!

ნონა ქარქაშაძე

ჩვენ როგორც ერი, ვიზრდებით, პრაგმატულად აზროვნებას ვიწყებთ

გვესაუბრება სასამართლო სამედიცინო ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი:

— ქალბატონო მაია, ახალი პოლიტიკური წელიც დაიწყო. რა გამოწვევების წინაშე დგას საქართველო და, ზოგადად, მსოფლიო 2024 წელს?

— პირველ რიგში, მინდა, „საერთო გაზეთის“ რედაქციას, თქვენს ერთგულ მკითხველს შობა-ახალი წელი მოგილოცოთ. ბედნიერ 2024 წელს გისურვებთ. მჯერა, 2024 უკეთესი წელი იქნება, ვიდრე გასული.

გარე საფრთხეების თვალსაზრისით, 2023 წელი ბევრად რთული იყო. 2024 წელი კი ქართველი ერისთვის გონიერების გამოჩენის წელი იქნება. საინტერესო იყო 2023 წლის დასასრული, რაც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას დაუკავშირდა. **მან პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობითაც გასული ფელი დახურა. ქართული პოლიტიკური სპექტრი — არც ოფიციოზი და არც ოპოზიცია, ამას არ ელოდა.** ეს ყველასთვის მოულოდნელი იყო, რაც ბატონ ბიძინას სჩვევია, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანი როგორც ქვეყნის შიდა, ისე საგარეო პოლიტიკისთვის. გადავხედოთ მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებს. ამერიკამ ჩვენს მიმართ ტაქტიკა შეცვალა. თუმცა, თავად ამერიკელები არ იცვლებიან — მათთვის მეგობარი არ არსებობს. ევროპა უმცროს ძმად, შორეულ, ღარიბ ნათესავად მიაჩნიათ, მაგრამ ჩვენისთანა ქვეყნების მიმართ კოლონიალური დამოკიდებულება აქვთ. სხვა ილუზია არ უნდა გვქონდეს. ჩვენ პოსტსაბჭოთა ქვეყანა ვართ, რომლის მიმართაც მათ ავადმყოფური ფობია აქვთ და ამ დამოკიდებულებას ვერაფერი შეუცვლით. დღეს ტაქტიკა იცვლება. თუმცა ამერიკისგან კარგს არაფერს უნდა ველოდეთ, მით უმეტეს, დღევანდელ სიტუაციაში.

დავაკვირდეთ, რა ხდება თავად ამ ქვეყანაში, ანუ ჩვენს მახრჩობელა მეგობარ აშშ-ში. ბაიდენი ქვეყანას ვერ მართავს. ტრამპმა იკითხა: პატარა მარკეტი რომ გქონდეთ, ბაიდენს თუ ჩააბარებდით მის მართვასო. ამ დროს, ის ქვეყნის პირველი პირია.

საინტერესო მოვლენა იყო ლოიდ ოსტინის ავადმყოფობა, რომელმაც ოპერაცია გაიკეთა და ამის შესახებ არავის ამცნო. პენტაგონის შეფი რამდენიმე საათი რეანიმაციაში უგონოდ იყო და ამერიკის ბირთვული ტრიადა, ფაქტობრივად, უპატრონოდ რჩებოდა. სახეზე გვაქვს ამერიკული სახელმწიფოს მმართველობის რღვევა. ოსტინი ისე გაქრა, ამის შესახებ ამერიკის ნაციონალური უსაფრთხოების მრჩეველმა არაფერი იცოდა. ასეთი პარტნიორისგან, შენი მოკეთეც რომ იყოს, რომლის სახელმწიფოც ასეთ რღვევას განიცდის, კარგს რას უნდა ელოდე?!

დღეს საქართველოსთვის „შუა დერეფნის“ თემა უმნიშვნელოვანესია. ეს აბსოლუტურად ყველა ჩვენს მეზობელს აწყობს. ასევე, ახლო და შორეულ მეზობელს ევრაზიის კონტინენტზე. „შუა დერეფნის“ ამუშავება შედის თურქეთის, არაბული სამყაროს, ინდოეთის, ჩინეთის, შუა აზიის, რუსეთის, ირანის, აზერბაიჯანის ინტერესში. ევროპას კი ეს სასიცოცხლოდ სჭირდება. თუმცა, ამ პროექტის ამუშავება არ აწყობს აშშ-ს, რომელმაც ევროპა, ფაქტობრივად, მუხლებზე დააყენა. მაგალითად, გერმანიის ეკონომიკამ მეოთხე ადგილიდან უკან გადაინაცვლა. ერთ-ერთი მაღაზიის კარზე ასეთი წარწერა იყო: **ყველა პროდუქტი ზოლცმა და ზელენსკიმ შეჭამესო**. ფერმერებიც გაიფიცნენ — მათთვის სახელმწიფოს მცირე თანხაც აღარ ემეტება, სამაგიეროდ, თანხებს იმეტებს ომისთვის! არავის ეგონოს, თითქოს ეს უკრაინელების სიყვარულის გამო ხდება. მალე აშშ-ში არჩევნები იქნება, მანამდე კი ცდილობენ, პატრონის დავალებები შეასრულონ. ოღონდ, ვინ არის პატრონი, ვინ მართავს რეალურად აშშ-ს, ეს არავინ იცის. **ამერიკას უჩინმაჩინი, ფანტომასი მართავს**. საინტერესო ისაა, რომ აშშ-ს რეალურად მართავენ ისინი, ვინც ამერიკელ ხალხს არ აურჩევია. აქ სრულდება ამერიკულ არჩევნებზე და დემოკრატიაზე ილუზია. ეს ხომ ილუზაა — ქვეყანას მართავს ადამიანი ან ადამიანები, რომლებიც არავის აურჩევია. ამერიკაში, პრაქტიკულად, არჩევითობა დამთავრებულია. პოლიტოლოგების თქმით: „დემოკრატები“ და „რესპუბლიკელები“ ერთმანეთთან შეურიგებელი ძალებია. ამიტომ ტრამპისა და ბაიდენის არჩევნებში მონაწილეობა ქვეყანას სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიიყვანს. ზოგი შტატი არჩევნების სიიდან იღებს ბაიდენს, ზოგი — ტრამპს. ანუ, ამერიკის გახლეჩვის პროცესი მიმდინარეობს. ასეთ ვითარებაში, ალბათ, სამოქალაო დაპირისპირება გარდაუვალია, თუ ხელისუფლებაში მესამე ძალა არ

მოვა, რომელიც კლანური მმართველობისგან თავისუფალი იქნება. ოსტინის გაქრობამ ეს დაადასტურა. ოსტინი ობამას კლანის წარმომადგენელია, ბაიდენი კი — კლინტონების. კლანებმა ერთმანეთს ინფორმაცია დაუმალეს.

რაც შეეხება საქართველოს, მინდა აღვნიშნო, რომ მთელი წლის განმავლობაში ღარიბაშვილის საგარეო პოლიტიკა ძალიან წარმატებული იყო. მან მთელი გლობალური სამხრეთი შემოიარა. ასევე, ჰქონდა ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრები ევროპის წამყვანი ქვეყნების მაღალჩინოსნებთან, რაც, საბოლოოდ, საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მონიჭებით დასრულდა. საგარეო პოლიტიკური მოსამზადებელი სამუშაოები მაფიქრებინებს, რომ შემდეგი ეტაპი ამ ქვეყნებთან გახსნილი, უკვე დეკლარირებული ურთიერთობები, „შუა დერეფნის“ გაფორმება იქნება. როცა ეს მოხდება, ხელმომწერები აუცილებლად იქნებიან ევროპის წამყვანი ქვეყნები, ევროკავშირის სახელით.

ამ საკითხის მოსაგვარებლად აუცილებელია აფხაზებთან და ოსებთან (თავად ხალხთან და არა ტერიტორიებთან) ურთიერთობების დარეგულირება. ეს რა ფორმით მოხდება, ძნელი სათქმელია. მუდმივად გავიძახით: დავიბრუნებთ ტერიტორიებს, გავმთლიანდებითო, თავად ადამიანებზე კი იშვიათად ვსაუბრობთ. ამ მიმართულებით დიდი სამუშაოებია ჩასატარებელი. თაობები ჩვენგან შორს, მტრული განწყობით გაიზარდნენ. მათ მრავალი წელი უჩვენოდ იცხოვრეს. შედეგად, გაუცხოებულები ვართ.

ერთმანეთი თავიდან უნდა გავიცნოთ, საერთო ინტერესები გამოვძებნოთ, მაგრამ რუსეთის კეთილგანწყობის გარეშე ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია. ევროპელების შეშფოთებით, აგერ უკვე ოცდაათი წელია, არაფერი იცვლება. მათ შფოთვები და ოხვრები რუსეთს სასაცილოდ არ ჰყოფნის. ნახევარი უკრაინა გაწყდა, უკვე ქალებს აშზადებენ ომში წასასვლელად. ევროპა აღარც შფოთავს — ესეც მობეზრდა. უკრაინელების სიცოცხლეს მათთვის ჩალის ფასი აქვს. რუსეთის ჩვენდამი კეთილგანწყობა, ჩემი რწმენით, ჩინეთის, ინდოეთის და არაბული სამყაროს ჩარევით, მოლაპარაკებებით მოხდება. მეტი გონიერების გამოჩენით უკეთესი წელი გვექნება. მსოფლიო წესრიგი იცვლება. თუ გარედან დაფინანსებული შიდა მტრების მიერ საომარ პროვოკაციებს ავირიდებთ, ეს მნიშვნელოვანი იქნება საქართველოს, აფხაზეთისა და ოსეთისთვისაც.

— დამოუკიდებლობიდან მოყოლებული, მუდმივ რყევებში ვართ. რატომ ვერ დავლაგდით? გარეთ ოცდამეერთე საუკუნეა, მაგრამ თითქოს კალენდარი აგვერია...

— ჩვენ გვგონია, ტექნოლოგიები რაც უფრო წინ მიდის და სამყარო ვითარდება, მით მეტი კულტურა, კეთილი ურთიერთობები, უსაფრთხოება იქნება. შექმნილმა რეალობამ დაგვანახვა, რომ ასე არაა — რაც გვინდოდა, უტოპიური ყოფილა. ვეფხვები რომ არ იკბინებიან და ადამიანებთან არიან ჩახუტებულნი, ეს ხომ უტოპიაა. საბჭოთა ადამიანებს, როგორც რუსეთს, ლიბერალიზმის ვირუსი შეგვეყარა. მათაც ეგონათ, დათვები, ვეფხვები, ადამიანები ერთად გადასარევად იცხოვრებდნენ, მაგრამ ასე არ აღმოჩნდა. ევროპას ის მივაწერეთ, მასში იმას ვეძებთ, რაც იქ რეალურად არ არის. მე-19 საუკუნის ევროპა განვითარებული იყო ლიტერატურის, ფილოსოფიის დონეზე, თორემ სხვა მხრივ, ებრაელები ქუჩაში რომ მიდიოდნენ და გზად გერმანელს შეხვდებოდნენ, ტროტუარიდან უნდა ჩასულიყვნენ.

ახლა დააკვირდით, რას აკეთებს ჩვენი „მახრჩობელა მეგობარი“ ამერიკა — მან ჩამოუარა სუსტ ქვეყნებს — სირიას, ერაყს, ავღანეთს, ცეცხლი შეუნთო მათ,

ქვეყნიდან აყარა, ჩახოცა. ისრაელი ერთ-ერთი მაღალტექნოლოგიური, ძლიერი სახელმწიფო გვეგონა და თურმე, ყოველწლიურად ამერიკიდან იღებდა 4 მილიარდ დოლარს დახმარების სახით. ამის გარეშე ისრაელის სამხედრო ძლიერება ილუზია ყოფილა. 25 ათასი ადამიანი განადგურდა ღაზას სექტორში და ვითომ არაფერი. მიგრანტები ევროპისკენ დაიძრნენ. რა ელის ევროპას ამდენი მიგრანტისგან, რომელიც ამერიკამ თავიანთ ქვეყნებში არ მოასვენა. ის ყველგან ჩაერია და სიკეთე არავის მოუტანა, ქვეყნები გააუბედურა. ჰეგემონია დამღუპველია. ამერიკამ რუსული პოლიტელიტა ლიბერალიზმის ბანგით დაათრო. დღეს ხვდებიან, რომ ბანგით იყვნენ გაბრუებულები და თავიანთ იმპერიულ ხედვებს, აზროვნებას უბრუნდებიან, ლიბერალიზმს კი უკვე ჭირად მიიჩნევენ.

ახლა საკმაოდ რთულ პერიოდს გავდივართ, ოღონდ ეს კარგიც არის — 24 თებერვლის მერე ნიღაბი ბევრს ჩამოსძვრა, ილუზიები დაიმსხვრა. თუ ევროპა იმიტომ მოგვწონდა, რომ იქ უსაფრთხო, უზრუნველი ცხოვრებაა, იქ კი არ უნდა გავიქცეთ, იგივე თავად ჩვენს ქვეყანაში უნდა შევქმნათ. **ჩვენ როგორც ერი ვიზრდებით, საღად, პრაგმატულად აზროვნებას ვიწყებთ**. რუსეთს ვეუბნებით: თუ კარგი ხარ, აფხაზეთი და სამაჩაბლო დაგვბრუნეო. ეს ხომ ინფანტილიზმია. ამერიკას ვეუბნებით: თუ კარგი ხარ, დამიცავიო. ნატო დაგვიცავსო და ჩვენი „ორიენტაცია“ კონსტიტუციაში შევიტანეთ. ხომ ვხედავთ, რომ ნატო არავის დამცველი არ არის. განა დაიცვა ნატომ უკრაინა? — არა. ნატო დაცვა არ არის, პროვოკაცია და გაუბედურებაა. ამას ნელ-ნელა ვაცნობიერებთ. ანუ, ჩვენ ილუზიების მსხვრევაში, როგორც ერი ვიზრდებით. ჩვენ უნდა ვიფიქროთ იმაზე, ჩვენთვის რა სჯობს. კარგ პროცესში ვართ იმ თვალსაზრისით, რომ ნელ-ნელა საზოგადოება ილუზიებიდან გამოდის და უფრო ჯანსაღი, თამამი ხდება. ჩვენი აქილევსის დიდი ქუსლი ახალგაზრდა თაობაა, რომელიც სასწრაფოდ, SOS-ის რეჟიმში გადასარჩენი გვყავს იმ ცარიელი განათლებისგან, რასაც ჩვენი განათლების სისტემა მას აძლევს. იქნებ, უფროსმა თაობამ, რომელიც გამოფხიზლდა ახალგაზრდების იდეოლოგიურ გადარჩენაზე იფიქროს.

— ბოლოს სამების ტაძარში დაბრძანებულ წმინდა მატრონას ხატთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ, რაზეც ვნებათაღელვა არ ცხრება...

— თოხარიკი ქართველი ნეოლიბერალები გაავებულები დარბიან, ხან წმინდა მატრიონუშკა არ მოსწონთ, ხან სტალინი „ემძიმებათ“, ხან უწმიდესის გვარს „თარგმნიან“, ხან მეფეებს „ეხანჯლავებიან“, ხან თავიანთ თავსაბურავზე — პრეზერვატივებზე მეფეთმეფე თამარს მიიხატავენ... რეალურად, ეს მხოლოდ საქართველოს პრობლემა როდია. მართლმადიდებლობას და ტრადიციულ რელიგიებს მომაკვდავი ნეოლიბერალები ყველგან უტევენ. თოხარიკი ქართველი ნეოლიბერალები მათ უკან მიჩანჩალებენ და უცხოურ ხელფასს ინფანტილურ-იდიოტურ ქცევებში იღებენ. პროვოკაციების ეს სერიაც გარედან დაგეგმილი, მართული და პოლიტიკურია ისევე, როგორც: შარლ ებდოს პროვოკაცია; ყურანის დაწვა აზრის გამოხატვის სახელით; სატანისტების მიერ უკრაინაში ეკლესიებში როკვა, კიევო-პეჩორის ლავრაში შეჭრა, მღვდელმთავრის დაპატიმრება; ამ შობას იტალიაში მაცხოვრის მშობლებად ორი ქალის ან ორი კაცის გამოძერწვა; ერთსქესიანთა კურთხევის დაშვება და ა.შ. ეს და სხვა მრავალი მკრეხელობა ერთი ჯაჭვის რგოლებია, ლეო ტროცკის აზდენილი ოცნება — მესამე, ფაშისტურ-სატანისტური ინტერნაციონალი!

ჭინკები ეკლესიას ვერას დააკლებენ, ვერც საქართველოს, მაგრამ გამოძევებული ხატი?!

თამარ შველიძე

რა საჭიროა კაცა ბელელში, თუ თაგვების დაჭერას აუკრძალავენ?!

გასული წლის 30 დეკემბრიდან ისეა გარინდული ქართული პოლიტსივრცე, რომ ერთი-ორი და ისიც ნაძალადევად გადმოგდებული მოკლე ფრაზა ცალკეული მსუნაგი ვირთხისგან, ატმოსფეროს ვერ ცვლის.

რა ქნა ამ კაცმა? — ჯერ ხომ საოცრად მოდის, შემდეგ საოცრად მიდის; შემდეგ ისევ მოდის და ისევ მიდის, მიდის და მოდის — ისედაც ჟამკარარეულ ე. წ. ოპოზიციას ესღა აკლდა!

ბატონი ბიძინას პოლიტიკაში კიდევ ერთხელ ჩართვისკენ მობრუნებას წინ „ხალხის ძალის“ განცხადება უძღვოდა, რომელიც მოკლედ ასე იკითხება: ნაცმო უნდა გასამართლდეს!

დიახ, მართალი ბრძანა „ხალხის ძალის“ ყველა წარმომადგენელმა, რომ ხალხის მოთხოვნაა, გასამართლდეს „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ მათ მიერ ჩადენილი უამრავი დანაშაულის გამო, როგორც პიროვნულ, ისე სახელმწიფოებრივ დონეებზე.

ხალხი მეტსაც ითხოვს — „ნაცმო“, როგორც პარტია, აიკრძალოს, აღნიშნული პარტიის წევრებს კი აეკრძალოთ სახელმწიფოებრივ სტრუქტურებში მუშაობა, რადგან ეს იმ ადამიანთა გაერთიანებაა, რომელთაც ერთხმად ამოიღეს სისხლის სამართლის კოდექსიდან „სამშობლოს ღალატის“ მუხლი და აბსოლუტურად გამიზნულად უღალატეს სამშობლოს, სისხლით თუ უსისხლოდ ტერიტორიები ჩამოაჭრეს საქართველოს მეზობლებს მიართვეს.

კი, უნდა გასამართლდეს, გვარიანადაც კი დაიგვიანა სამართალმა, მაგრამ სანამ ბატონი ბიძინა უცნაურად და მოულოდნელად კიდევ წასულა, აუცილებლად უნდა გავიხსენო არცთუ შორეული წარსული.

როდესაც ბატონმა ბიძინამ დააკონკრეტა, რომ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკიდან წავიდოდა, იმ დროში ამას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვა. წერა-კითხვასთან მწყრალად მყოფმა „ნაცებმა“, „არიქა, გვეშველა, ივანიშვილი მიდისო!“ — სიხარულისგან ლამის საყოველთაო „მაღარიჩი“ გადაიხადეს, ივანიშვილის ავტორიტეტზე ჩამოკიდებულმა „ძალიან ქოცებმა“ კი გლოვა გამართეს წინსწრებით; ოპტიმისტებმა — ტესტი ჩაატარაო, პესიმისტებმა — რას ჰქვია, წავა! ბიძინას უჭირავს ხელში ყველა და ეგ რომ წავიდეს, თავზე დაგვემხობა პირველი ოქტომბერი, მობრუნდებიან „ნაცები“ და ზოგს ციხეებში ამოგვალპობენ, ზოგს გაგვჟუჟავენო.

ხალხის რეაქციას მეორე დღესვე გამოეხმაურა პრემიერი, პოლიტიკიდან წასვლის განზრახვა არ ნიშნავს ქვეყნიდან წასვლას, ეს მხოლოდ საზოგადოებრივ სექტორში გადასვლას და სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების გეგმებს უკავშირდება, იქ ვიქნები, სადაც ყველაზე რთულადაა საქმეო. ახლაც იმავე მოტივით დაბრუნდა, კარგად ხედავს, სად აქვს ყოფნა-არყოფნის სირთულე საქართველოს და დასცა კიდეც შიშის ზარი ბარე ორს...

იმ დროს საქმეში წერა-კითხვის მცოდნენიც ჩაერთვნენ ორივე მხრიდან და პრემიერ ივანიშვილის წასვლის შემთხვევაში, სავარაუდოდ, როგორ წარიმართებოდა მოვლენები, ამის შესახებ სცენარები წარმოადგინეს. ვიღაცამ ამოღერღა, თუ ბიძინა მართლა წავიდა, სამი სცენარი შეგვიძლია წარმოვიდგინოთო და მოკლედ ჩამოაყალიბა. (მოგეხსენებათ, ჰაიჰარად არ მახსენდება ხოლმე „რაღაც“ ამბები).

1. იმპერატორ დიოკლეტიანეს სცენარი — იმპერატორმა თავისი

საქმე გააკეთა და გადადგა, რის შემდეგაც, როგორც ამბობენ, უმეტესად თავისი ბაღჩის მოვლით იყო დაკავებული.

ძირითადი განსხვავება ჩვენს შემთხვევასთან — ხსენებულმა იმპერატორმა 31 წელი მართა ქვეყანა და, ისტორიკოსთა შეფასებით, ბევრიც მოასწრო.

2. ივანე მრისხანეს სცენარი — ბოიარების ქცევით გაბეზრებული მეფე მიდის, რათა შემდეგ იგივე ბოიარები მუხლებზე ხოხვით შეევედრონ, დაბრუნდიო, დაბრუნების სანაცვლოდ კი მეფე მეტ მორჩილებას მოითხოვს. ანალოგიური რამ ვნახეთ დაახლოებით ოცი წლის წინათ თბილისში, როცა ხალხი მუხლებზე დაუდგა გადამდგარ ედუარდ შევარდნაძეს. ისიც დაბრუნდა და ამ მანევრით „მხედრიონზე“ პირველი მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა.

ძირითადი განსხვავება ჩვენს შემთხვევასთან — ივანიშვილს თითქოს მისი გარემოცვა არ ეურჩება, ამაზე მეტი რაღა ქნან?

3. დენ სიაო პინის სცენარი — 1992-1997 წლებში ჩინეთის მთავარ არქიტექტორს ოფიციალური თანამდებობა არ ეკავა, მაგრამ რეალურად სახელმწიფო პოლიტიკის განმსაზღვრელად მიიჩნეოდა.

ძირითადი განსხვავებები ჩვენს შემთხვევასთან — ფორმალურ გადადგომამდე დენი დიდხანს იყო ხელისუფლებაში და უმნიშვნელოვანესი რეფორმები განახორციელა. მისი არაფორმალური ძალაუფლება ამ რეფორმებით მოპოვებულ ავტორიტეტს ეყრდნობოდა და არა მის პირად ფინანსებს.

ამ სამიდან რომელი სცენარით მოქმედებას აპირებს ბიძინა ივანიშვილი გადადგომის შემდეგ? — როგორც მინიმუმ, ვალდებულია, რომ ესეც ახლავე გვითხრასო.

ქვეყნისთვის კარგი არც ერთი არ არის, თუნდაც პირველი ვარიანტი, რადგან მეოცნებე კოალიცია თავისი ლიდერის გარეშე ქმედითუნარიანი არ არის და ღმერთმა იცის, მასში რა დატრიალდება. თუმცა, უკვე ის, რომ თავადვე იცის, ვინ ეყოლება მემკვიდრედ, მიანიშნებს, რომ დენ სიაოპინობას აპირებს, ანუ უნდა ძალაუფლება პასუხისმგებლობის გარეშე. რეალურად რა გამოვა ამ ყველაფრიდან, ეს უკვე სხვა ამბავიაო, — ასკვნიდნენ.

რა გამოვიდა „იმ ყველაფრიდან“, ვხედავთ, მშვიდობიანი უღრუბლო ცით შევხვდით 2024 წელს, ხელში კი ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი გვიკავია, მაგრამ ქვედა დინებებს რომ სათავე გადაეკეტოს, დიდზე დიდად საშური საქმეა, ამისთვის მობრუნდა კიდევ ერთხელ ეს დიდი მოთამაშე და ეგებ, ვაცალოთ?

„როცა ძალაუფლების გარეშე გავლენა ჰქონდა პიროვნებას პოლიტიკაზე, თუ არ ვცდები, სულ 2-ჯერ იყო, ერთი ინდოეთში განდი და მეორე ჩინეთში — დენ სიაო პინი. ორივე ამ ფიგურას ჰქონდა ქვეყნის განვითარების არსებითი კონცეფცია. ჩინეთის ეკონომიკა სხვა საფეხურზე აიყვანა დენ სიაო პინმა და ინდოეთის პოლიტიკური განვითარების გზა მაჰათმა განდიმ, ამ პირობებში კი, ძნელი სათქმელია ანალოგიური ფუნქცია ჰქონდეს ივანიშვილს, რადგან კონცეპტუალური ამოცანა არ დგას დღეს საქართველოს წინაშე. კონცეფციაში ყველა შეთანხმებულია — ევროპული ორიენტაცია, დემოკრატია, თავისუფალი ბაზარი და ა. შ. ძირითადი პრობლემა, რაც საქართველოს უდგას, ეს არის საშემსრულებლო პრობლემა და არა კონცეპტუალური. ის, თუ მინისტრები და სხვა დონის ჩინოვნიკები როგორ ასრულებენ ამ დასახულ მიზნებს, აი, აქ აქვს საზოგადოებას ივანიშვილის გარანტია, რომ ის, როგორც შეძლებული, პატიოსანი ადამიანი, არ მისცემს ჩინოვნიკებს ქურდობის, ტყუილის და უსაქმურობის საშუალებას. ამდენად, ის სისტემაშია საჭირო და არა სისტემის გარედან მაყურებლად“, — ეს რამაზ საყვარელიძის მაშინდელი კომენტარია.

ბატონი პრემიერი რა „სცენარს“ გეგმავდა, არავინ იცოდა; არც ის იცის ვინმემ, ახლა რას გეგმავს, მაგრამ რატომ გამახსენდა კვლავ დენ სიაო პინი, რომელმაც განათლება მოსკოვის აღმოსავლეთმცოდნეობის უნივერსიტეტში მიიღო, ვინ იყო იგი, ვფიქრობ, ვინც არ იცის, დაინტერესდება, ხოლო ვინც იცის, ნართაულად შევახსენებ.

დავიწყოთ იმით, რომ პინი პირადად მონაწილეობდა 1917 წლის მოვლენებში რუსეთში, იცნობდა სტალინს, ლენინს, ტროცკის და შემდგომში პინის აქტიური მონაწილეობით მოხდა რევოლუცია ჩინეთში.

ტანმორჩილი მაგრამ გამჭრიახი გონების პინი მიხვდა, რომ აუცილებელი იყო გრანდიოზული რეფორმა ჩინეთში და დაიწყო კიდეც. პინი იმასაც მიხვდა, რომ ამერიკელ ინვესტორს უპირველეს ყოვლისა, სტაბილურობის დონე აინტერესებს ამა თუ იმ ქვეყანაში და არა დემოკრატიულობის ხარისხი და ამის მკაფიო მაგალითი დაიდო კიდეც — იმ დროისათვის, როდესაც აშშ, რომელიც მკაცრად აკრიტიკებდა ჩინეთს ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო, ჩინეთის ეკონომიკაში ასეულობით მილიარდი დოლარის ინვესტირებას ახდენდა, უკვე აფუთფუთებულ საბჭოთა კავშირ-რუსეთში კი მხოლოდ 170 მილიონი დოლარისას...

დიდი რეფორმატორისა და ჩინეთის ეკონომიკის ამყვავებლის დენ სიაო პინის ხსენებისას ყველას „ავიწყდება“, რომ იგი სიცოცხლის ბოლომდე ჭკვიან და სასტიკ დიქტატორად დარჩა და მის კისერზეა 1989 წლის მაისში ტიან-ან-ძინის მოედანზე ჩინეთის არმიის მიერ მისი ბრძანებით 10 000 მოკლული სტუდენტის სისხლი.

წლების წინათ დასავლეთის პრესაში პოპულარული იყო გამოთქმა „ვინ არის მისტერ ჰუ?“ — რადგან სიტყვაძუნწი ჰუ ძინ ტაო მხოლოდ პარტიისა და ქვეყნის მართვის შესახებ საუბრობდა ჟურნალისტებთან და ისიც ძალიან მშრალად და ოფიციალურ ენაზე.

რადგან დღეს უკვე ვიცით, ვინ არის ჰუ ძინ ტაო, ახლა ის ვიკითხოთ, საიდან მოდის?

ჰუ თავდაპირველად საკუთარმა ქალიშვილმა წარუდგინა დენ სიაო პინს 80-იანი წლების დასაწყისში. შემდეგ, უკვე 1989 წელს, როდესაც ტიბეტში ეთნიკურ ნიადაგზე მოხდა ამბოხება, ჰუც ისევე სწრაფად და სასტიკად გაუსწორდა ამბოხებულებს, როგორც დენ სიაო პინი. ჰუმ პინის დიდი ნდობა და სიმპათია დაიმსახურა, შესაბამისად, 1992 წელს დენმა იგი ჩინეთის კომპარტიის ყრილობაზე პოლიტბიუროს მუდმივმოქმედ ჯგუფში შეიყვანა, ამასთანავე ძიან ძე მინის ოფიციალურ მემკვიდრედ დაასახელა. ძიან ძე მინს მემკვიდრედ საკუთარი მოადგილე ძენ ცინ ხუნი ეგულებოდა, მაგრამ დენის ავტორიტეტი იმდენად დიდი იყო, რომ წინააღმდეგობის გაწევაც კი ვერ გაბედა.

ისევ სწორად გათვალა დენმა და ჰუმ საკუთარი მენეჯერული ტალანტის სრულად რეალიზება შეძლო, ქვეყნის ეკონომიკა მეორე ადგილზე გავიდა აშშ-ის შემდეგ. ჩინეთის სავალუტო რეზერვებმა კოლოსალურ ციფრს (3,4 მლრდ) მიაღწია და ჩინეთი მსოფლიოს უდიდეს კრედიტიორად აქცია. (ბლუმბერგის მონაცემებით, „ზეცისქვეშეთის“ რეზერვები საკმარისია იმისათვის, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყნის ცენტრალურ ბანკებში შენახული ოქრო ორჯერ გამოისყიდოს).

სწორედ ჰუს მმართველობის პერიოდში გახდა ჩინეთი გლობალური მოთამაშე და მისი ეკონომიკური ინტერესები დაფიქსირ-

და მსოფლიოს ყველა, შორეულ კუთხეებშიც კი.

როდესაც ჟურნალმა „ფორბსმა“ მსოფლიოს უძლიერეს მამაკაცად პირველი ადგილი ჰუს არგუნა და გვერდზე ჩააჩოჩა ბარაკ ობამა, უძლიერეს ქალბატონად კი ანგელა მერკელი დაასახელა, ეს რატომღაც ჟურნალისტურ თამაშად მონათლეს, მაგრამ მერკელისა და ჰუს ტანდემმა სეულში თავისი სიტყვა თქვა. „დიდი ოცეულის“ სამიტზე მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს ქვეყანათა სახელმწიფო და მთავრობის მეთაურებმა საკუთარი თვალით იხილეს, როგორ განსაზღვრავენ მსოფლიო სტრატეგიას ძლიერი პიროვნებები...

2011 წელს არაბულ ქვეყნებში დაწყებულმა საპროტესტო ტალღამ ჩინელი აქტივისტებიც გამოაცოცხლა, მაგრამ ჩინეთის მთავრობამ რეპრესიული მანქანა მომართა, გამკაცრდა კონტროლი ინტერნეტზე, დაიწყო როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ ჟურნალისტებზე ზეწოლა, დააკავეს და დაკითხეს ადამიანის უფლებათა დამცველი აქტივისტები და ბლოგერები, რომელთაგან ზოგი ჩინეთის მთავრობის წინააღმდეგ მოქმედებების ბრალდებით დააპატიმრეს, ზოგს ანტიკომუნისტური ფიქრების ტვინიდან გამოსაბერტყად შინაპატიმრობა მიუსაჯეს, ჩინეთს ბუზიც ვერ აუფრინა მსოფლიომ და ადამიანის უფლებების უდიდესმა დამცველმა — აშშ-მა...

ისევ დენ სიაო პინს მივადექით — ჩინეთის მიერ აღებული პოლიტიკური და ეკონომიკური კურსი მისი მოდელია, რომელიც სამ საყრდენზე იყო დაფუძნებული. დენმა კომუნისტური პარტიის ლეგიტიმურობა არა იდეოლოგიაზე, არამედ ეკონომიკურ წარმატებაზე დააფუძნა. ეკონომიკურმა პრაგმატიზმმა (თავისუფალ ბაზარზე გადასვლა და საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაცია) მოუტანა ჩინეთს არნახული ეკონომიკური ზრდა.

მეორე საკვანძო რეფორმა პოლიტიკაში მოხდა — გააუმჯობესა ურთიერთობები აშშ-სთან და საგარეო პოლიტიკაში იდეოლოგიურ აქცენტებზე უარი თქვა. ჩინეთმა გადაწყვიტა, ეკონომიკური და სხვა სახის ურთიერთობები ჰქონოდა ნებისმიერ სახელმწიფოსთან, რომელიც მას (არა ტაივანს) აღიარებდა ქვეყნის ტერიტორიების ერთადერთ წარმომადგენლად. მისი პოლიტიკა კონფლიქტების თავიდან აცილებასა და საერთაშორისო საკითხებზე რაც შეიძლება მცირე პასუხისმგებლობის აღებას ითვალისწინებდა.

მესამე — მისი მოდელი არ გულისხმობდა შიდაპოლიტიკურ რეფორმებს, მმართველობა ისევ ჩინეთის კომუნისტური პარტიის ხელში უნდა დარჩენილიყო.

დენ სიაო პინის რეფორმების სტაბილურობას ხელი შეუწყო იმან, რომ ქვეყნის სათავეში ძალაუფლების გადაცემის ინსტიტუციონალიზაცია მოხერხდა და დღეს სახეზე გვაქვს დენ სიაო პინის რეფორმებისა და მისი მემკვიდრეების ჩინეთი.

1990-იანი წლებიდან მოყოლებული, ეკონომიკურ განვითარებას ჩინეთში ამბიციების გაზრდაც მოჰყვა. ჩინეთს გაუჩნდა საკუთარი, ტრადიციული, პოლიტიკური თუ კულტურული ღირებულებების წინ წამოწევის საშუალება და, ამავდრულად, არ სურს კრიტიკის ან მეტი თავისუფლების მოთხოვნის მოსმენა, მისთვის რადიკალური ნაციონალიზმი მისაღებია.

თვით ჩინელი ხალხი — ჩინეთის ქალაქებში ხშირადაა ნაციონალისტური გამოსვლები, რომლის მონაწილეები მთავრობისგან უფრო აგრესიულ საგარეო პოლიტიკას ან პრინციპულ გადაწყვეტილებებს მოითხოვენ...

ათასი ჯურის თვალთმაქც დამპყრობთა კლანჭებში მოქცეულ პაწაწუნა საქართველოს, რომელსაც ქართული ტრადიციული ღირებულებებისგან განზე გამდგარი თვისტომელებიც ტილივით ახვევია თავს, აქვს კი ძალა, რომ ფეხი გაიქნიოს? როგორც დავინახეთ, რიგ საკითხებში, რაც საქართველოსა და მისი მოქალაქეებისთვის საზიანო იქნებოდა, მსოფლიო არენაზე მტკიცე პრინციპულობაც შეგვძლებია და ლავირებაც, მთლად უნდილები არ ვყოფილვარ...

და კიდევ, დენ სიაო პინისა არ იყოს, მეც მივხვდი და სხვა ველარ მიხვდებოდა, რომ ამერიკელი იქნება თუ კუალალუმპურელი, ინვესტორს, უპირველეს ყოვლისა, სტაბილურობის დონე აინტერესებს ამა თუ იმ ქვეყანაში და არა დემოკრატიულობის ხარისხი (9 წელი სისხლში გვახრჩობდა „ნაცრეჟიმი“, მაგრამ ყველა ქეყნის ელჩს დაბრმავებული ჰქონდა თვალები, მოსწონდათ სტაბილურად მორჩილი ქვეყანა, რა საჭირო იყო დემოკრატია...)...

„არ აქვს მნიშვნელობა რა ფერისაა კატა, მთავარია, თაგვებს იჭერდეს კარგად“, — ეს ცნობილი ფრაზა დენ სიაო პინის ეკუთვნის, თუმცა არაფერია ნათქვამი იმ შემთხვევაზე, როცა კატას თაგვებით სავსე ბეღელს უთმობენ სანადიროდ, თუმცა ვირთხების დაჭერას და შეჭმას უკრძალავენ...

მაია ჯელიძე

მის უწმიდესობას და უნეტარესობას, უწმიდესსა და უნეტარეს ილია მეორეს, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს

თქვენო უწმიდესობავ!

დამდეგ შობა-ახალწელთან ერთად, გულითადად გილოცავთ თქვენი აღსაყდრების 46-ე და თქვენი დაბადების 91 -ე წლისთავს! თქვენი პატრიარქობისა და საქართველოს ისტორიის ამ 46 წლის გარეშე არც ჩემი სიცოცხლისა და მოღვაწეობის ისტორია არსებობს და, ბუნებრივია, მღელვარების გარეშე არ მახვედრებს ამ განსაკუთრებულ თარიღებს...

თქვენო უწმიდესობავ!

გუშინდელ დღესავით მახსოვს და რა დამავიწყებს, ქრისტეს შემდგომი მეორე ათასწლეულის მიმწურველი დღეები იდგა. რა დამავიწყებს 1999 წლის დეკემბრის იმ დღეს, როდესაც მე აღელვებული და აღფრთოვანებული მოვედი თქვენთან და გახარეთ, უფრო ზუსტად, მეგონა, რომ გახარეთ ჩემი აღმოჩენა: თქვენო უწმიდესობავ! პირველად მივაქციე ყურადღება, რომ იესო ქრისტეს კვართის ჩამომტანი იერუსალიმიდან მცხეთაში, ელიოზ მცხეთელად წოდებული, ებრაელი კი არა, არამედ მცხეთაში ჩამოსახლებული მოგვთა უბნელია, სასულიერო პირია, ანუ მცხეთელი ქალდეველია-მეთქი.

თქვენ საკმაოდ დიდი და დამაფიქრებელი დუმილით არაფერი მიპასუხეთ და დაგვიანებული რეაგირებით მითხარით: „ებრაელებს ეწყინებათო“.

ფაქტი იყო, რომ ვერ გაგახარეთ და გვიან დაარღვიეთ ჩემთვის ძნელად გადასატანი სიჩუმე. ეს წუთები სიმბოლური და კლასიკური ასახვაა იმ ურთიერთმიმართებისა, რომელიც ჩამოყალიბდა ჩემს მსოფლმხედველობრივ პოზიციებსა და საქართველოს საპატრიარქოს მსოფლმხედველობრივ პოზიციებს შორის... ქრისტიანობის 2000 წლისთავისადმი მიძღვნილი კრებული, რომელიც თქვენი ლოცვა- კურთხევით მეუფე დანიელის მიერ უნდა მომზადებულიყო და მცხეთელი ელიოზის შესახებ ჩემი წერილიც უნდა გამოქვეყნებულიყო, აღარ გამოქვეყნდა და არც დედანი დაუბრუნებიათ ჩემთვის, მაგრამ, რა თქმა უნდა, ამ თემაზე ფიქრი მე არ შემიწყვეტია....

მინდა გითხრათ, რომ ჩვენი პირველი ქრისტიანი მეფე , მირიანი, „ქართლის ცხოვრება“-ში მოგვთა ნათესავია და იმის გამო, რომ ელიოზ მცხეთელის მოგვობა შეუფასებელია, არც ჩვენი პირველი ქრისტიანი მეფის მოგვობა და მცხეთელი ქალდეველობაა წარმოჩენილი. უფრო მეტი: მიგნებულია ევროპულ წყაროებში დაცული, პირველი ქართული ქრისტიანული დროშის სიმბოლური გამოსახულებანი: ესენი არიან ის მოგვნი, რომელთაც პირველებმა ახარეს კაცობრიობას ქრისტეს შობა და თაყვანი სცეს... ასეთ დროშას მხოლოდ მოგვი ქალდეველები შექმნიდნენ მცხეთაში.

მერიდება, შეგაწუხოთ ვრცელი წერილით და დიდი მოკრძალებით მოგახსენებთ, რომ ესპანეთში მოღვაწე ქართველი მკვლევარი ზურაბ კაცელაშვილი წერს თავისი წიგნის საწყისშივე ზენაარულ ქალდეველებზე: საქართველოს ისტორიაში დავით წინასწარმეტყველის შემოყვანამ, როგორც ბაგრატიონთა დინასტიის ეპონიმისამ, ქართველი ხალხისა და მისი ზენაარული წინაპრების, ქალდეველების ერთიანობა გახლიჩაო.

მომიტევეთ, თუ სიტყვაგრძელი ბარათით გილოცავთ თქვენი აღსაყდრებისა და დაბადების დღის თარიღებს, მაგრამ გულისტკივილით მინდა დავასრულო: ეროვნული თვითშემეცნების რამხელა შესაძლებლობა დაკარგა ქართველმა ერმა „ქართლის ცხოვრებით“ მოღწეული იმ უძვირფასესი ინფორმაციის მიმართ გამოჩენილი უყურადღებობით, რომ მირიან მეფის რწმენაში კაცობრიობის ისტორიის წინასწარმეტყველება „ნებროთის წიგნში“ იყო ასახული, ყველაზე სარწმუნო ჭეშმარიტებით, კაცობრიობის პირველი ბიბლიით, რომლის დაცვაც ქართულ ცნობიერებაში დავით აღმაშენებლის მიერ გელათის ფილოსოფიური აკადემიის შექმნით აღმოჩნდა მიზანდასახული...

ღმერთმა დაგლოცოთ და დაგიკანონოთ ჩემი ლოცვა-ვედრება: არა უმცირეს ჟამი თქვენი სიცოცხლისა, ვინემ ტაო-კლარჯეთის დიდი მოძღვრისა, „ქართველთა სინაის“ დამფუძნებლის, დიდი მამის, გრიგოლ ხანძთელისა, ხოლო ნაღვაწით თქვენით - მარადჟამი!

თქვენი ღღეგრძელობისა და საქართველოს გაბრწყინებისთვის მლოცველი მუდამ
ლენიზა სუმბაძე

P.S. წინამდებარე წერილში წარმოდგენილი პოზიციების კვლევით განათებას მოგიძღვნით კვლევით-მეცნიერული წერილის სახით, რომელსაც ვეცდები უახლოეს მომავალში.

დ.ს. 2024 წ.

სტრასბურგის სასამართლომ საფრანგეთის მოქალაქის სარჩელი პირად მონაცემებში სქესის შეცვლის შესახებ არ დააკმაყოფილა

გასული წლის ბოლოს, დეკემბრის თვეში ადვოკატთა ასოციაციას სტუმრად სტრასბურგის სასამართლოს ქართველი მოსამართლე ბატონი **ლადო ჭანტურია** ეწვია. ლადო ჭანტურიას მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის ქართული მართლმსაჯულების განვითარებაში. მისი მრავალრიცხოვანი სამეცნიერო იურიდიული ნაშრომებით ქართველი იურისტები დღესაც ხელმძღვანელობენ.

როგორც ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ დავით ასათიანმა გაიხსენა, ჯერ კიდევ ოთხმოცდაათიან წლებში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბატონი ლადო ჭანტურია იყო პირველი ლექტორი, რომელიც სტუდენტებს ევროპული სასამართლოს საფუძვლებს ასწავლიდა.

ლექცია-სემინარი კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მოწვეულმა სტუმარმა ვრცლად ისაუბრა სტრაბურგის სასამართლოს მნიშვნელობასა და როლზე, მის დამოუკიდებლობაზე: **„დღემდე საზოგადოებაში მუსირებს აზრი, თითქოს ჩვენ, მოსამართლეები, რადგან სხვადასხვა ქვეყნიდან ვართ არჩეული, ჩვენი სახელმწიფოების ინტერესებს ვატარებთ. ეს ასე არ არის, რასაც მოწმობს ჩვენი ქვეყნების წინააღმდეგ წარმოებული არაერთი საქმე.**

სტრასბურგის სასამართლოს აქვს უფლება, საქმის წარმოებაში მიღების შემდეგ მიმართოს მოპასუხე ქვეყანას კითხვებით, თუ როგორია მისი მოსაზრება ამ დავასთან დაკავშირებით და არის შემთხვევები, როცა სახელმწიფო ყველაფერს აკეთებს მოსარიგებლად. ხშირად ეს ეფექტიანიცაა, - აღნიშნა ლადო ჭანტურიამ.

ვინც სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებას ადევნებს თვალს, დამეთანხმება, რომ ზოგჯერ პროცედურების არცოდნის გამო ვერ ხდება საჩივრის წარმოებაში მიღება და ხშირად მომჩივანს მოლოდინი არ უმართლდება. ბატონი ლადოს აზრით: **„არის მომენტები სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკაში, როდესაც მხარე არ ამოწურავს ყველა ინსტანციაში გასაჩივრების წესს, საბოლოო გადაწყვეტილებიდან ექვსთვიან ვადას არ იცავენ და პირდაპირ მოგვმართავენ, რაც არასწორია. მნიშვნელოვანია, დავიცვათ ვადები. ისეც ხდება, როდესაც მხარე ხვდება, რომ აზრი არ აქვს ლოდინს, საქმის განხილვა ჭიანურდება, ევროკონვენცია მომმართველს აძლევს საშუალებას, ასეთ შემთხვევაშიც კი მიმართოს ევროპის სასამართლოს, მაგრამ ეს უნდა იყოს კარგად დასაბუთებული.“**

როგორია ევროსასამართლოს ხედვა სექსუალურ უმცირესობათა მიმართ? ამ საკითხთან დაკავშირებით ბატონმა ლადომ საფრანგეთის წინააღმდეგ შეტანილი დავის შესახებ გაიხსენა: **„ევროპის სასამართლოს სამოცდაათ წელს გადაცილებულმა მამაკაცმა მიმართა და მოითხოვა, დაბადების მის მოწმობაში სქესი „მამრობითი“ შეცვლილიყო „ნეიტრალურით“. ბუნებრივია, საფრანგეთის სასამართლოებმა არ დააკმაყოფილეს მისი მოთხოვნა და საქმე სტრასბურგის სასამართლოში შემოიტანა. ჩვენ, ევროსასამართლოს მოსამართლეები, ძალიან ფრთხილად ვეკიდებით ასეთ სენსიტიურ საკითხებს და არ დავაკმაყოფილეთ მისი პრეტენზია. ვთქვით, რომ 46 ქვეყანაში ეს საკითხი იყო ახალი და რომ სრულად ვიზიარებდით საფრანგეთის ეროვნული სასამართლოების მსჯელობას და ამ თემის განხილვაშიც არ შევსულვართ. რაღა შორს წავიდეთ, საქართველოდანაც იყო მსგავსი შინაარსის მოთხოვნა - „გაჩეჩილაძე საქართველოს წინააღმდეგ“, სადაც პირი ითხოვდა პრეზერვატივებზე წმინდანების გამოსახულების დატანას, რასაც არ დავეთანხმეთ და უმეტეს ნაწილში უარი ვთქვით ასეთი მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე“.**

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებების პირობებში მნიშვნელოვნად შემცირდა საქართველოდან სტრასბურგის სასამართლოსადმი მიმართვიანობა. ქართული ეროვნული სასამართლო დამოუკიდებელია და მართლმსაჯულების ორგანოს ყოველგვარი ჩარევის გარეშე დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება შეუძლია. ბოლო ხანს ხელისუფლების ოპონენტთა სასარგებლო გადაწყვეტილებების შესახებაც გვესმის. სამწუხაროდ, მათ ხშირად ავიწყდებათ წარსული, როგორ ეპყრობოდნენ ქართველ ხალხს, როცა ნულოვანი შემწყნარებლობის რეჟიმის პირობებში მოსამართლე მხოლოდ ნოტარიუსის ფუნქციას ასრულებდა და სტრასბურგის სასამართლო გადატვირთული იყო საქართველოდან გაგზავნილი პრეტენზიებით.

როგორც სტრასბურგის სასამართლოს მოსამართლემ გვითხრა, ყველაზე უნიკალური კანონმდებლობა გერმანიას ჰქონია. **მაგალითად, გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით პირს, რომელიც არ არის კმაყოფილი ბოლო სასამართლოს ინსტანციის გადაწყვეტილებით, უფლება აქვს, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს და, თავის მხრივ, ეს ორგანო ამოწმებს, რამდენად იქნა დარღვეული ადამიანის კონსტიტუციური უფლება,** - გვითხრა ბატონმა ლადომ. საქართველოში ხშირად გაისმის საყვედური უზენაესი სასამართლოს მიმართ. ფაქტობრივად, ის საქმეებს არც განიხილავს, მხოლოდ დასაშვებობით შემოიფარგლება. თუ საკასაციო საჩივარი არ არის, ახალი პრაქტიკის შემცველი უზენაესი სასამართლო საქმეს აღარ განიხილავს.

ლექცია-სემინარის დასრულების შემდეგ ლადო ჭანტურიამ ადვოკატების არაერთ კითხვას უპასუხა და ევროსასამართლოს უფრო ახლოს გაცნობის მიზნით ერთ-ერთ ღია პროცესზე დასწრებისკენ მოგვიწოდა.

ლადო ჭანტურია ადვოკატთა ასოციაციის მიერ დაჯილდოებულია ლუარსაბ ანდრონიკაშვილის მედლით, რომელსაც სამოსამართლეო ვადის ამოწურვის შემდეგ გადასცემენ.

ლევან ჭიღლაძე

დასავლეთის ვირტუალური დემოკრატია

← 6 გვ.

კითხვა მაქვს ერთი: დღეს რუსეთმა ჩვენი ე. წ. დაპყრობა რომ მოინდომოს და გადავირიოთ და გავხსენათ ფრონტი, ვინ დაიცავს საქართველოს? ჩვენ ხომ ზუსტად ვიცით, რომ რუსეთის არმიას ჩვენ კი არა, აქამდე „ლეგენდარული“ NATO-ც ვერ ერევა! არადა, ველარც ივაჭრებენ რუსეთთან ჩვენით მმართველი ძალის სამშვიდობო პოლიტიკის წყალობით!

საქართველო - სამხრეთ კავკასიის გული

იმ ფაქტს, რომ სტრატეგიული მეგობრების დახმარებით სტატუსი მოგვცეს, ჩემთვის ერთი ახსნა აქვს მხოლოდ: მათ არ სურთ ჩვენი დაკარგვა, რადგან საქართველოს ფასი დაედო და ამიტომაც ეს იყო იძულება, რომ მთლად იდიოტების როლში არ დარჩენილიყვნენ. საქართველო, როგორც აბრეშუმის გზა - ასევე წყალქვეშა კაბელი და ა. შ. კიდევ არაერთი რამ. თუნდაც ის რად ღირს, რომ ჩვენს სამშობლოს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. საქართველო გზაჯვარედინზეა, სამხრეთ კავკასიის გული ვართ. ასეთია ჩვენი გეოგრაფია: აზერბაიჯანი, სომხეთი, თურქეთი, რუსეთი და ყველა ქვეყანასთან გვაქვს დიპლომატიური და კარგი ურთიერთობა, რუსეთის გარდა.

რუსეთის დღევანდელი პოლიტიკა ისე ვითარდება, რომ, ალბათ, უნდა დადგეს დღის წესრიგში დიპლომატიური და ოფიციალური მოლაპარაკებების დაწყება საქართველოსთან.

ჩემთვის ყველა ერთია, ვინც დღეს ჩემს სამშობლოს უპირისპირდება, პროვოკაციულად იქცევა და ავანტიურას ხლართავს! რუსეთთან ოფიციალური საუბარი სწორედ იმ ნეოლიბერალებს დაასუსტებს, ვინც თავის დროზე დაატრენინგა ნოდარიკო მელაძე, და სხვები. სწორედ სააკაშვილის დროს, არაერთი ჯგუფი იქნა მაშინდელი ნეოლიბერალური რუსეთის მიერ მოვლენილი.

ეს ის რუსული ჯგუფებია, ვისაც პუტინის მოსვლამდე ძალიან დიდი ძალაუფლება ჰქონდა და მილიარდერებიც გახდნენ. ეს ის რუსეთია, რომელიც უდიდეს ავანტიურებს ატრიალებდა პუტინის კარზე და ეს ის რუსეთია, ვინც დღეს რუსეთიდან გაქცეული ხვდება, რომ ძალიან დიდი „ქაქი“ ჭამა.

მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ როდესაც ორ ქვეყანას შორის ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობა აღდგება, როდესაც ორ ქვეყანას შორის დაილაპარაკებენ მთავრობები, ეს ნეოლიბერალების ნარჩენებს ინტრიგების ხლართვის ყველანაირ შესაძლებლობას მოუხსნის. მთავარია, ურთიერთობები იყოს მაღალი დონის, ურთიერთპატივისცემაზე დაყრდნობილი, ისეთი, როგორიც ჩინეთთან, თურქეთთან, უნგრეთთან, აზერბაიჯანთან და კიდევ არაერთ ქვეყანასთან გვაქვს. მხოლოდ ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი ურთიერთობების აღდგენა აფხაზეთთან და სამაჩაბლოსთან.

ნონა ქარქაშაძე

რა შეიძლება მოჰყვეს ლოკალურ საომარ კონფლიქტებს

ახალი, 2024 წელი ძველი და ახალი სტილითაც უკვე შემობრძანდა დედამიწაზე. ჩინური კალენდრით, 10 თებერვალს დადგება მწვანე დრაკონის წელი. ასტროლოგებს მიაჩნიათ, რომ დრაკონი დედამიწაზე მნიშვნელოვან ცვლილებებს მოიტანს, მაგრამ მშვიდი არ იქნება. მართლაც, ახალი წლის აღნიშვნა მსოფლიოში ჯერ დასრულებულიც არ ჰქონდა მოსახლეობას, რომ აშკარად გამოჩნდა — სამყაროში მშვიდობის დამყარებამდე ჯერ კიდევ შორია. მხედველობაში მისაღებია ის გარემოება, რომ ევროპის ცალკეულ ქვეყნებში ხელისუფლების წარმომადგენლებმა უარი თქვეს დედაქალაქებში ტრადიციული საშობაო ნაძვისხის დადგმაზე. როგორც გამოჩნდა, პოლიტიკური ვითარება მოსალოდნელზე უფრო გამწვავდა.

ზუსტად ოთხი წლის წინათ, 2020 წლის 3 იანვარს ერაყში ირანის არმიის გენერალი ყასემ სულეიმანი მოკლეს. ირანისა და ერაყის ხელისუფლებებმა მომხდარი ტერორისტულ აქტად შეაფასეს და ბრალი ამერიკის შეერთებულ შტატებს დასდეს. მაშინ აშშ-ის მოქმედმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა ბრალდება არ უარყო და განაცხადა, რომ სულეიმანის ლიკვიდაცია მისი ბრძანებით განხორციელდა. თუმცა მაშინ მომხდარი სკანდალი კოვიდის პანდემიამ გადაფარა. სულეიმანი ირანში პოპულარული პიროვნება იყო, ამიტომ მისი გარდაცვალების დღეს საფლავთან ათასობით ადამიანი მიდის და პატივს მიაგებს მას.

წელს 3 იანვარს კვლავ განხორციელდა ტერაქტი. ამჯერად ირანში, სულეიმანის საფლავთან ასაფეთქებელი მოწყობილობა იმ დროს აამოქმედეს, როდესაც სასაფლაოზე ათასობით ადამიანი იყო შეკრებილი. ერთბაშად ორი აფეთქების შედეგად, ირანის ხელისუფლების მონაცემებით, 103 ადამიანი დაიღუპა, 200-ზე მეტი დაიჭრა. განხორციელებულ ტერაქტზე ამჯერად პასუხისმგებლობა არავის აუღია, მაგრამ ირანელები აშშ-ის, ბრიტანეთისა და ისრაელის სპეცსამსახურებს ადანაშაულებენ. მომხდარმა რეგიონის მოსახლეობაში ანტიამერიკული განწყობა კიდევ უფრო გაზარდა.

საომარი მოქმედებები გრძელდება ისრაელ-პალესტინას შორის, რომლის არეალიც ფართოვდება. წლის დასაწყისში ისრაელის არმიამ უპილოტო საფრენი აპარატების მეშვეობით შეტევა განახორციელა ლიბანის დედაქალაქ ბეირუთში მდებარე „ჰამასის“ ოფისზე. დაიღუპა ათამდე ადამიანი, მათ შორის, „ჰამასის“ ოთხი მაღალჩინოსანი. თავდაპირველად ისრაელის მხარეს მომხდარის გასაიდუმლოება სურდა, მაგრამ ვერ მოახერხა. ტყვეების გაცვლაზე დაგეგმილ მოლაპარაკებაზე „ჰამასმა“ უარი განაცხადა განხორციელებული ტერაქტის მიზეზით. ლიბანის მოძრაობა „ჰეზბოლა“ ისრაელს მათი ქვეყნის ტერიტორიაზე განხორციელებული შეტევის გამო დაემუქრა. თუმცა ისრაელის არმია „ჰეზბოლას“ დაჯგუფებას, თითქმის ორი თვეა, უტევს. აღსანიშნავია, რომ „ჰეზბოლას“ მებრძოლები გაცილებით უკეთ არიან შეიარაღებულები, ვიდრე „ჰამასი“. თუმცა ისრაელის მხარე აღიარებს, რომ „ჰამასმა“ მათ არმიას უკვე მიაყენა მნიშვნელოვანი ზარალი. ექსპერტები შიშობენ, რომ ისრაელ-პალესტინის შეიარაღებული კონფლიქტი ფართომასშტაბიან რეგიონულ ომში არ გადაიზარდოს, რომლის წინაპირობებიც უკვე შეინიშნება.

ირანსა და ლიბანში განხორციელებული შეტევების მიზეზით ახლო აღმოსავლეთში ოფიციალური ვიზიტი დროებით გადადო აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ენტონი ბლინკენმა. რეგიონში რამდენიმე დღის შემდეგ ჩავიდა და სხვადასხვა ქვეყნების მეთაურებს შეხვდა, მათ შორის, ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიაჰუს. ბლინკენმა კვლავ ვერ შეძლო ნეთანიაჰუს დაყოლიება ცეცხლის სრულ შეწყვეტაზე თუ არა, ღაზას სექტორში მოსახლეობის მიმართ რბილ მოპყრობაზეც კი. ნეთანიაჰუ კი კვლავ მტკიცედ დგას ძველ პოზიციაზე და აცხადებს, რომ სრულ გამარჯვებამდე იბრძოლებენ. თუმცა რიტორიკა ოდნავ შეცვალა და განაცხადა, რომ პალესტინელ ხალხს არაფერს ერჩიან და მხოლოდ „ჰამასის“ განადგურებას აპირებენ.

არაბულ ქვეყნებში ბლინკენს უნდობლად უყურებენ, რადგან შარშან ოქტომბერში ისრაელში ვიზიტისას განაცხადა: „...ჩამოვედი არა როგორც პოლიტიკოსი, არამედ, როგორც ებრაელი“. ახლა არაბებს აინტერესებთ, რა სტატუსით აწარმოებს მოლაპარაკებას, როგორც პოლიტიკოსი, თუ როგორც ებრაელი. ბლინკენის ვოიაჟი ახლო აღმოსავლეთში ამჯერადაც უშედეგოდ დასრულდა.

სრულიად მოულოდნელად, გასულ კვირას აშშ-ისა და ბრიტანეთის ავიაციამ დაბომბა იემენის ქალაქები, მათ შორის, დედაქალაქი სანა. შეტევის მიმდინარეობას პირდაპირ ეთერში გადასცემდა CNN. ბრიტანეთის მხრიდან შეტევაში მხოლოდ ოთხი მოიერიშე თვითმფრინავი მონაწილეობდა. პირველ დღეს 60-მდე ობიექტი დაიბომბა. მეორე დღეს ააშშ-ის სამხედროებმა იერიში უკვე ბრიტანელების გარეშე განახორციელეს. აშშ საჰაერო შეტევებისთვის რეგიონში მყოფ ავიამზიდს და არაბეთის ქვეყნებში არსებულ სამხედრო ბაზებს იყენებს. აშშ-ის ოფიციალური პირების განცხადებით,ისინი ჰუსიტებს ებრძვიან, რათა დაიცვან ადენის ყურეში ნაოსნობა. შეგახსენებთ, ღაზას სექტორში ისრაელის არმიის შეტევების დაწყების შემდეგ, იემენელმა ჰუსიტებმა უარი განაცხადეს ისრაელის მიმართულებით სატვირთო გემების. რამდენიმე ხომალდი დააკავეს კიდეც. გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში აშშ-ის მუდმივმა წარმომადგენელმა ისიც კი განაცხადა, რომ თავს იცავენ.

საჰაერო შეტევებს ჰუსიტებისთვის მნიშვნელოვანი ზარალი არ მიუყენებია. ყოველ შემთხვევაში, ასეთ ინფორმაციას ავრცელებს დასავლური პრესა. თუმცა იემენში დაიწყო საყოველთაო მობილიზაცია. „...ამერიკისთვის, არც მისი კუთვნილი კუნძულებისთვის ჩვენ არ შეგვიტევია... ამერიკა ტერორისტი და სატანაა!“ — აცხადებენ იემენის ხელისუფლების წარმომადგენლები. მათივე თქმით, იემენი ნებისმიერი დამპყრობლის სასაფლაოდ იქცევა. ექსპერტების შეფასებით, ჰუსიტებს საკმაოდ სერიოზული შეიარაღება აქვთ და მათ თავისუფლად შეუძლიათ, საპასუხო დარტყმები მიაყენონ საზღვაო ფლოტს და არაბეთის ქვეყნებში განთავსებულ აშშ-ის სამხედრო ბაზებს. პოლიტოლოგების შეფასებით, თუ ესკალაცია გაგრძელდება, ახლო აღმოსავლეთის რეგიონში ისეთი კატასტროფული სიტუაცია დადგება, როგორიც ჯერ არსად ყოფილა.

არაბული ქვეყნებიდან მხოლოდ ბაჰრეინმა დაუჭირა მხარი იემენზე განხორციელებულ შეტევას. ირანმა ქვეყნის სუვერენიტეტის ხელყოფად შეაფასა თავდასხმა. თურქეთის პრეზიდენტის რეჯეფ ტაიფ ერდოღანის განცხადებით: „...აშშ და ბრიტანეთი არაპროპორციული ძალის გამოყენებით შეეცადნენ, წითელი ზღვა სისხლის ზღვად აქციონ“. ჰუსიტები უკვე ღიად იმუქრებიან: „ბრიტანეთი და აშშ უნდა მოემზადონ ჩვენი პასუხისთვის“. ექსპერტ-პოლიტოლოგები რეგიონში საბრძოლო მოქმედებების დაწყებას მხოლოდ იემენზე განხორციელებულ შეტევად არ განიხილავენ. მათი აზრით, აშშ-ის დღევანდელი ადმინისტრაცია ცდილობს ირანის ფართომასშტაბიან ომში ჩათრევას. ამიტომაც განხორციელდა სულეიმანის საფლავთან ტერაქტი. იემენი ირანის მოკავშირე ქვეყანაა. აშშ ელოდებოდა ირანის მხარდაჭერას, რაც დიდი ომის დაწყების საბაბი გახდებოდა, თუმცა ირანის ხელისუფლება პროვოკაციებს თავს არიდებს.

იემენზე განხორციელებულმა შეტევამ აშშ-ის პოლიტიკოსების შეშფოთება გამოიწვია. პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა საქმის კურსში არ ჩააყენა საკანონმდებლო ორგანო იემენზე შეტევის დაწყებამდე. კონსტიტუციის თანახმად, საომარი მოქმედებების დასაწყებად უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე კონგრესის თანხმობა სჭირდებოდა. გამონაკლისია, როდესაც რომელიმე ქვეყანა ანადგურებს აშშ-ის საჰაერო ან საზღვაო ხომალდს, აშშ-ის მოქალაქეებს საფრთხეს უქმნის. ბაიდენმა თანხმობა არ სთხოვა კონგრესს, გადაწყვეტილება ერთპიროვნულად მიიღო. ამით თანაპარტიელებიც აიმხედრა.

ანალიტიკოსები ყურადღებას ამახვილებენ იმ გარემოებაზეც, რომ საომარი მოქმედებების დაწყება თავდაცვის მინისტრის ლოიდ ოსტინის გარეშე მოხდა, რომელიც დღემდე საავადმყოფოში იმყოფება. მას ჯერ კიდევ დეკემბრის ბოლოს გაუკეთეს ოპერაცია, გაწერეს კიდეც, მაგრამ ახალ წელს გართულებული მდგომარეობის გამო რეანიმაციაში მოათავსეს. საინტერესო ის არის, რომ სამი დღე მისი ადგილსამყოფელი არავინ იცოდა — არც პრეზიდენტმა და არც სხვა მაღალჩინოსნებმა. ვინ ხელმძღვანელობს იემენში საბრძოლო მოქმედებებს, ახლაც უცნობია.

საპრეზიდენტო არჩევნებამდე აშშ-იში ათ თვეზე მეტი დროა, მაგრამ სავარძლისთვის ბრძოლა უკვე მწვავე ფაზაშია. გავრცელებული ინფორმაციით, დემოკრატები ფიქრობენ, ბაიდენის ნაცვლად საპრეზიდენტო არჩევნებში ახალი კანდიდატის წამოყენებაზე, რადგან შვილთან დაკავშირებული სკანდალის გამო ბაიდენის რეიტინგი საგრძნობლად იკლებს. კონგრესში გამოკითხვაზე დაბარებულმა ჰანტერ ბაიდენმა რამდენჯერმე უარი განაცხადა საკანონმდებლო ორგანოში მისვლაზე. გასულ კვირას კი პირადი ოპერატორის თანხლებით მივიდა. თუმცა სხდომის დაწყებიდან 15 წუთის შემდეგ ადგა და კომენტარის გარეშე გაიქცა კონგრესიდან. გასასვლელში ჟურნალისტები დახვდნენ და პირდაპირ ჰკითხეს, რომელი ნარკოტიკი მიიღეთო. ჰანტერმა უკომენტაროდ დატოვა ტერიტორია. ამის გარდა, უკვე დაიწყო სასამართლო პროცესი, სადაც ჰანტერს გადასახადების გადაუხდელობას ედავებიან. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში მას ხანგრძლივი, 17-წლიანი პატიმრობა ელის. ამერიკელი პოლიტოლოგების განცხადებით, დემოკრატები არ შეწყვეტენ ტრამპის წინააღმდეგ ბრძოლას, რადგან მისი გამარჯვების შემთხვევაში ყველაფერი დაინგრევა, რასაც დემოკრატებმა აქამდე მიაღწიეს. პოლიტოლოგების შეფასებით, ტრამპის ჩამოსაცილებლად დემოკრატები ქვეყნის კონსტიტუციასაც კი დაარღვევენ.

არჩევნებზე მთავარი საკითხი ახლო აღმოსავლეთში არსებული სიტუაციაა — საკითხავია, ხომ არ გადაიზრდება ლოკალური კონფლიქტები ფართომასშტაბიან ომებში.

იმედი ვიქონიოთ, რომ ახალ, 2024 წელს სამყაროში ყველა ცხელი წერტილი ჩაქრება.

გია ბურდული

ᲨᲔᲣᲗᲐᲕᲡᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲨᲔᲗᲐᲕᲡᲔᲑᲐ

საკრალური თემების რეტროსპექტივას უძღვება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, ჟურნალ „კირბის“ (ოქროს სწამისი) მთავარი რედაქტორი, მწერალი ᲒᲣᲠᲘ ᲝᲗᲝᲑᲐᲘᲐ. წინამდებარე პუბლიკაციაში ვიმსჯელებთ საქართველოში ბოლო დროს მომხდარ მეტად საყურადღებო ფაქტზე. ოლიგარქად წოდებული პიროვნება, ბატონი ბიძინა ივანიშვილი, ღიად მოდის პოლიტიკურ არენაზე „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარედ. ეს ფაქტი, ცხადია, დიდზე დიდი მონაპოვარია არა მხოლოდ საქართველოსთვის და ჩვენი პლანეტის რეალურად გადარჩენის მაუწყებელ პირველ მერცხლად გვესახება. ტელ.: 571 21 27 70. ელ. ფოსტა: guriotobaia@gmail.com

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ:
ᲔᲤᲣᲗᲘ

მე არასდროს ვყოფილვარ პილიტიკურ ასპარეზზე, მაგრამ სიკეთის მთესველებს ყოველთვის ვქომაგობდი შესაძლებლობის ფარგლებში სიტყვით თუ საქმით. ამ ჩემს ეზოთერულ წერილებს გამართლება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ აქვს, როცა კარდინალურად გადაისინჯება პლანეტარული პოლიტიკური ორიენტაცია, დაიწყება საყოველთაო დემილიტარიზაციის პროცესი სრულიად დედამიწის, ანუ თავად ჩვენი ცივილიზაციის გადასარჩენად. დიახ, დადგა დრო, როცა სიტუაცია უკიდურესად დაძაბულია, და თუ არა ოლიგარქიული ერთობის გუნდური მოსვლა რაღაც ფორმით პლანეტარული სიცოცხლის გადასარჩენად, ჩვენს დედამიწას პერსპექტივა არ გააჩნია, მას გარდუვალი დაღუპვა ელის.

ბიძინა ივანიშვილი, ბუნებრივია, მოკრძალებული ფინანსური რესურსების მქონებელი პიროვნება გახლავთ, მაგრამ, წარმოიდგინეთ, მან შეუძლებელი შეძლო, ძლიერი ზეწოლისა და პრესის მიუხედავად, მოახერხა, საქართველოსთვის კატასტროფული ომის აეცილებინა.

ეს უპრეცედენტო შემთხვევა **დედამიწაზე დღესდღეობით არსებულ 194 სახელმწიფოს ნათლად დაუსახავს სამომავლო მოქმედების კონტურებს საყოველთაო მშვიდობისკენ**. მილიტარიზმი, უწინარესად, სამხედრო-სამშენებლო კომპლექსისა და მასთან მიბმული უძღები ტიპაჟების დღემდე განუკითხავი ქმედებაა მსოფლიო წყლების ასამღვრევად, ინტერესის სფეროების გადასანაწილებლად. არსებობს ომის კლასიკური განმარტება — **პოლიტიკის გაგრძელება ძალადობის მეშვეობით**. მაგრამ ამ ქვეყნებში ადრე თუ გვიან მომძლავრდებიან კონსერვატორულად მოაზროვნე პროგრესული ძალები და ისინი სამართავ პულტებთთან ღიად დადგებიან პლანეტარული სიცოცხლის გადასარჩენად, ამისთანა პირობებში **ბელიუმების** — ომების მზე ერთხელ და სამუდამოდ ჩაესვენება. თავად ცხოვრების ყველა წვრილმანში ჩახედული ოლიგარქები არ დაუშვებენ ნემსების მირჭობას დედამიწის სხეულზე, რათა იქიდან ომების მეშვეობით ნაჯახები მოიხსნას. მსოფლიოს ყველაზე დიდი თავი, მარქსი იტყოდა: **ნებისმიერ მოვლენის მოგვარება პოლიტიკური გადაწყვეტილების გამორიცხვით შეუძლებელიაო.**

კაცობრიობის ნომერ პირველი პრობლემა ძალადობის ფაქტორის განეიტრალებაა. სამხედრო-სამშენებლო კომპლექსი კოლოსალური რესურსების მფლობელია და ამ კოალიციის უკან ისევ რეაქციულად მოაზროვნე ოლიგარქები დგანან, მაგრამ, როცა მათ პლანეტარული სიცოცხლის გადარჩენის სახელით მოსული ოლიგარქიული უმრავლესობა დაუდგება საპირწონედ, პოლიტიკური კონსენსუსი გარდუვალია.

არ გაგიკვირდეთ, მსოფლიოში არსებულ 5000-ზე მეტი ენიდან სიტყვა **ეფუთის** მნიშვნელობა მხოლოდ მეგრულით აიხსნება. ის თვით მაგიურ ქართულზეც კი არაფრისმთქმელია. ჩვენს ძველებს მეხსიერებით შემორჩენილი აქვთ მსგავსი დასახელების წიგნი, რასაც ზოგი ეზოტერიკოსი „ოქროს საწმისს“ უკავშირებს, მაგრამ „ოქროს საწმისი“ გუშინდელი სინამდვილეა, ბერძნულ სამყაროსთან მიბმული. მართალია, ამ „ოქრის საწმისის“ შესახებ უამრავი წყარო მოგვეპოვება, მათგან ერთ-ერთის — პინდარე ათენელის (ძვ. წ. III ს.) ინფორმაცია ყველაზე ტევადია: **კოლხები არ ყიფილან უდამწერლობო ხალხი, არამედ ძველებს ჰქონდათ მამათა და პაპათაგან ცხვის ტყავზე ნაწერი წიგნები, რომელზეც წარწერილი იყო ქიმიის მეშვეობით ვერცხლის და ოქროს მოპოვების წესებიო**. აქ რკინა ჯერ ნახსენები არ არის, რადგანაც ჰომეროსის პერიოდში მთელი ტროა სპილენძის იარაღით იბრძოდა. ამ ცხვრის ტყავზე ნაწერ წიგნებს კოლხები **კირბებს** ეძახდნენ, რადგან სადამწერლო მასალა **კირიბის, კრავის ტყავი გახლდათ**. შემდგომში ამ კირბებს — სამკუთხა ქვის ფილებს სვეტებზე აღმართავდნენ ხოლმე და მათზე აღნუსხული იყო ზღვათა და ხმელთა მარშრუტები, აგრეთვე რელიგიური კანონები. ოქრის საწმისი — **სიბრძნის წიგნის გაგება** აიეტ-მეფის პერიოდს ვერაფრით გაცდება. მითი ასეთია: **ათამანტს ნეფთელესგან** შეეძინება ქალ-ვაჟი, **ფრიქსე** და **ჰელე**. შემდეგ იგი შეირთავს **იოს**. ეს უკანასკნელი ბოროტადაა აღრენილი გერების მიმართ. იგი ქმარს დაარწმუნებს, რათა შვილები მსხვერპლად შესწირონ ღმერთებს ქვეყანას თავზე დამტყდარი შიმშილისგან გადასარჩენად. მაგრამ ნეფთელე შვილებს გრძნეულ მფრინავ ოქროს ვერძს მოუვლენს, რათა თავი კოლხეთს შეაფარონ. გზაში ჰელე ჩამოვარდება ვერძიდან და ზღვაში დაიხრჩობა, ამიტომაც დაერქმევა ამ ზღვას **ჰელესპონტი**. აიეტ-მეფე მოიხიბლება ოქროს ვერძით. მას მსხვერპლად შესწირავენ **ჰელიოსს,** ხორცს თავად ინებებენ, ხოლო ტყავს **არესის ჭალაში** მუხაზე ჩამოჰკიდებენ, მას შემდეგ, რაც მასზე ყველა კოლხურ საიდუმოს გადაიტანენ. ამ ოქროს ვერძს, იგივე ოქროს საწმისს, კირბს, გველეშაპი იცავს ზამთარ-ზაფხულ, დღედაღამ. აიეტის სამეფო კარი პატივით მიიღებს მშვენიერ ყმაწვილ ფრიქსეს. იგი კოლხეთის მეფის უფროს ასულზე დაქორწინდება და ოთხი ვაჟიშვილი შეეძინება მისგან. და ჰა, გაივლის დაახლოებით 20-25 წელიწადი და ამ „ოქრის საწმისის“ წასაღებად მოდის ბერძენთა ახალი ნაკადი — 50 რჩეული ვაჟკაცი იაზონის მეთაურობით. პარადოქსული სიტუაციაა. ვერძი დაკლულია, უსულო, მაშ, მუჭა ოქროს ტყავი რა ჭირად ენდომებათ ბერძნებს, მაგრამ მთელი საიდუმლოც აქ არის: ეს ტყავი უკვე კოლხურ საიდუმლოებათა შემნახავი მატრიცაა, სიბრძნის წიგნი. მარტივად რომ ვთქვათ, ცბიერებით შემოპარული მფრინავი ვერძის მეშვეობით უნდათ ბერძნებს კოლხეთიდან მათი სიბრძნის გატანა. ვერძი ამ შემთხვევაში იგივე ბამბუკის ჯოხია, რითაც ჩინეთიდან აბრეშუმის ჭიის თესლს გამოიტანს მავანი. მოკლედ, იაზონზე შეყვარებული მედეას დახმარებით წაიღებენ ამ „ოქრის საწმისს“ ბერძნები, მაგრამ მისი წაკითხვა შეუძლებელია. იგი ქურუმთაქურუმ პრომეთესგანაა შესრულებული. ვერავინ კითხულობს მას, თვით ბრძენი მედეაც კი, ვინაიდან არა აქვს უზენაესი ხელდასხმა. ეს ხელდასხმა მხოლოდ პრომეთეს გააჩნია. და გაჩაღდება მორიგი ნადირობა ტროას მიმართულებით, იქნებ, იქ იყოს „ოქროს საწმისის“ შიფრი-გასაღები, თუმცა ამაოდ, არც ტროაში იძებნება ეს მექანიზმი. მხოლოდ ამ ყველაფრის შემდეგ ახსენდებათ ბერძნებს ხვამლის კლდეზე მიჯაჭვული ტიტანი პრომეთე, რომელსაც გამუდმებით ღვიძლს უკორტნის ზევსის არწივი. ერთადერთმა პრომეთემღა იცის ზევსის სიკვდილის საიდუმლო: თუკი ღვთაება **თეტისას** ვინმე ღმერთი შეუერთდება და ამ შეუღლებით დაიბადება ვაჟი, დიახაც, იგი დაამხობს მეხისმტყორცნელ ზევსს, მაგრამ მოკვდავი თუ დაუკავშირდება, მაშინ მართალია, გაჩნდება სწორუპოვარი გმირთაგმირი, მაგრამ არა ზევსის კონკურენტი. გაუმხელს ყველაფერ ამას ჰერაკლეს პრომეთე, რომელიც ამ საიდუმლოს გამხელამდე მშვილდ-ისრით უპირობოდ მოკლავს ზევსის არწივს და მკერდიდან ამოაცლის ჰეფესტოს გატარებულ ალმასის ლურსმანს. აი, რა სიკეთის გამო ეტყვის პრომეთე ჰერაკლეს ზევსის საიდუმლოს. დიახაც, ამ მომენტიდან კაცობრიობას თვალთაგან საერთოდ ეკარგება მისი შემქმნელი ტიტანი პრომეთე. ჩვენ უნდა ვივარაუდოთ, რომ ბერძნებს იგი სჭირდებოდათ „ოქროს საწმისის“ წამკითხავად, რასაც ვერ ეღირსებიან. ჩანს, წამება-წამებაში კიდევაც ამოხდიან სულს და კითხვა კითხვავდვე დარჩება: მაინც, ისეთი რა ეწერა „ოქროს საწმისზე“, რომლის გამხელა პრომეთემ არაფრით ისურვა მიუხედავად აუტანელი ფიზიკური ტანჯვისა?! ჩვენი ვარაუდით, „ოქროს საწმისის“ მთავარი საიდუმლო უნდა ყოფილიყო ოქროს დაბრტყელება და მისგან **მონეტის მოჭრა საცვლელ ღირებულებად,** ანუ იგივე **ფული,** რომელიც თვით ბირთვილ იარაღზე უფრო საშინელია კაცობრიობისათვის. აბა, რატომ იტყვის ქრისტე ფულიანი კაცის მიმართ ამისთანა დამაკნინებელ ფრაზას: **მდიდარი კაცი ისე დაურიგებს თავის ქონებას ღარიბებს, როგორც აქლემი გავა ნემსის ყუნწშიო.**

დიახაც, მონეტარულმა სისტემამ მიიყვანა კაცობრიობა დღევანდელ სავალალო მდგომარეობამდე, ვინაიდან ფულმა არ იცის საზღვრები, სამშობლო, ზნეობა, საზიარო ლოგინში აწვენს დედა-შვილს, და-ძმას; იგი სიმდიდრის სახელით სპობს ყოველგვარ ამაღლებულს და მშვენიერს. იგი კერპი მამონაა, რომლისთვისაც შუმერებს სალოცავი ზიკურატის პირველი სარდაფ-სართული **ქუგგალე** — შემოგევლე ჰქონდათ დათმობილი. ქუგგალე, იგივე ხელის შემოვლებაა თავზე ერთი პიროვნების მიერ მეორისადმი, ანუ სანაცვლოდ ქცევა, ეს იგივე არწივების და ქორების მარაოა ლეშებს ზემორე. ქურუმები ყველასგან გამორჩეულ ყმაწვილს ამ ქუგგალეს მთავარ პერსონაჟად აქცევდნენ ხოლმე. მას ყველაფრის ნება ჰქონდა, ეუფლებოდა, ვისაც მოისურვებდა — მდედრს, მამრს, მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ ფერდში დანას დაჰკრავდა მოგვი, სიცოცხლეს გამოსასლმებდა, ვინაიდან ბომონი იყო, **გოლუაფირი, თავზე შემოვლებული**.

ამ მისტიფიკაციებზე ვერაფრს გვეუბნება კაცობრიობის უძველესი მხატვრული წიგნი „გილგამეშიანი“. მაშ, რა უნდა ყოფილიყო **ეფუთი**, ნუთუ, მხოლოდ ის, რაც ბიბლიაშია დაფიქსირებული ებრაელი ქურუმებისგან — ისრაელელების 12 ტომის დასახელება და მორჩა.

ჩვენ მსგავს ქმედებებზე გვქონდა საუბარი წინა წერილებში, როცა კაცობრიობის წარღვნისგან გადამრჩენელმა შუმერმა მეფე **ზიუსუდრამ** 4000 წლის განმავლობაში ორჯერ იცვალა სახელი, ჯერ აქადელების — შუმერულ-ებრაული კოალიციის დროს **უთანაფიშთიმი** გახდა, მერე მთლად

ებრაელების ზეობის ჟამს — **ნოე**, ისევ და ისევ ებრაული ფასეულობების სასარგებლოდ, მესოპოტამიურის დავიწყების ხარჯზე.

ეფუთი (ფუტი) მეგრულში სოფლის სინონიმია. ასევე **ეფუ** მეგრულში საკრალურ ახდომას ნიშნავს, **ეფუ თი**, — (აფუვდა, აღორძინდა ოჯახი), შესაძლებელია აიხსნას, როგორც ჯიშ-ჯილაგის აღზევების მიზანდასახულობა. ამავდროულად, მეგრულში **ეფუ** გულისხმობს ხდომილების განსულიერებას, ანუ აღსრულდა ამ სიბრძნის წიგნის მეშვეობითო. ყველა შემთხვევაში, როგორი ინტერპრეტაციაც უნდა დაეძებნოს **ეფუთის** ეტიმოლოგიას, მისი დაშორება მეგრულისგან უმეცარი მეცადინეობაა.

მეგრელი იტყვის **ცოდაქ გეუფუა — ცოდვა აუხდაო**. თუკი დავუშვებთ მსგავს ინტერპრეტაციას, **ეფუთი,** სავარაუდოდ, წინასწარმეტყველების და აპოკალიფსური ფასეულობების შემცველი მოძღვრება იყო საგნებსა და მოვლენებზე, რომელიც თავისთავში აერთიანებდა ადამიანთმცოდნეობას, როგორც ანთროპოლოგურს, ისე სპირიტუალურს.

ჩვენ თანდათან გამოვლენილი იბერიული ფასეულობების ჩამონათვალში თამამად შეგვიძლია მივუთითოთ რამდენიმე ნიმუშზე:

1. პოლიფონიის — მრავალხმიანი სიმღერებისა და ციბრუტიანი ცეკვების ერთობლიობით — **იბერიკონით,** ფილტვების გაჯანსაღების, პროსტატიტის მორჩენის და ტვინის ნეირონების ჭარბი ჟანგბადით გამოკვების საფუძველზე ყალიბდებოდა განსაკუთრებულად წარმატებული ცნობიერების პიროვნება;

2. რკინის მიღება ქვიშის მაგნიტიტისგან 1400-1600 ტემპერატურაზე გამოდნობით, რამაც ერთდროულად აღაზევა და დაანარცხა კიდეც კოლხეთი, ვინაიდან რკინა **ოქროზე 10-ჯერ ძვირად ფასობდა,** და ამ ღვთით მონიჭებული უპირატესობის შედეგად გადაგვარდა იბერიელი, კოლხი, ქართველი; მიატოვა ტრადიციული კულტურები — ხვნა, თესვა, ვენახის მოვლა-პატრონობა, ზანდურის და მახას მოყვანა, ოქროსმატყლიანი ცხვრის მოშენება, სამაგიეროდ, მოეშვა, მოდუნდა და, მისდა უნებურად, დათმო პრივილეგირებული მდგომარეობა მსოფლიოში.

3. ხელის **შუათითის** და ტერფის **მეორე თითის** დაწინაურებული მდგომარეობით ინდივიდუმების შერჩევა ახალ გენოტიპების ჩამოსაყალიბებლად; ეს რიტუალი სვეტიცხოვლის ბარელიეფზეა ასახული ქურუმული ხელდასხმის შესატყვისად. შორეულ წარსულში ამგვარად ხდებოდა იდეალური პიროვნების მოვლინება პლანეტარულ კალენდრის ზედმიწევნით ცოდნის საფუძველზე — **21 მარტის შუადამით**, სავსემთვარიანობისას ჩაისახებოდა იგი და როგორც წესი, **21 დეკემბერს** დაიბადებოდა.

4. მონეტის დაბრტყელება და მისთვის საცვლელი ღირებულების მინიჭება ხარის თუ ცხვრის ნაცვლად. იმ მონეტის მეშვეობით საიქიოს კარები ღია იყო მუდამ შეძლებული მიცვალებულსათვის. ქარონის ნავზე გადასვენებულს გასამრჯელოდ კბილებში ჰქონა გაჩრილი ეს მონეტა.

დაბრტყელებული ლითონის საიდუმლოებას გულმოდგინედ უმალავდა კაცობიობას პლანეტის ნომერ პირველი რაინდი **პრომეთე,** ვინაიდან ფულს გააჩნია ყველაფრის დამთრგუნავი უნარი. მოგების აზარტს ზღვარი არ გააჩნია. იგი თავისუფალი ადამიანის დამონების შეუცვლელი იარაღია. ნაპოლეონის თქმით, **ომს ზარბაზანი კი არა, ფული იგებს**. თუმცა დიდებულმა პრომეთემ ვერ გაითვალისწინა ერთი რეალობაც, რომ, დიახაც, ამ ფულს, სხვათა შორის, ერთადერთს, ძალუძს ნებისმიერი კაცობრიული პრობლემის გადაჭრაც.

დასკვნისთვის: მხოლოდ ოლიგარქიულ მმართველობას შეუძლია მთელი პლანეტის გადარჩენა, იგივე **ბიძინა ივანიშვილს** და მისი ყაიდის მილიარდერებს: **ვლადიმირ ტუტუხინს, ჩაკ ფინს, ტიმ კუკს, ილონ მასკს,** საუდის პრინც **ალ ვალიდს** და ა. შ. ცხადია, პირველ ეტაპზე ოლიგარქიული მმართველობა ვერ მოიტანს სოციალურ თანასწორობას, რაც ხანგრძლივი პერიოდის მერმინდელი საქმეა მარქსის რწმუნებით, როცა ოლიგარქში, როგორც სამყაროისეულ უძღებ შვილში, მომძლავრდება ჰუმანური საწყისები და გადასძალავს კერძო მესაკუთრულ სინდრომს; როცა ზედმიწევნით შეიცნობს თავის თავს, თავის მისიას, ანუ გადალახავს ქრისტეს ფიგურალურ იგავს ნემსსა და აქლემზე; მანამდე კი დედამიწის გადარჩენა თავისი გასაოცარი ფლორითა და შეუდარებელი ფაუნით, თავისი გენიალური ხელოვნების ნიმუშებით მხოლოდ და მხოლოდ ოლიგარქიულ მმართველობას ხელეწიფება, და ევალება კიდეც უფლისეული მიზანდასახულობით. ვფიქრობ, ამ პარადიგმას ალტერნატივა არ გააჩნია დედამიწის ფიზიკური გადარჩენის ასპექტით. ჩვენ აქ შეთავაზებული მონაცემები უნდა ვიკმაროთ მერვე წერილის სასრულს, დანაჩენზე კი — მომდევნო პუბლიკაციებში რიგისობისდა მიხედვით.

(გაგრძელება იქნება.
დასაწყისი იხ.
„სგ“, N34-41, 2023 წ.)

„ოდეს ქვეყანას გაუჭირდეს, ხვამლის მთამ გადაარჩინოს“...

წლების წინათ, კინორეჟისორთან და მკვლევართან, ხვამლის ექსპედიციის წევრს, ბატონ დავით გოგუაძეს ვესტუმრე სასაუბროდ. ის დრო იყო, როდესაც საყდრისის ამბავი წამოიწია და სავალალოდ დამთავრების პირი უჩანდა. ბატონ დავითთან ჩემი მისვლის მიზანი მხოლოდ იმის გაგება იყო, ბატონი ბიძინა ივანიშვილი მართლა დაინტერესდა თუ არა ხვამლით, რადგან მისტიკურ საბურველში გახვეული ხვამლით პირადად ვარ დაინტერესებულ-დაინტრიგებული — ხან საიდან მოვუარე და ხან საიდან...

ბატონი დავითისგან გავიგე, რომ ხვამლთან დაკავშირებით ყველაფერი გურამ გაბიძაშვილის თაოსნობით დაწყებულა, ის იყო ხვამლის ექსპედიციის სულისჩამდგმელი. „გურამი წარმოშობით იქიდან იყო, სოფელ დერჩიდან. 2006 წელს შეადგინეს პროექტი, დაინტერესა და იპოვეს დამფინანსებელი („თიბისი ბანკი“, „ელიტელექტრონიქსი“). ასე ავედით პირველად ხვამლზე 2007 წელს, პირველი ფილმი კი 2008 წელს დავამთავრეთ. თავდაპირველად კვლევა დაიწყო როგორც ქართველ მეფეთა განძთსაცავისა“, — მითხრა ბატონმა დავითმა.

საიდან მოუვიდა აზრად გურამს (ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული!), რომ იქ შეიძლებოდა რაიმე მნიშვნელოვანი ყოფილიყო, დიდი სამკითხაო არ არის, ხვანლის ამოუცნობი მისტიკური ბუნების შესახებ ხალხმა იმთავითვე იცოდა.

ორ ხეობას შორის ამოწეული მასა მნიშვნელოვან მიკროკლიმატს ქმნის. ქუთაისელები, დღესაც, ხვამლის მთას გახედავენ და ისე საზღვრავენ ამინდს. ადგილობრივები „ელიას მთას“ უწოდებენ, ელია კი, მოგეხსენებათ, ამინდის ღმერთია, პარალელს თუ გავავლებთ ბერძნულ მითოლოგიასთან, იგივე ზევსია, ტარისი და ა. შ. იქ მონაბერ ქარს „ხაბარულას“ ეძახიან. ადრიან დილაზე ხაბარულამ თუ არ დაუბერა ხვამლიდან, აუცილებლად ცუდი ამინდი იქნება. შესახედად ძალიან შთამბეჭდავია, უზარმაზარი კლდეა ამოშვერილი, ყველა ადგილიდან მოჩანს. ხვამლიდან კარგ ამინდში შავი ზღვაც ჩანს. აქედან ძალიან დიდ მანძილზე წვდება მზერა. ხვამლი ზღვის დონიდან 2000 მეტრზეა, არც ისე მაღალია თითქოს, მაგრამ გაბატონებული მდებარეობა უჭირავს დასავლეთში. როგორც ჩანს, თავიდან ერთი კლდოვანი მასივი იყო, მაგრამ შემდეგ გაჭრა ცხენისწყალმა და გამოცალკევდა ასხის მასივი. ისიც ძალიან საინტერესოა, ზემოდან რომ დახედოთ, თევზს ჰგავს, კლდოვანია და ქერცლებივით აქვს — 1600 მეტრზეა ჩაჭრილი. მთელი ცხოვრება უყურებდა ამ მისტიკურ მთას გურამ გაბიძაშვილი და ბოლოს ეცადა გაერკვია, რა საიდუმლოს მალავდა.

ხვამლზე ისეთი ქანებია, რომ ალპინისტები ვერ ადიან, მხოლოდ ზემოდან არის ჩასვლა შესაძლებელი.

1945 წელს ალიოშა ჯაფარიძის ხელმძღვანელობით ხვამლზე 11-კაციანი ექსპედიცია იყო ასული, რამდენიმე დღე დაჰყვეს და დაასკვნეს, რომ განძი დიდი ხნის გატანილი იყო. საინტერესოა, რომ მანამდე, 1939 წელს ალიოშა ჯაფარიძე ორ მუშასთან ერთად იყო ასული ხვამლზე. როგორც ამბობენ, იგი სტალინის პირადი დავალებით მოქმედებდა. 1942 წელს გერმანიის მთავრობამ სრულიად გაუგებარი მანევრი განახორციელა, კავკასიის მთებში დესანტი გადმოსხა, ელიტური დანაყოფი „ედელვაისი“. არის მოსაზრება, რომ ისინი საიდუმლო რელიკვიებს ეძებდნენ.

ჰიტლერის მისტიკით გატაცება ცნობილია, კავკასიის მთებში საიდუმლო ქალაქი, უკვდავების ელექსირი და მსგავს მისტიკური გამოვლინებები ეგულებოდა, ისევე, როგორც ტიან-შანში.

ხვამლზე არის ქვაბული, რომელიც, თუ მისი არსებობა არ იცი, შეუმჩნეველია, თუმცა, რომც შეამჩნიო, ვერ ახვალ — საერთოდ წარმოუდგენელია, როგორ შექმნეს თავის დროზე. არსებობს მემატიანის ცნობა: როცა ულუ და დავით ნარინმა გაყვეს ქვეყანა, მაშინ გაყვეს საგანძურიც, მაგრამ დიდი ნაწილი იქვე დატოვეს. „დაამტკიცეს, რათა გაყონ სამეფო და საჭურჭლე ორად. და განყვნეს სამეფო და საჭურჭლე გარნა ხვამლისა ქვაბსა რომელ ედვა, გამოიღეს და გაიყვეს. უფროსი ქვაბსვე დაუტოვეს...“ მერე აღარ ვიცით, რა ხდება, მაგრამ მაინც არის რაღაც ცნობები. ვთქვათ, ის, რომ მაცი ხვიტიას განძიც იქ ინახებოდა...

თავდაპირველ დაინტერესებას უამრავი საინტერესო თემა დაემატა — გამოჩნდა ეგვიპტესთან და არგონავტებთან კავშირი... მითოლოგიას რომ გავყევით, პრომეთეს მიჯაჭვასთან მივედით, ანუ კავკასიის მთაზე მიჯაჭვულ ამირანთან.

საინტერესოა, „ოდეს ქვეყანას გაუჭირდეს, ხვამლმა გადაარჩინოსო“, რატომ უნდა დაწერილიყო „ქართლის ცხოვრებაში“ ეს ფრაზა. რა დანიშნულება აქვს მას?

იურული პერიოდის ხვამლი მთლიანად კარსტულია, მის ქვემოთ, წყალტუბოს რაიონშია „პრომეთეს მღვიმე“ (ეს სახელი რატომ დაარქვეს და არა ამირანისა), რომელიც, ფაქტობრივად, ხვამლის გაგრძელება და მას 15 კმ აშორებს. მთელი მასივი მღვიმეებია, ძაბრებია, სადაც წყალი გროვდება და სადღაც ჩადის. თვითონ ციხექვაბულშიც საიდანღაც წყალი გამოდის, მაგრამ იმდენადაა ჩახერგილი, ისეთი გასაწმენდია, რომ ადამიანი ვერ ჩავა. ციხექვაბულის კედელზე პიქტოგრამები ვნახეთ ზოდიაქოს ნიშნების გამოსახულებებით. მაგალითად, ერთერთს გოგას მღვიმე ჰქვია, შიგნით მუდმივად ყინულია. შალიბაშვილის ჯგუფმა სცადა 1984 წელს იქ ჩასვლა, მაგრამ 70 მეტრზე ქვევით ვეღარ ჩავიდნენ, იმდენად ძნელია იქ მუშაობა, თან ყველაფერი თანხებთან არის დაკავშირებული. ენთუზიაზმზე რომ მუშაობ, საქმე ბოლომდე მიყვანა ვერ ხერხდება...

16 გვ.

„ოდეს ქვეყანას გაუჭირდეს, ხვამლის მთამ გადაარჩინოს“...

15 გვ.

ერთ-ერთი გამოქვაბულიდან წლის სხვადასხვა პერიოდში მდინარის მძლავრი ნაკადი გადმოდის, რომელიც ხან ცხენისწყალის ხეობისკენ მიედინება, ხან რიონის ხეობისკენ. როგორც ჩანს, გამოქვაბულში არსებობს რაღაც სისტემა, რომელიც წლის სხვადასხვა დროს სხვადასხვანაირად მოქმედებს და რაღაცასთან არის კავშირში. მასში შეღწევა, ისიც 50 მეტრის მანძილზე, მხოლოდ შემოდგომაზეა შესაძლებელი, მაგრამ მხოლოდ სპელეოლოგები თუ შეძლებენ მის გამოკვლევას. ამ ქვაბულს „ვერძისთავა“ ჰქვია, რაც გვაფიქრებინებს, რომ არგონავტებთან და ოქროს საწმისთან არის დაკავშირებული.

ამ ადგილზე მინიშნებაა მითოლოგიაში, რომ ჰერაკლე იოს დავალებით უნდა აუყვეს ფაზისს, ანუ რიონს, მარცხენა მხარეს მიადგეს გამოქვაბულს, საიდანაც წყალი გადმოედინება, გადააგდოს ეს წყალი, შევიდეს შიგ და პრომეთე გაათავისუფლოს. ასე რომ, ძალიან საინტერესოა...

დაზვერვითმა კვლევებმა გამოავლინა ოდესღაც იქ არსებული მძლავრი მეტალურგიული კერების არსებობა. ისეთი შთამბეჭდავი მასალაა, რომ აუცილებლად სჭირდება სერიოზული გათხრები. აპოლონიოს როდოსელს უწერია, რომ აქ მოესმათ არგონავტებს პრომეთეს გმინვა... რა თქმა უნდა, სიმბოლური გამოხატვაა, მართლა ხომ არ იყო კაცი მიჯაჭვული, მაგრამ ჩვენთან რაც შემორჩა, ბერძნული მითებიდანაა და რატომ წერდნენ, თუ არაფერი იყო რეალურად? პლატონი წერდა, მითების გაგების 12 საფეხურიაო და ჩვენ რომელ საფეხურით ვიგებთ, შლიმანმაც ასე არ მიაგნო ტროას?

ვთანხმდებით, არგონავტების მიერ ოქროს საწმისის მიტაცების ინტერესიც სიმბოლურია, რეალურად რაღაც ცოდნის მოპარვაზეა საუბარი... ბოლო პერიოდში დასავლეთში ბატონი პაპუაშვილი მუშაობს და ისიც იმ დასკვნამდე მივიდა, რომ არგონავტების მთავარი მიზანი იყო ლითონის დამუშავების ცოდნა — იმდროინდელი მსოფლიოსთვის ეს იყო როგორც დღევანდელი ატომური ბომბი, ვინც მას ფლობდა, ის იყო ძლიერი.

თუ გავითვალისწინებთ ძველ კოლხურ ცივილიზაციას, ყველაფერი თავის ადგილზე დგება და ეს ასეა!

ჩვენ არ ვიცით, მართლა ჩვ. წ. აღ-მდე XIII საუკუნე იყო თუ უფრო ძველი ცოდნაა. გათხრები ნაკლებია განსაკუთრებით იმ მხარეში, ჭაობია და ჭაობში გათხრები ძალიან ძნელია და ისიც, რომ ივარაუდო, რა არის დაძირული და დაფარული. ჩვენებს არ უნდათ დაჯერება, მაგრამ ბალარდის წყალქვეშა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ საბოლოოდ დაამტკიცა, რომ 100 მეტრის სიღრმეზე თურქეთის მხარეს ადამიანის მოქმედების ბევრი დამამტკიცებელი ნიშანია. შავ ზღვას აქვს უცნაური თვისება, გოგირდწყალბადის გამო ძალიან კარგად ინახება ნივთები, მაგრამ, სამაგიეროდ, თვალთახედვაა შეზღუდული, 400 მეტრ სიღრმეზე აღარაფერი ჩანს. ხვამლმა გამოაჩინა ეს ყველაფერი, თითქოს ერთ ძაფზე აასხა — ამირანმა ღვთიური ცეცხლი მოუტანა ადამიანებს, ცოდნა, რითიც დაარღვია ღმერთების კანონი და დაისაჯა კიდეც.

ამირანი ხომ თვითონ არის ღმერთი, თან ქართველი ღმერთი... არ ფიქრობთ, რომ მითოლოგია სიმართლის დაშიფვრის ფორმაა? — არ შემეძლო, რომ საუბარი ამ შეკითხვის გარეშე დამესრულებინა.

— რა თქმა უნდა, სიმართლის მარცვალი არის — არქეტიპები არ იცვლება, რიცხვები არ იცვლება, მიმდევრობები არ იცვლება, მაგრამ უფრო მეტ ბურუსს იხვევს, თუმცა ის ძირითადი შინაარსი რჩება, რასაც უნდა მიაგნო.

ამირანი ძველი ღმერთების პლეადიდანაა – ღმერთებისა და ტიტანების ბრძოლა თუ გახსოვთ. წინა იყო ტიტანების პლეადა, კრონოსისა, მერე ზევსმა თავისი მამა დაამარცხა — პრომეთე ბიძად ეკუთვნოდა ზევსს...

ბატონი დავითი შეეხო ირინე ღამბაშიძის მიერ კაზრეთთან მსოფლიოში უძველესი საყდრისის შახტების აღმოჩენასაც — ის დრო იყო, როდესაც ბრძოლა მიმდინარეობდა, რათა კობა ნაყოფიას არ მოეთხარა მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლი. კვლევებმა დაადასტურა, რომ საყდრისი-ყაჩაღიანის აღნიშნულ მონაკვეთზე მოიპოვებდნენ ოქროს, ხდებოდა პირველადი გადამუშავება და აქედან გადიოდა ეგვიპტეში. საყდრისის მოთხრის დაშვების ამბავი დღემდე გაუგებარი და საშინლად აღმაშფოთებელია საქმეში ჩახედული ყველა ადამიანისთვის...

ძველი მსოფლიო ასე ჩაკეტილი არ იყო, პირიქით — რაჭაში, გობეჯიშვილის ბრილის გათხრების დროს ეგვიპტური სკარაბეები, 12-კილოგრამიანი შუშის მძივები და სანელებლები რომ ნახეს, რა უნდოდა რაჭაში ეგვიპტურ ნივთებს? კავშირები წარმოუდგენლად დიდი იყო — რაჭაშიც საბადოებია და იმიტომ. სპილენძი, მოლიბდენი, ოქრო, ვერცხლი, რკინა — თითქმის ყველაფერია. აქაურებს „რკინის კაცები“ ერქვათ, XIX საუკუნეშიც კი საგულდაგულოდ ინახავდნენ სოფლები მადნის გამოდნობის ტექნოლოგიის საიდუმლოს — მჭედლები რაჭიდან გადიოდნენ. დააკვირდით, რაჭველები ვითომ ნელი ხალხია, მაგრამ მთელ მსოფლიოს არიან მოდებულები, — როგორც რაჭველს, ჩამიმეგალითური ლოდებია – საკამოდ დიდი ტერიტორიაა, დაახლოებით 3 ჰა იქნება და წარმოიდგინეთ, რამხელა არქეოლოგიური სამუშაოა ჩასატარებელი. სამწუხაროდ, ჩვენ მხოლოდ კვლევაზე გვქონდა სამწლიანი გრანტი, 2009 წლიდან უკვე „რუსთაველის ფონდის“ დაფინანსება გვქონდა 150 000 ლარი სამ წელიწადზე, მაგრამ დამთავრდა ის პროექტი. არქეოლოგიურ გათხრებს სხვანაირი მიდგომა უნდა სახელმწიფოს მხრიდან და არა კერძო პირებისგან.

— ითქვა, რომ ბატონი ივანიშვილი დაინტერესდა ხვამლით, რაში გამოიხატა დაინტერესება და, საერთოდ, ვინ უნდა უპატრონოს ხვამლის გამოკვლევას, კულტურის სამინისტრომ? — როგორც იქნა, ვიკითხე, რაც მაინტერესებდა.

— ვერ გეტყვით, მხოლოდ ის ვიცი, რომ ამბროლაურში წინასაარჩევნო შეხვედრისას გამოავლინა ბატონმა პრემიერმა ხვამლის შესახებ, ცოდნა და მის მიმართ ინტერესი.

უპირველესად, კულტურის სამინისტროს უნდა მივაკითხოთ და თუ სახელმწიფომ მხარი დაგვიჭირა და ხვამლის არქეოლოგიური გამოკვლევა დაიწყო, ის ძველი მსოფლიოს ისტორიის ისეთ რანგში დადგება, დღეს რომ წარმოუდგენლად გვეჩვენება...

მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყანა, იქ რომ პრომეთეს მიჯაჭვის ადგილი ყოფილიყო, დიდი სარგებლის მისაღებად გამოიყენებდა...

P.S. კიდევ ბევრი რამის და უფრო ვრცლად მოთხრობა შემიძლია ხვამლზე, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ბატონ დავითთან საუბრის შინაარსი მინდოდა გადმომეცა. გთავაზობთ ჩემი ჯგუფის მიერ ხვამლის მთის ძირიდან გადაღებულ ფოტოს, როდესაც „გულზედ მეფინა ქვეყანა“...

მაია ჭელიძე

უსაყვარლეს მენეჯერს, ნიჭიერ, მშრომელ, გულისხმიერ და სათნო ადამიანს,

ხათუნა ანდღულაძეს

ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ბედნიერ წელთა სიმრავლეს, ჯანმრთელობას, პროფესიულ წინსვლას და წარმატებებს ცხოვრებაში.

დაე, თქვენი გულივით მზიანი და ნათელი იყოს თქვენი ცხოვრების წლები, ქალბატონო ხათუნა, იხარეთ და იდღეგრძელეთ!

სიყვარულით, ჰიპერმარკეტ „გუდვილის“ (გურამე) დოლიძის ფილიალის თანამშრომლები.

ჩვენი გაზეთის უცვლელ ბუღალტერს, ფინანსური ნაკადების მართვის მეტრს, ჩვენთვის საყვარელ და ძვირფას თანამშრომელს, გულწრფელ და კეთილშობილ ადამიანს

გულიკო ტიკარაძეს

ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დღეგრძელობას, სიკეთეს და სიხარულს.

„საერთო გაზეთის“ რედაქცია

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი

შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“

მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06

ნომრის რედაქტორი: თამარ ბერძენიშვილი 555 33-44-14

სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი); თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ნინო დაუშვილი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.

http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, ა. წერეთლის გამზ.103;
ტელ.: 593 44-04-01; 234-45-35 (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1
2 008311 231562

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. განაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.
იბეჭდება შპს „ასამალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99